პოეტები საქართველოსი

ტომი VII

თბილისი
2023

კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორი და შემდგენელი:

მანანა სამყურაშვილი – კავშირ „პოეტები საქართველოსი“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, შემოქმედთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი, ასევე მიღებული აქვს სამშობლოს ერთგულებისთვის და პატრიორული ლექსებისთვის პირველი ხარისხის ოქროს მედალი, სამეცნიერო საქმიანობისთვის – დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი, შ პ ს „სალიტოს“ დირექტორი, შ პ ს „გომავანის“ პარტნიორი, ოთხი საკუთარი და ოცდათვრამეტი საერთო კრებულის თანაავტორი, სამართალმცოდნე, პედაგოგი.

თანარედაქტორი:

თენგიზ ფანცულაია – სამართლის მაგისტრი-პოლიციის პოლკოვნიკი, შს ორგანოების დამსახურებული მუშაკი, შ. რუსთაველის სახელობის პოეტთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირის „პოეტები საქართველოსი“ თანადამფუძნებელი და სწავლული მდივანი. ჯ.ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი.

© ავტორთა ჯგუფი, 2023

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2023**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-33-

დავდგეთ იქ სადაც ქართველია
და სიმღერიანი დედა ანგელოზი.
ახალ ეროვნულებს ვწიროთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეალაყციონი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

კრებული „პოეტები საქართველოსი“ მკითხველთა და პოეტთა სიმფონიად იქცა. იგი მრავალთა სალოცავი ხატია, ნატვრაა და კრებულში მოხვედრის დაუოკებელი სურვილია.

ეს უნიკალური ქმნილება ღვთის შეწევნითა და მისი დახმარებითაა შექმნილი. ამ ფოლიანტში მრავალ, ქართველ თანამედროვე საზოგადო მოღვაწეთა, პროფესიულ მსურველთა ძალისხმევა და პოეზიის დიდი სიყვარულია.

ერის საუნჯედ ქმნილ კრებულში, თავმოყრილია უამრავი პოეტის შედევრი ლიტრატურული ქმნილებები, რომლის შემონახვა ერისთვის დიდი საგანძურის ტოლფასია.

ამ, ერის საგანძურში მარგალიტებად ელავს სხვადასხვა თემატიკის პოეზია, რომლის წაკითხვა სულსა და გულს ათბობს და სურვილს უქმნის პოეტებს, უფრო და უფრო ხარისხიანი პოეზიის შეტანისა ამ ფოლიატში.

კრებულში უამრავი, დიდი, სიბრძნით გადმოცემული ცხოვრებისეული მაგალითებია, რაც თაობათა გონების გამდიდრებისკენ მოასწავლებს. აქ უამრავი, ძლიერი შეგონებაა, საიდანაც ნათლად სჩანს თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი და სულით ძლიერი ადამიანი.

კრებულში შეხვდებით ნაწარმოებებს, რომელნიც ღაღადებენ უფლის სიყვარულზე, მისი არსებობის უტყუარობაზე და ყოველდღიურ სიკეთის ქმნაზე.

ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს შვილი ისევე კეთილი, ალალი, გულწრფელი და მოსიყვარულე უნდა იყოს, როგორც თავად ქრისტე უფალია.

ადამიანის სულს უნდა შეეძლოს სინანული, მიტევება-პატიების გრძნობა, ესაა კრებულში განთავსებული პოეზიის მნიშვნელობა და მთავარი არსი.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პოეტები ეფერებიან სამშობლოს წარსულს, აწმყოს, მომავალს და თაობათა ნამოქმედარს ლექსად გადმოსცემენ და ხოტბას ასხავენ მათ ნატერფალებს.

პოეტები მოუწოდებენ და სთხოვენ საზოგადოებას, რომ მატეანეს მხრებით მოტანილ ისტორიას და მის კალმით ნაქარგ საქართველოს გაუფრთხილდნენ, სალოცავ ხატად აქციონ, გულის ფიცარზე საფიცარი ხატივით დაიწერონ და რიდითა და რუდუნებით მოეპყრან ვით მშობელს და გამზრდელ დედას.

დიახ, ჩვენი კრებული შექმნილია უამრავი, ნიჭიერი, აზრიანი პოეტების გვერდში დგომით, რომელთა იდეაა მომავალი თაობების სწორად აღზრდა და ერისთვის ძლიერ, გამოსადეგ ადამიანებად ჩამოყალიბება.

თითოეული პოეტის მთავარი მისიაა, საზოგადოებრივი გონების გაძლიერება, მათი სწორი აღზრდა-მიმართულება, ზნეობრივ-მორალური და სარწმუნოებრივად სწორად გამართული ქართული სულის სიდიადე, ნათელი საქართველოს მომავლისაკენ.

ნებისმიერი პოეტის მოვალეობაა, მიჰყვეს სახელოვან წინაპართა უკვდავ ნაკვალევს და მათ სადარად აღიზარდოს ერისთვის გამოსადეგი, გონძლიერი მომავალი.

დიახ, ჩვენ ყველა ვალდებულნი ვართ მომავალ თაობას ვასწავლოთ და მივუთითოთ ვისი გორისანი ვართ და ვინ იყო ჩვენი წინაპარი, რომ საქართველო წინაპრების ისტორიის სახელოვანი, დიდსულოვანი შრომით მონაპოვარია.

თაობებს უნდა მიეთითოს და იცოდნენ, რომ საქართველოს სწავლული მონარქი, მართლმადიდებელი სჯულის აღმსარებლის მეფე-დედოფალნი ედგნენ სათავეში. მათი ყოველდღიურობა იყო როგორც სახელმწიფოს დაცვა და ხმალშემართული დგომა, ასევე ქვრივ-ობლების პატრონობა, სწავლა-განვითარება და მათი ყოველდღიური ცხოვრების დონის ამაღლება.

ქართველი ნებისმიერი მეფის ზე განათლება, ზე-ნიჭიერება სჩანს მათი შექმნილი უკვდავი ნაწარმოებებიდან, რომელიც დღევანდელობისგან განხვავებული სტილითა და ფორმით არის გადმოცემული.

თაობებს, უნდა გადაეცეს მარად უკვდავი ქეთევან დედოფლის წამება. საქართველოს მომავალმა უნდა შეიგრძნოს, რომ ქრისტეს რჯულს ეწირებოდნენ დიდსულოვანი-დიდგვაროვანი მეფე-დედოფალნი.

დიახ, ჩვენი ერისა და ქვეყნის ერთ-ერთი სიდიადე და უკვდავი მაგალითია ქეთევან დედოფლის გაუტეხელი, სარწმუნოებას, ქრისტიანობას შეწირული მარად უკვდავი სული.

სწორედ ამ მისიით შევიდა კრებულში: თამარ მეფის ლექსი „ცასა ცათასა“, თეიმურაზ პირველის პოემა „ხილთა ქება“, თეიმურაზ მეორეს პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, არჩილ მეფის „ასნი ორმუხლნი“.

კრებულში წარმოდგენილი პოემები გადმოცემულია დღევანდელობისგან განსხვავებული, შეუდარებელი რითმათა წყობით, მარცვალთა სრული სიზუსტით და რაც მთავარია გამართული ქართული ენით.

ჩვენი მეფე პოეტების დიდი, მხატვრული ნიჭი, სწორი თვალთახედვა კალმის, თითებისა და მაჯის მოქნილობა სჩანს მათი უმშვენიერესი, შეუდარებელი კალიგრაფიული ხელმოწერებიდან.

მთავარი რედაქტორისგან:
მანანა სამყურაშვილი

მიეყვეთ,
სახელოვან წინაპრებთან
წმინდა ნაკვალევს!

ბრძენ წინაპრებთან
ლოცვით ქმნილან და დიდმადე
მოსულან ეს, დალოცვილი
დედა საქართველო!

არჩილ მეფე – პოეტი

ლექსნი ასნი ორმუხლნი....

ასნი ორმუხლნი შაირნი ვართ მეფის გამოთქმულია,
არჩილის, ვახტანგ მეფის ძის, ბრძენთა სანუკვრად თქმულია.

1 ჭირსა და ლხინსა მადლობა ღვთისა ჰხამს ყოვლის მპყრობ-
ლისა, სარწმუნოებით ვადიდოთ,პირი დაიყოს მგმობლისა.

2 მეცნიერება ბრძენთანი ღვარისებრ განმდიდრდებიან, ბრძენთ
ზრახვა ცხოვრების წყაროდ ისმის და ედინებიან.

3 კაცი პირს ხედავს კაცისას, ღმერთი მწვლილს გულის-სიტყვებსა,
ვერ დაიფარავს საქმესა,ვინ იშვებს,ან ვინ იტყებსა.

4 კაცი ბრძენი სჯულდებულსა საქმეს არას მოიძულებს, უმეცა-
რი უსჯულოობს,სხვათაც მასზედ აიძულებს.

5 კაცი სრულარსთა მთავარი თავსა რად განინადირებს? ძვირის
მოქმედთა ძვირივე ბოროტად მოინადირებს.

6 ვინ მრწემსა სწყალობს,ავასხებს უხვად წყალობის მძლე-
ველსა, შემწყნარებელი ობოლთა მძლე ექმნეს თვისსა მძლე-
ველსა.

7 თქვეს,ძღვენი ბრძენთა კაცის თვალს უჯეროდ დაარწმუნებსა, უსამართლონი მსაჯულნი ქრთამს
არვის დაამგუნებსა.

8 გრცხვენოდეს გინებისაგან, ევლტოდე სმენად ქებასა, თავი ნუ მოგწონს, ერიდე ცრუ სიტყვა-
დაქადებასა.

9 სხვის მომზირალი თავისას ავს ვერას დაინახავსა, უცები კაცი ხვაშიადს ვერათ ვერ შეინახავსა.

10 ბრძენს ცოდვას თვისი გონება ამხილებს, შეანანებსა, უგბილი უმეცრებითა ვერ ხედავს,თვის თავს
ავნებსა.

11 დაღმართ არს ცოდვა მოქმედთა, სუბუქად ჩაიტანებსა, მადლი მძიმეა ამღებთა და ზეცათ აღიტანებსა.

12 სიტყვა უცებთა ზღვა არის მღელვარე კლდისა მცემელი, არა მდუმარე, წვიმისებრ ნაყოფის
გამომცემელი.

13 თუ ძნელ არს ფიცი მართალიც, ცრუსი რაღამე იქნების? აღთქმაც დიდია სათქმელად, გარდასვლა
რა შეიქნების.

14 თუ შენ არ მისცე,ნუცა მას ელიღა რასმე მოცემას, უჩინარისა მტრისასა ერიდე მუდამ დაცემას.

15 გული ნუ გითქვამს მეტს რასმე,რადგან უგუნურთ წესია, იფქლსა ვეროდეს შეიკრებს, ვის ღვარძლი
დაუთესია.

16 ეტლთა ბრუნვათა მსგზავსია ამ სოფლის ლხინი და შვება, წამიერთ იცის ორივე, ამაღლება და დაშვება.

17 რაღაა ურჩეულესი მეგობრის საკუთარისა? რა უბოროტეს მოყვსისა ქვე მკბენის, მოკუთარისა?

18 სჯობს აღსასრული კეთილი დიდად დასაბამ კეთილსა, სჯობს ახალ ნორჩი ხე დიდსა,ნაყოფით ქვე
მოკვეთილსა.

19 გატეხილს ჭურჭელს მიჰრონი არ ერწმუნების,იცითა? ცრუს კაცსა საიდუმლონი არ ეთქმის, მითქვამს
ფიცითა.

20 ხრდლის კაცის ყოლა გატეხილს მშვილდსა ჰგავს, ვინ ვერ მოიზევს, ვიდრე მტერს ნახავს, კაცსა
ჰგავს, მაშინ წინ ვეღარ წაიზევს.

21 მოშიშარს,ამპარტავანს და მოსავს თავისა ძალისა, რაჟამს ხმა ესმის საზარო,ძრწოლით სამ
დაემალისა.

22 სასიკვდინენი წყლულია მცირე ნაკბენი გველისა, დიდს შფოთს აღადგენს ერთიცა სიტყვა ცრუ, ენა-
გრძელისა.

23 ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა, ვინ ბოროტსა სძლევს,ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.

24 მუშაკი დღეის საქმისა ხვალისა მდები სცდებისა, მის-მის დღის საქმე მის დღეს სჯობს,რადგან სოფელი სცვდებისა. 25 ვინ ძრწის სამღვთოსა შიშითა, ვერა რა შეაშინებსა, უშიში ღვთისა თვისისა ჩრდილისგან შეიშინებსა.

26 კაცს უყვარს ღვთისმოყვარესა ყოველი კაცი სრულებით, ძმის მოძულარსა ღმერთი სძულს სიბოროტისა კრულებით.

27 სიტყვის სიმრავლე სასმენელს ავნებს და ვერ აამებსა, მეტი საზრდელი სულსა და ხორცს არც ერთს არ დაამებსა.

28 თუ კაცი თვისად ბოროტს ჰყოფს,სხვას ვისღა უზამს კეთილსა? ნუ სთხოვ ნაყოფსა საშენოდ ხესა ფესვს-აღმოკვეთილსა.

29 გვიან საქნელ არს ბოროტი, კეთილი – მოსწრაფებითა, ვინ ვშვრებით ავსა საქმესა, სინანულს შევესწრებითა.

30 ბილწის სიტყვისა სასმენლად დახშვა ჯერა არს ყურისა, ენით კიცხვა და ბასრობა ნურავისთვიმცა გსურისა.

31 სჯობს საქმე უხმო სიტყვასა, თქმულსა, არ გათავებულსა, თქმა და არა ქმნა სარცხვენელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა.

32 თუ თავს ვინ განიკითხვიდეს, სხვასა აღარას აბრალებს, თვისის ცოდვისა მხილველი ღმერთს სხვასაც ბევრს შეაბრალებს.

33 ამაღლებულნი დადმდაბლდნენ, ამაღლდენ დამდაბლებულნი, მოღვაწე წარწყმდა სილაღით, ცხონდა სიმდაბლით ვნებულნი.

34 რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუთასა ალერსსა, სიტკბოებასა, უგბილთან ლხინსა დია სჯობს, თუ კაცი ბრძნისას ებასა.

35 დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თვისისა, სიბოროტეა ძვირის თქმა მეგობრისა და თვისისა.

36 წყლით დაივსება სახმილი, შერისხვა-დადუმებითა, შური იძლევის ტკბილისა სიტყვისა დაამებითა.

37 მეგობარს გამოუცდელსა არ უნდა კაცი მიჰყვესა, ჯერ შეზავებით ვკითხვიდეთ ჩვენს წინ მეგობრად ვინ ჰყვესა.

38 სარწმუნოს მოყვსის შერისხვა სჯობს მტრის პირისპირ ქებასა, ბრძენი სხვათაცა სწავლიდეს, დიდად სჯობ დადუმებასა.

39 მოციქულია მქებარი პირად სასმენელ ბნელისა, შემასმენელი ლიქნითა მკვლელია შემასმენლისა.

40 კითხვა საღვთოთა წერილთა გონებას განანათლებსა, რისხვას დაიდებს რისხვაზედ, ვინ ცრუდ თავს განიმართლებსა.

41 აქთქმას ღთისასა ნუ ჰყოვნი, მიცემად მისაცემელსა, სჯობს არ ქადება არასა, ქადებულს მიუცემელსა.

42 მამა შვილთ დაკლვის მიზეზსა ნებსით არ მიიწურავსა, ღმერთი გლახაკთა მონახვეჭს მსხვერპლს არას შეიწირავსა.

43 უღვთო მწყევარი ეშმაკთა, არ იცის, თავს იწყევლისა, ზაკვით მეტყველი მსგზავსია გველისა მის პირველისა.

44 უგბილი თვისსა სიცილზედ ხმას დიდად აღიმაღლებსა, ბრძენი და მეცნიერენი ღიმილსაც დაიმდაბლებსა.

45 უგუნურთ ნიჭი დიდია, ერთის წილ ითხოვს მრავალსა, მცირედ მისცემს და აყვედრებს დიდად კნინ მისა სავალსა.

46 კაცი მრძენი სდუმს ჟამამდე, სხვას უსმენს წადიერებით, მრავლის-მეტყველი საძულელ იქმნეს მკლე გონიერებით.

47 უცხოსა თანა ნურას იქ საქმესა საიდუმლოსა, ყოვლს კაცს გულს წინ ნუ დაუდებ,
უფროსღა ცრუ უმადლოსა.

48 ურცხვინო არის, ვინ სიტყვა მოყვსისა არ დაიმარხოს,
თვისი აუგი არად სჩნდეს და სხვისა მალ დაინახოს.

49 მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ სცნობს ცრუ და მართალსა,
მოიკიცხება საჯაროდ, დააკლებს ვინ სამართალსა.

50 ნუ თვალს არიდებ გლახაკსა, ნუ სცემ ადგილსა წყევისას,
რიდე შესმენას ღვთისასა, სწრაფით ჰხამს, ისმენს ყე ვისას.

51 რაბამ დიდ იყოს, მაშინ ჰხამს კაცი გულითა მდაბლობდეს,
კაცს სათნო ეყოს და ღმერთსა სამარადისოდ მადლობდეს.

52 მხედველი აღსასრულისა მტერობას რიდებს მოყვსისას,
დღისა დიდისა მომლოდნე, შურს აღარ ეძებს არვისას.

53 ბზიკი ვის უცემს, ვერ მოჰკლავს და თავსა მოიკვდინებსა,
კაცი მოყვსისა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა.

54 თაგვი ჭურს ღვინით სავსესა მცირეცა შეაგინებსა,
ბევრს სიკეთესა კაცთასა სიცრუე მოაყივნებსა.

55 ძე ბრძენი მამის სწავლასა კვალად და კვალად ინებსა,
მონა ერთგული სამსახურს აროდეს მოიწყინებსა.

56 ათას წელთ სოფლის დაპყრობა ცუდია სულთა ვნებითა,
ბოლოდვე გავლით შიშველი სასიკვდინესა სნებითა.

57 ჭირშიგან გამოიცდება მეგობარ ყოფა მოყვსისა,
თუ დასდებს თავსა შენთანა, არა იქს საქმეს ავს ისა.

58 მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი ერთი ოდენ,
საქმეს კარგად გაიმართვენ, თუ ჭკვა ორთავ სწორად რბოდენ.

59 ბოროტი რამე სენია თვით–სჯულობისა ქადილი,
მავნებელია თვისისა ნების შედგომა, წადილი.

60 უცნობო კეთილს ბოროტად შეჰრაცხს, ბოროტსა კეთილად,
უნაყოფოს ზრდის სამისოდ, ნაყოფოანს ჰყოფს კვეთილად.

61 ბრძენი არც იშვებს ფრიადა, არც დია შეწუხდებისა,
უცები ლხინსა და ჭირსა მის–მის დროს ვერ მიხვდებისა.

62 კაცი კაცს საქმით შევჯერდეთ და ნუ ამოსა სიტყვითა,
ადვილად კაცის ცნობასა ვიტყვით, თუ ვინმე ვიტყვითა.

63 სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა,
არ ეთხოება კეთილი კაცსა ცრუ, ცნობა–ვნებულსა.

64 მტირალთან გლოვა დაგვიდვეს, მოხარულთანა შვებანი,
ნუ აღგიტაცებს დიდება, ნუცა პირისპირ ქებანი.

65
ცეცხლს წყალი დაშრეტს და განსწმედს მოწყალებანი ცოდვასა,
ადვილად შეიწყალება, ვის ცოდვა თავს დაედვასა.

66
სხვის სიკვდილს რად განიხარებ, რადგან რომ შენც მოკვდავი ხარ?
ცოდვილი ცოდვილს რად ჰკიცხავ, ზრახავ და ან თავს რად იხარ?

67
ბერს კაცს ნუ გიობ, ჭაბუკო, ნუთუ შენც სამე დაბერდე,
დამწვარსა კვალად ნუ დასწვავ, დასაშუშებლად დაბერდე.

68
სძულს ამპარტავანს მდაბალი, მდიდარს ზოგს გლახა მთხოველი,
ღმერთი მართალი გვითმობსა, თვარ ცრუ ვართ კაცი ყოველი.

69
კაცი სიცოფის მფარველი, სჯობს ბრძენსა სიბრძნის მფარველსა,
ლაღს მონას არჩევს პატრონი სამსახურისა მკრძალველსა.

70
მოშიში ღვთისა თუ ძვირსა შთავარდეს, იგივ იხსნისა,
ცოდვილი ტვირთსა მძიმესა უნანლად ვერ მოიხსნისა.

71
დრკუთ კაცთა გული ნიადაგ ეძებს მოყვასთა ძვირებსა,
გული მშვიდი და მდაბალი ძრახვას არ გაიკვირებსა.

72
გულსა გამწყრალსა კეთილი განზრახვა არ ეპოება,
უსამართლოსა ვერას იქს, ვინ მეფეს შეეპოება.

73
როგორც არ არის უცოდო კაცი, აგრევე უმადლო,
დიდად ბოროტის მყოფელსაც სჯობს ცოტაც რამ დაუმადლო.

74
ვინ ძმასა სძულობს, სჯულსა და განეშორება მცნებასა,
ვინ საბრხე უგოს მოყვასსა, შთავარდეს დიდსა ვნებასა.

75
გვალვის ჟამს წვიმა ქვეყანას შემატს და გაახარებსა,
წყალობა ჟამსა ჭირისას სჯობს, ვინც ხელთ მიაბარებსა.

76
სიტყვათა შენთა საზომი დაუდევ კეთილის თქმისა,
ეკრძალე ფიცსა სათქმელად, ნუ ხარ მეტყველი აღთქმისა.

77
ბევრი რამ არის სოფლისა უფროსი ამოებანი,
ცუდს კაცსა მწვე ააზავებს მორჭმა, ტყუილი ქებანი.

78
კაცია ნათელს ბნელად და ბნელს ხედავს ნათელსავითა,
თვისსა სიკეთეს არ ეძებს, თავს იქებს ნათესავითა.

79
ავი და კარგი მრჩობლივე ჩვეულობასა მმოსია.
არ დაეკარგვის უფასოდ, ვის გლახა შეუმოსია.

80
სიცოცხლე, აგრევ სიკვდილი ხელთა უპყრია ენასა,
სისხლს დაღვრის უბრალოთასა, აჰყვება ვინ შესმენასა.

81
მართალიც მოინადირა მტერმან, ცრუ სადღა განერ სა?
თავსა ჩემსა ვწვრთნი უფრორე, ბოროტად გხედავ გან ერსა?

82
თუ მეჭურჭლესა ჭურჭელი ვერ ეტყვის ავად შემქენო,
კაცმან ვით ჰკადროს შემოქმედს, ესე რად ესრეთ მიქმენო.

83
უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურთ შვილთა ყოლასა,
სჯობს მარტოთ ყოფა კაცისა ბოროტთა თან აყოლასა.

84
სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა,
მტერობავე სჯობს მოყვრისას ცრუდ სიტყვით მიფერებასა.

85
სჯობს სნეულობა, ბოროტსა სიმრთელე ფერხზედ რებასა,
ცოდვილთ თავსდება ცოდვისა, სიწმიდის შეფერებასა.

86
უჟამოს მწუხარებისა სიბერე არის ნაყოფი,
გაადუხჭირებს კეკლუცთაც ჭმუნვა და ავი სამყოფი.

87
ღვთისმოყვარება ეს არის, კაცს ყოვლი კაცი უყვარდეს,
მოყვასი უნდა მოყვასსა, ვით თავსა შემოუარდეს.

88
ცული თვინიერ მცემლისა ვერ მოჰკვეთს ხეთა ძირებსა,
თუ კარგად ვერვინ ვერას იქმს, ღმერთსა მწედ დაიძვირებსა.

89
კაცი ასეთს კარგს რასა იქმს, ან ავსა, სხვასაც არ ექმნას,
მაშინ გამოჩნდეს ორივე, რა ორთავ ბჭობა შეექნას.

90
უფროსი ერთი კაცთ იჭვი ვით საზვრენ, არ იქნებიან,
მცირე გულისთქმა ბოროტი დიდ ცოდვად შეიქნებიან.

91
რაცა არა მაქვს, ის მინდა, რაცა მაქვს, ვერ დამიცავსა,
იმას ვერ ვშოებ და ამას დავკარგავ, წინ ეს მიცავსა.

92
თავს ვაბრალებდე ნუ სხვასა, ნუ ვაკლებთ ღვთის სამართლებსა,
რისხვას შესძინებს რისხვაზედ, ვინ ცრუთ თავს განიმართლებსა.

93
რაზომცა დიდად ბრძენ იყო, ნუ ეჭობ სიბრძნე–სრულებას,
რაზომ სვამ წყლისგან წყაროსა, შეატყობ ვერ ნაკლულობას.

94
მრავალგზის ნავი დაინთქმის ნავთსაყუდელად შესული,
მრავალჯერ ვისმე უნახავს ღელვისგან გაღმა გასული.

95
შიში არ უნდა ხორციელს, სიკვდილს სად დავემალებით?
ვერვინ ვიკადრებთ გაქცევას, ვინ მეფეს შევეპოვებით.

96
ვინა სთხრის მთხრებლსა, არ იცის, ვისთვინ ამოჰკვეთს სიღრმესა,
ვინცა აღმოჰკვეთს, უწყოდეს შთაიგდებს თვისსა სიყრმესა.

97
შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული,
კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთამად შემოძლეული.

98
სოფელი ესე მსგავსია სავაჭრო შესაკრებელსა,
აქ თუ არ ვიღვწით, ვერ ვპოებთ სხვას კეთილთ მოსაკრებელსა.

99
სხვა არა სჯობს რა კაცთათვინ სასმენლად ბრძენთა ზრახვასა,
სჯობს მონაგებთა წარგება კარგად ყე ქვე შენახვასა.

100
სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსნებია,
ყოფაც მძულს ცრუსთან, ჯერ ხანად გაყრა რა სახსენებია!

ცასა ცათასა

საქართველოს მეფე, თამარი – პოეტი.

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთმთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კვალადი,
სულმან მან ღმერთმან სრულყო მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთეებითა,
მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა.

შენ მიერ მისთვის დრკუსა მის განმგებელი
დრკული მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო,
შენგან შობილმან ჩვენ ღირსგვყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხეველობად

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,

მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირსმყავ და თვისობასა.
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,
მოწყნეს, მოსწყიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ. მიოხე ძეებრ, ღმერთო!

ეს ლექსი თამარ მეფისა შეტანილია ცნობილ საისტორიო თხზულებაში «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.» ლექსის შეთხზვის მიზეზად ქრონიკის ავტორი ასახელებს შამქორის ბრძოლაში (1195 წ.) გამარჯვებული ქართველთა ლაშქრის მიერ ნაალაფარი დროშის შეწირვას ხახულის მონასტრისათვის.

თეიმურაზ პირველი - პოეტი. *კახეთის მეფე დავითისა და კახეთის დედოფლის ქეთევან წამებულის შვილი. მეფე თეიმურაზ პირველმა დედის წამებას მიუძღვნა პ ო ე მ ა*

წამება ქეთევან დედოფლისა...

თეიმურაზ პირველი

ქეთევან წამებული

1

ღმერთო ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,
ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,
ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელო, გარდამაქცეო,
არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო.

2

ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება,
ფრფინვა ვისცა აქვს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება.
ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამად არ მექმნას წამება.

3

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი ადიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,
უხვებით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა,
უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.

4

ჭეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული გაათასე,
ჭრელად ენა შეურიე, იგი გაყვენ დასად-დასე,
ჭკვიანი და გონიერი ერთმანეთსა გააბასე,
ჭმუნვით ქებას მით შეგასხამ, მეცნიერთა მწყობრთა დასე.

5

იესოვ, შენ გევედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია დ ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!

6

ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა,
შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა,
მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა.

7

ეს ამბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით,
თავის მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობით,
აწღა ბოლო შემოკლდების, გავერივე მეცა ფლობით,
ღმერთო ჩემო, გევედრები, მაწერინო ხელ-უფლობით.

8

ოდეს მიენდო შაჰ-აბაზს კახეთის დედოფალია,
ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვალია,
ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბროლ-ფიქალია,
მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია.

9

მან უღვნა ძენი ტურფანი ალექსანდრე და ლევანი,
კვლა ძენი თავადებისა, მზეს მათგან ატყდეს ლევანი,
რომ შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მათზე ძლევანი,
არ გაუგონა, ეწადა მათი სისხლისა ლევანი.

10

იგი ყველაი წუხვნა, არ იყო მადლთა მძლეველი,
გაწყრომით იყო დიადად, მოტკბობას აღარ მოველი,
ბრძანა შესხდომა, აივსო ლაშქრით მინდორი, ტყე-ველი,
გაუშვეს, ყოვლგნით დაფანტეს მეალაფე და მრბეველი.

11

დაარბივეს, ამოწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი,
შირაზ-შირვან-ხვარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი.
სადაც ვინმე გარდეხვეწა, ან მოურჩა, მგონ, აქ არი,
სხვა დახოცა, დაატყვევა, წავოვიდა, ვითა ქარი.

12

ხელ-შეპყრობილი დააგდო იგ განჯას პატიმარია,
სადა ჰყვა ხელმწიფე-შვლი, ანუ მხლებელთა ჯარია,
რომ მის მცველებზედ ეხმარა თავისა საკვეთარია,
ბორკილიდაღმე აეხსნა იგ ყოველთა საქებარია?

13

კვიპაროზისგან უმაღლეს თავს ხედვავს ამა ყოფითა,
უნივთო ნივთსა შეეხო ნივთისა კიდე ყოფითა;
მან ცრემლთა მომატყვებელი საქმე ქნა განაყოფითა,
ვითა მეყვისსა შეყროდეს, არ ხანი დანაყოფითა.

14

არ დააჯერა ამასა მძლავრმან უწყალომ მეფემან,
ქრისტიანეთა მტანჯველმან უბრალოს სისხლთა მჩქეფემან,

15

რაღას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა,
თვალთა სინათლის სანაცლოდ, შვილებსა სჭვრეტდა მისასა,
ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა.

16

არა საქმე არა ჰქონდა, იგი ზარდა წელსა ხუთსა.
მსახურებდის, ვით საწუთრო ხელმწიფესა დანახუთსა.
მათის ჭვრეტით იბრუნევდის სულსა ყელში დანახუთსა;
სხვას წამალსა არ ეძებდის, არ ფაზარსა დანახუთსა.

17

ხელმწიფისაგან შეესმა ბრძანება უფრო წყრომითა:
მაქა მომისხით ორნივე, მან არ იხაროს რომითან.
ვარსკვლავნი უკუეყარნეს, მთვარე შეიქმნა ცხრომითა,
უნდოდა თუცა ეშოვნა გზა ქვესკნელს ჩასაძრომითა.

18

მე ვითა ვთქვა უებრომა მონადენთა ცრემლთა ხრანი,
პირსა ხოკით, ღაწვთა გლეჯით, იქით-აქეთ ხელთა ხრანი!
გულსა სევდა შემოაწვის, ამოკვნესით აოხრანი,
იტყვის: მღმერთო, ეს რა მიყავ, მომივლინე აწ, ახ, რანი?!ნ

19

ორთა საფლავთა დასძახდა, მიუჯდა ცრემლით ახავი:
მარ გებრალები, ხვარამზე, გამდელო, ამ დღის მნახავი?
მიწყივ ცრემლ-შეუშრობელი, ჭირსა ჭირზედა მსახავი,
ამ სოფლისაგან გარჯილი, ნიადაგ მისი მძრახავი!

20

ვა, თქვენ იყვენით აქამდის ჩემის გულისა მდებელნი,
წახვედით, მარტო დამაგდეთ, სულ ქვეყნის ცეცხლთა მდებელნი!
თვალთა წამართვეს სინათლე, დაბნელდეს ცადა მდებელნი,
არ დარჩა სოფლის სასჯელი ჩემზედა მოუდებელნი.

21

აწ, წავხე, აწ, დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა,
აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა,
სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა,

22

მას უკანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა,
ხელთა ჰქონდის გაუწყვეტლად ტირილი და მუდამ ახვა.
ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა,
ღვაწლი გარე მოიზღუდა, ეშმაკისა არ ჰყო ზრახვა.

23

რაჟამს შეიქმნა უმანკო მუშაკი სათნოებისა,
ნესტვსა ეყნოსა დუმილით საზომი სიწრფოებისა,
სვინდისი თვისი განწმინდა, კდემა არ ეპოებისა,
ამად ამ წიგნსა სახელად ემპლასტროს ეწოდებისა.

24

დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ჰქონდის, წიგნის კითხვა,
ევედრების შემოქმედსა, უნდა მისგან განაკითხვა,
არ შესცვალის სჯული მისი, მოიგონის განაკითხ, ვა,
შვილთ ამბავი ენატრების, არა უნდა მას სხვა კითხვა.

25

მსამას სამოც და ხუთი დღე რა ერთ დღედ შეიყაროსა,
საყვირთა ისმას მაშინ ხმა, სამკვდრეთი აიყაროსა,
სული ყოველთა იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა,
სულსა რას ვაქნევ, თუ შვილსა მაშინც ვერ შეეყაროსა.

26

ჰო მე, რა ცუდათ დამაშრო ზრუნვამან ამ სოფლისამან,
ჰო მე, რაღა ვქნა გარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან,
ჰო ჯოჯოხეთის მლოდნელმა, შიშმან და ზარმან მისამან,
ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ისამან?

27

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა,
კერპობა, ზაკვა, მრუშება, სიძვანი მისთანაც არ სა?
კვლავ სარეცელსა ალტობდეს, მოზელდეს მითა ნაცარსა,
კრულია მწიკვლის მოყვარე, ვა, რა იქს მისთან ნაცვალსან.

28

მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,
ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი,
აწღა ისმინეთ სხვაცა ვთქვა ხელმწიფის შემონათალი.

29

რა შაჰ-აბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ-ხანსა:
მშენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,
ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა,
წელსა ათად გავათავებ, მოვიგონებ ხანდის-ხანსა.

30

თუ მუსურმანი შეიქნეს ეგ ლაღი და ჯანია,
მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია,
მე მურთუზალი მიფიცავს, არ უყოს ისკანჯანია,
არა გმოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯანიან.

31

იმამ-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: მმისი რა საკადრონია?
ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?ნ

32

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი,
სამს თვესა არ გაუცხადა, ამისი ჰქონდა ჩენანი.

33

მვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაბარსა,
არ ვისმინო, რაღა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?ნ
მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა.

34

უბრძანა, თუ: მიახელით, მოახსენეთ მზისა პირსა,
არ იქნების, თუ არ გიზამთ ხელმწიფისა დანაპირსა,
ნუ გძულს რჯული მაჰმადისა, იგი მოგცემს ენა-პირსა,
მორევშიგან ჩანაჭერი, გაგიყვანოს შენ ნაპირსა.

35.

რჯული ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანაწესია,
შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესიან.

36

მაშინღა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა,
ბრძანა: მთუ რჯული დავაგდო, რას მიმუქფებენ დარესა,
პატივსა ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარსა,
ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?

37

ილოცავს: მღმერთო, შენ გიცნობ უცნაურ, უხილველსაო,
სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ვიტყვი საკვირველსაო;
ჰე, ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდეთა და ველსაო,
შეარყევ სრულად ხმელეთსა, არ შესცვლი საფუძველსაონ.

38

მგევედრები სამებასა, ერთარსსა და თანაარსსა,
შენგან კიდე საესავი არა ვიცი სხვა რა არსა,
სული ჩემი შეივედრე, ხორცი უწყი სადა არსა,
აწ გაბრიელ მომივლინე, სულთა მცველი, განა არსა!ნ

39

მძლიერო, გიღაღადებენ ორღანოთა და ებნითა,
ძნობითა ინდაურითა, სიტყვითა ბერძნულებნითა,

ძლევით გაქებენ ქადაგნი, რომელ ებრაელებნითა,
ძალგიც შენ ათას სახელი, შენ რა გაგივა ქებითა!ნ

40

მუცხოდ რამ შევშინებულვარ მძლავრა ჰაერის მცველთაგან,
ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველთაგან,
ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ განმიშორებ ხელთაგან,
წამებულნო და წმინდანო, გამომიხსენით ბნელთაგანნ.

41

მჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბერძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგმოასა.
იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმაბარე თომასა,
დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასან.

42

მვარ ჭეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისა,
შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა,
ანასებრივი ნაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა,
აწ შემიწყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისან.

43

მხამას, ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა შენ აღგიაროსა,
აღსარებითა გადიდებ, მართ დაგივიწყებ აროსა,
რაჟამს განახვნენ წერილნი, აღარა დაგეფაროსა.
მაშინ მომხედე წყალობით, რა შიშით დაგეფაროსან.

44

მჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა,
ჩქერითა არ შესწორდება მდინარე, არცა დენითა,
ჩემს მეტს მოსავსა ნუ უყოს, მე ვარ რასაცა სენითა.
ჩემი განკურნე წყლულება, უფალო მიხსენ ლხენითან.

45

მაქამდის სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა,
აწ ტვირით შენი სუბუქ არს, სმენაცა შენი მეკარსა,
სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრევ, სამოთხის მე კარსა,
რომე წყალობით გამიღო, ამისთვის ვირეკ მეკარსან.

46

მრადგან მოკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედან.

47

რა ეს თქვა, შეემთხვია, ქრისტეს სისხლსა ეზიარა:
მმეუფეო, გათათრება ჩემი იყო წესი არა,
გევედრები სული ჩემი ეშმაკს მისცე ესი არან.
პირსა ჯვარი დაისახა, გავიდა, თქვა მეტი არა.

48

მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია,
ყოლ არად უჩნდა სასჯელი, თუმცა არს დიდი ჭირია,
ბრძანა: მმოვიდენ მტარვალნი, მათაც ჰყონ ერთი პირია,
რომ ჩემი სისხლი იძებნოს, ღვთის წინა ამას ვტირიან.

49

მივიდეს მაშინ მტარვალნი დედოფლის დანაბარები,
მოიღეს ქალფათინები, შამფურები და ბარები,
ვა, მაშინდელი სასჯელი ვითა ვთქვა საუბარები?
ხორცი ცეცხლთ მისცა, სული აქვს ანგელოზთ მინაბარები.

50

პირველად ცეცხლი დააგზნეს, მაშიგ ჩაყარეს რკინანი.
მაშინ რაღაცა მოეხვნეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს, თუ: მრჯულზედ მოიქეც, დააგდე იგი წინანი,
თვარე სასჯელი ეს არის, რა ნახო, შენცა ინანინ.

51

რა ეს ნახენ, აუტირდეს ხელი–ერთად მოახლენი,
ყველა ფერხთა ეხვეოდა, პირსა ხელი მოახლენი:
მნუ გასწირე თავი კარგი, ჯერ უებრო, მოახლენი,
ნუ გაგვყარე მზისა შუქსა, ბნელს ნუ ჩაგვსხი მოახლენი!

52

მზემან მხლებელთა უბრძანა: მჟამ ერთ აწ ეწამენითა,
ქრისტეს იესოს ღვთის მადლსა, მოდით, თქვენც ეწამენითა,
თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითან.
ვა ქაღალდისას მოთქმანი, ვით ვთქვა აწ ამ ენითა.

53

მოთქმიდა: მნორჩო ალვაო, ტანად ზრო, განა თვალითა,
ხელმწიფობითა გაზრდილო, ტურფაში განათვალითა,
მარგალიტითა შემკულო, მოხდომით განათვალითა,
აქამდი შენმა მჭვრეტელმან რა ვნახე განა თვალითა!ნ

54

მვა არსად გახლავს ლაშქარნი, ჯალაბნი თავდადებისა,
თავს გადგენ, ნახონ პატიჟი, სასარჯლოდ ცეცხლი გზებისა,
ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა არ მოხდებისა,
ესდენი რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა!ნ

55

მსულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო, დააგდენ ბუდენი,
გულო, საძირკვლით აღმოხე, მოირღვენ გარე ზღუდენი,
ტანო, ზე ნუღარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,
ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენინ.

56

მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა,
ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა,
ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა,
მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა.

57

მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა,
უბრძანა. თუ: მაქ დამიხვდით, აჰა, ღმერთი ვისაც გწამსან.
მან შეჰკივლა, ხელი იკრა თავსა, პირსა, თვალ–წამწამსა.
რაზომ სხვანი გააკვირვა, ვერ მოშალა: მიგი გვრწამსან.

58

მხედართ ხელი ჰკრეს, გააგდეს კარიდაღმ თავშიშველია,
სხვა ღონე ვერ ქმნა, მოივლო მან გარეშემო გველია;

წინ გივი შემოეყარა, იქ თურმე მიმავალია,
წელთა მოიხსნა, მოხვივა თავს შალი საფარველია.

59

შესტირა: მვაი რა ვნახე, ეს რა დღე მოვინახიო?
შეიპყრეს ხელთა მნათობი, იგი უებრო სახია,
წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მჭახია,
მე ასრე გარ გამომაგდეს, შენ რომე დამინახია.

60

ასმათი თავ-გაგლეჯილი, მკერდამდი სისხლთა მღვრელია,
რაჟამს გააგდეს თინათინ შემცდარი, ვითა ხელია;
ნობათი მოხვდა, მონახეს მერმე გიორგი მღვდელია,
პოვეს, აჩვენეს ყოველი მას იგ, რაც სატანჯველია.

61

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები;
ლახვარნი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები,
შეკრთა ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები,
გულსა ჩაეხმო, ვერა ქმნა სასარჯლო ანგარიშები.

62

შეუზახა: მიმერელო, რად დაგერთო აგრე თრთოლა,
აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა,
განა არვის გარდახდია სასჯელი და ასრე წოლა?
ვინ დარჩება ქვეყანაზედ? დ ბოლო გვიჯობს ასრე რბოლან.

63

მიცი ხომ, ქრისტეს რა უყვეს, მას სასწაულსა ღვთისასა,
ლერწამი ფრჩხილსა დაავლეს დამხსნელსა ადამისასა,
ლურსმითა ძელსა მიაკრეს, ჰყოფენ ნებასა მისასა,
რად არ იჭირვი, ეღირსო საქმესა წამებისასა?ნ

64

რა სასჯელს ვერვინ შემართა, ვერცვინ ქმნა მის ოდნობანი,
რა ხელი ჰყვიან, შეიქნის თავით ფერხამდინ დნობანი,
რა ქრისტეს ზურგი აქციეს, ქმნეს მაჰმადისა ნდობანი,
რა ესე ჰკადრეს მას მზესა, ვეღარ დაატყვეს ნდობანი.

65

ახედნა, ერთი სიტყვანი მაშინღა ბრძანა ახითა:
მთქვენც იცით, ყოვლი დედანი ვართო ერთისა სახითა,
აუგი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწრფების ნახითა.
მაზედ რაცა ისაჯეთ, ჰქმენით, არა ვარ ზრახითან.

66

მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქმნეს მათი აჯები,
აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა, თქმითა აქ ვისაჯები.

67

ვა მე, იმ დღისა მხსენესა, დამვიწდა დღენი წინანი!
მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი,
მე ავაზაკი, შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

68

ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი.
ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,
მაგრა არ გაწყდა ტანჯვისა გულზედა დასაწვინანი.

69

ჯიღად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებდა საჯებია,
ვარდად ცეცხლი, ქინძისთვებად შამფურებით ირჯებია,
ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებია,
ყოლ ბაღებად გაძაბული თოკით ჰქონდა მაჯებია.

70

დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ჭირები,
ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრო, განსაკვირვები,
მე მამაკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები,
ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!

71

მან წმინდამან მას ჟამს იქით არა ყოვნა წამსა ერთსა,
სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა,
სამოთხეში მიელიან ქალწულებში შენაერთსა,
ირინე და მარინეო, იქმენ მათში განაერთსა.

72

ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო,
იესო ქრისტე ადიდეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,
გვარჯასპისშვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო,
მისმან მკვლელმან ქმნა მას აქეთ კარგი, ვერც არა ვერმანო.

73

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკვდარია,
თქვეს: მფრანგნი მოიპარავდეს, თუ სად დაეცათ დარია.ნ
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

74

ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა,
ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა,
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა,
არავის მისცა შაჰ-აბაზ, ცოდვითა აივსებოდა.

75

მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა,
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწიგნობარებსა,
ლუსკუმაშიგან ჩაიდვეს, უკმევდეს მუშკ-ამბარებსა,
იგი ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდგის კარებსა.

76

მათ აწამეს წმინდა ესე სეკდენბერსა ათორმეტსა,
შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,
საქართველო აღებულა წელს ნაჭამი ათერთმეტსა,
მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი ნათლის სვეტსა.

77

ღვთისა მიერ მორჩილობა თურე იყო გულსა მათსა,
ამად იყო უვნებელი, დაყოვნებით წელსა ათსა,

მას სიკვდილი ვერ მოჰკლავდა, ღვთის ტრფიალსა მინა-სათსა,
ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კიბისასა.

78

ვითარცა ყოვლი საჩინო, ნებროთს გმირობით უხმობენ,
სამისოდ ფილოსოფოსთა და ბრძენთა ენა უხმობენ,
რიტორნი მრავალ-მეტყველნი რა მივლენ, ნახვენ უხმობენ,
ვერ შეიგნებენ ქებასა, არიოპაგელს უხმობენ.

79

ვით ითქმის ქება მეფისა, ღვთივ დაცულ, დაფარულისა,
აწ დაუმკვიდრდა დოვლათი ეტლითგან არ ფარულისა,
მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,
მოშორება აქვს ვეშაპსა ღრუბელთა მოარულისა.

80

წერს, იტყვის: მვა, დავემარხე მე სიკვდილისა წინარე,
ტყვექმნილი, შეჭირვებული, ვიგონებ თვალთა წინარე
ორისაგანვე გარჯილი გუბე მიდგს ცრემლთა, წინ არე.
ტრედო, მიმიძეღ სიონად, წამიძეღ, შენვე წინ არენ.

81

ესე დღე აღსასრულისა ჟამთა და წელთა ჩემისა,
ვერ განვიწმინდე ცოდვანი სულთა ნუგეშის ცემისა,
ძვირის ვნებითა ვნებული, გინება მისდა ცემისა,
სულთა და ხორცთა გაყრაში, რაღა ვთქვა მის დაცემისა!

82

ოდესმე წავდგე შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებული,
ოდიდგან ცოდვით მოსილი, არ მადლით განბრწყინებული,
ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ წარდგინებული,
მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყინებული.

83

ჯერ, ღმერთო, არა ვარ ღირსი თვალთა მე ზეცად ახილვად,
ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მაღლისა ცისა დახილავად,
რაჟამს მოვიდეს გაბრიელ ცოდვათა ჩემთა დახილვად,
მას თვალნი ვეღარ შევადგენ, ვიყო კვლა დაღმა დახილვად.

84

აწ ესე მიკვირს, რამცა ვქენ საქმენი გასაჩინელი,
მე ვკადრე ხელის მიყოფა, იყო ბრძენთ გასაჩინელი,
თუცა მსუროდა, სევდითა ვიყვენით ცრემლთა მდინელი,
თვარე მას უხმდეს მეტყველად თვით იოვანე სინელი.

85

თქვენ, გონიერნო, მკითხველნო და ლექსთა შემამკობელნო,
ძნელისა გამომგებელნო, სიტყვათა შემაწყობელნო,
რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო,
თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნო.

86

ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი,
თქმული ჩემი ვინც შეცვალოს, კარგი იყოს, თუნდა ავი,
რჯულისაგანც შეიცვლების, რისხვას მისი საესავი,
მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არის ბოლო თავი.

პოემა - ხილთა ქება...

1
მარწყვმან თქვა: «მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრებს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილია,
წინ რასა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილია,
მისგან ჩივიან ყველანი - «ვჭამე, მომკვეთა კბილია».

2
ტყემალმა უთხრა: «შეგარცხვენს ეგ შენი საუბარია,
უარესი ხარ ყველასა, არა ხარ ხილთა დარია,
თავსა მოგჭამენ ჭიანი, - ძირი გაქვს მეტად მწარია,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცარა სანუკვარია».

3
ბალმან უთხრა: «ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა თეთრად ავაყვავებ, დავამშვენებ ჩემსა ძირსა,
თავსა ბროლსა დავამსგავსებ, მერმე ლალსა გამჭვირვარსა,
შაქრის მსგავსად გარდვიქცევი, რა ჩამიდებს კაცი პირსა».

4
ჟოლო იკადრებს ქებასა: «აწ ვიტყვი, რაცა მხვდებისა,
მოვლენ ყველანი მფრინველნი, ჩემზედან შემოსხდებისა,
კაცნი მრავალნი მეძებენ, ადვილად ვერ მომხვდებისა,
სიყვარულითა ჩემითა მჭამენ და ვერ განძღებისა».

5
კიტრმან თქვა: «რაღა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა:
ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა?
გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, მერმე თავი ვარ სნებისა,
ვინც რომ ჩემითა გაძღების, ციებაც შეექნებისა».

6
ნესვმან თქვა: «ვჩივი ამისთვის - მიწასა მომაყრიანო,
მოვლენ, მეძებენ, მპოებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო,
რა გავიზდები, საჭმელად ყველანი მინატრიანო,
ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო».

7
თხილმან თქვა: «გკადრო მართალი ჩემი პასუხი გულისა.
ყველანი უბნობთ, იკვეხით, მე იმან გამაგულისა,
სალხინოდ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,
კბილისა მატკინებელი, მერმე დამწველი გულისა».

8
მაყვალმან უთხრა: «არა ვარ ხილი თქვენებრი ქებული,
უარესი ვარ ყველასა, არვისგან მოწონებული,
ზედან მასხია ეკალი, ვარ მისთვის დაწუნებული,

თეიმურაზ მეორე

მეფე თეიმურაზ მეორე ბაგრატიონი - პოეტი - ხილთა ქება (კახეთის მეფის ერეკლეს მეორეს მამა)

პირველ გახლავარ ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული».

9
საზამთრო იტყვის: «ნუ უბნობთ, მე არვის დაგიცილებო.
თავსა ნუ იქებთ ჩემთანა – მე ყველას დაგაწბილებო,
მე ჯალინოზ ვარ ექიმი, სნეულთა მოვალხინებო,
სიცხითა შეწუხებულსა მე გულსა მოუგრილებო».

10
ატამმან უთხრა: «რა გკადრო საქმე ქებისა ჩემისა?
უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა,
შეყრა უხარის ყველასა ტურფისა სანახავისა,
მე და ნესვი ვართ ყოვლისა ამშლელი სენთა თავისა».

11
ვაშლმან უთხრა: «შვენებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი,
ვარ ყოველთა საქებარი, მე ვარ თქვენი მაქებარი,
სალხინო და სანადიმო სუფრაზედან სადებარი,
გულის ჭირის უკუმყრელი – არად უნდა საუბარი».

12
ბროწეულმან თქვა: «უბნობთო მართლითა სამართალითა,
ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა,
დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა».

13
ნიგოზმანცა თქვა: «მე კაცნი ჯოხსა მესვრიან ხელითა,
გამტეხენ, ტყავსა გამხდიან, პირს ჩამიგდებენ ხელითა,
გულითა მასპინძელი ვარ ნიადაგ მხიარულითა,
კაცსა საჭმელსა შეუმკობ, კიდეც ვალხინებ სულითა».
14
ყურძენმა უთხრა: «ვაგლახ თქვენ, რას უბნობთ ცუდ-მაშვრალია?
კაცნი ყოვლისა ქვეყანას ჩემგან არიან მთვრალია,
– ჩემთანა თქვენი ხსენება დიდი ცოდვა და ბრალია, –
გული ექმნების ლომისა და მერმე დევთა ძალია».

15
ქლიავმან უთხრა: «იკვეხით, არა ხართ ჩემი დარია,
ყველა უგვარო შეყრილხართ, ცუდი გაქვსთ საუბარია,
ამ ცოტას ხნისა სიცოცხლე რა თქვენი საკვეხარია?
უფრო უყვარვარ ყველასა, ვარ მათი სანუკვარია».

16
სხალმან თქვა: «მეცა მაუბნეთ – არა ვარ თქვენი დარია,
ჩემი ხე თეთრად აყვავდეს, გაეღოს გულის კარია,
როდეს მწიფობა მოვიდეს, ერთმანეთს უთხრან: «მარია»
ავადმყოფს ვარგებ, და მთელსა შაქრად გაუხდეს პირია».

17
ჭერამი იტყვის: «თქვენ ჩემსა ვერ იტყვით ვერას ძვირსაო,
ჩემი ხე თეთრად აყვავდეს, მსმელნი სხდეს მისსა ძირსაო,
როდესაც თვალი შეერთვის, მოინდომებენ ჭირსაო,
კაცი მჭამს – ჭირსა შეიყრის, მერმე მაგინებს ფირსაო».

18
ალიბუხარა იკადრებს: «მომჟავო ვარო მე დია,
წამლად მეძებენ ყველანი, არ მედარების მე ბია,
ყველა ტყუიან ჩემთანა: კვინჩხო, რას იარებია?
დრამით ამწონენ ვაჭარნი, მე მაქვს ასეთი ბედია».

19
აწ უნაბი მოახსენებს: «ჩემი ქება თქვენ რა სთქვითა?
ყირმიზი ვარ ლალივითა და მკურნალი მე თავითა,
აქიმები დამეძებენ, ზღვას შედიან სულ ნავითა,
ჩემთან ყველა ცუდი რამ ხართ, შეიმოსნით თქვენ შავითა».

20
შინდი იტყვის: «შემოდგომას ჩემი არის გახარება,
ყველას უწინ ავყვავდები, კაცი ჩემკენ იარება,
ყირმიზობით ლალსა ვჯობვარ, არსად მინდა მე ტარება,
სანუკვარად ისეთი ვარ, ყველამა თქვას ნეტარება».

21
ფშატმან თქვა: «ნეტამც იკადროთ თქვენ ჩემი შემოხედვაო!
საჭმელად შესაქცევარი. ხელს მოუჭირებ ჰხედაო,
მზის შუქი ასე დამაჭკნობს, ყველა მე მეტყვის «ბედ-აო»
ჩემის ყვავილის სურნელი ყველაყამ იცით ხედაო».

22
ლეღვი ამას მოგახსენებ: «ტკბილი ვარ და შვენიერი,
სამოთხიდამ გამოსული, მე ძირი მაქვს ნებიერი,
ქრისტე ღმერთმან მომიწონა, მე საჭმელად მომყო პირი,
თუ გაძღების ჩემით კაცი, მოეცემის მაშინ ფერი».

23
მალაჩინ სხალი იკადრებს ხელმწიფურისა ენითა:
«ყოვლის ხილისა უფროსი, საჭმელად შაქრად მთელითა,
არავის დაგედარები – სიმართლე თქვენცა ჰქენითა! –
ყველა ხართ კაცის ურგები, მუცელს აავსებთ სენითა».

24
კომში იტყვის: «მოისმინეთ, თუ რას ვიტყვი ჩემს ქებასა;
ხესა თეთრად ავაყვავებ, ბამბას მოვართმევ დედასა,
როს გავყვითლდები, სუნი მაქვს, მე მუშკ-ამბარი მბერავსა,
სანუკვარი ვარ სუფრისა, ყოველი მსმელი მხედავსა».

25
ხურმა ბრძანებს: «ჩემო ძმანო, მე თქვენი ვარ ხელმწიფეო,
ნახეთ ჩემი გემო, სიტკბო, მჭამელთათვის სიეფეო,
ასრე ძვირად ვიშოვები – ძლივ მიშოვნის მე მეფეო,
ინდოეთით გამოსული, ტირილით ცრემლთა მჩქეფეო».

26
თურინჯი ბრძანებს: «არ მინდა მე კაცთა ქებანიაო,
ხელმწიფეთ სანუკვარი ვარ, არ მაქვს მე კლებანიაო,
ყვითლად მომიბამს ჩემი ხე, არა მაქვს ზოგანიაო,
ნურვინ მედრებით, არა ვარ თქვენი ძმა, არც დანიაო».

27
აწ ნარინჯი მოგახსენებ: «არც მე ვარ უარესია,
ჯერ ვარ სამოთხით მოსული, მერმედ ხელმწიფედ ესია,
ზამთრით, ზაფხულით ჩემი ხე მწვანე და მშვენიერია,
ყველას უყვარვარ სულითა, არა ვარ წამად ბერია».
28
ლიმონ იტყვის: «სიმჟავითა არვინა ხართ ჩემი დარი,
მაგრამ ფერი მეც კარგი მაქვს, ამითა ვარ თქვენი დარი,
ჩემი წვენი წამალია, არ ტყემალთან დასადარი,
თქვენ ამისი სწორი რა გჭირსთ? – ჩემს მჭამელს აქვს ავი ქარი».

29
პანტაცა სხალი ერევის: «მუდამ ვარ ხმელი ჩირაო,

ყოვლი ნადირი მე მეძებს: დათვი, ღორი და სირაო,
სოფლად მივქონდე ურმითა, არვინ გაიღოს ქირაო,
შავი ვარ და დამჭნარი ვარ, მე არ მივარგა პირაო».

30
კვინჩხი იტყვის: «შენ რას ამბობ? შავი ვარ და მარგებელი,
ჩემს ხეზედა ბულბული ზის, შენ მოგძებნის ყოვლი მელი,
ავადმყოფსა მოუხდები, და კაცი მჭამს მერმე მთელი,
სიმდაბლითა ნუ მიწუნებ, მე არა ვარ აგრე ბელი!»

31
ფისტა იტყვის: «თხილო, შენ ხარ ავის გვარით გამოსული,
კბილისათვის მაწყინარი, შენ გამოგდის ავი სული,
მე ვარ კაცის შემაქცევი, მწვანე არის ჩემი გული,
პირი სრულად გაშლილი მაქვს, არ ამომდის ავი სული».

32
წიფელი გაებაასა ფისტას, თხილსა და კაკალსა:
«თქვენი ლაყაფი ცუდია, დავეგვანები მე ლალსა,
კუბოში ვზივარ, გამოვალ – ზამთრივ ვახარებ მელასა,
მაღალს ხეზედან ვასხივარ, არ თუ დაბალსა თელასა».

33
კუნელი იტყვის: «მე თქვენში ვერა მჯობია ხილია,
როს ავყვავდები, მას უკან წითელი ვარ და ლბილია,
მაგრამ საჭმელად ცუდი ვარ, არა მაქვს ავი ჩრდილია,
ყოვლი ფრინველი წამიღებს, არა მჭამს ტურა, მგელია».

34
დათვი-თხილა უკან მისდევს: «მეც აქა ვარ ხილიაო!
ღორი, დათვი, მელა, მგელი – ჩემთვის ყველა ლხინიაო,
მამძებნიან, მიპოვნიან – ჩემს ქვეშ წვანან მთელიაო,
რკოვ და წიფელო, რას ლაყბობთ? – ნურც ფერობას ელიაო».

35
რკო და წიფელი გაიბრჭვნენ, არვინ ახსენეს მრთელია,
რკო ამას იტყვის: «მრთელი ვარ, ჩემით გაძღების ღორია,
კაცთა საჭმელად მეძებენ, მე შემამტყორცონ ტორია,
ვინცა სჭამს წიფელს, გულს დასწვავს, ჭირი არა აქვს შორია».

36
ასკილი ეტყვის კუნელსა: «ვაი შენ, ცუდათ ჰქარაო,
მე ვარ კარგი და ლამაზი ენად მოყბედი ჩქარაო,
ჩემი ყვავილი შენა გჯობს, მზესა არ დავიფარაო,
შემოდგომაზე მწიფე ვარ, ქალ-ყმანი მოვლენ ფარაო».

37
აწ ნუში იტყვის: «ამითა ვერ იტყვით ჩემსა ძვირსაო,
ჩემი ხე წითლად აყვავდეს, ლხინია მისსა ძირსაო,
კბილისა მატკინარი ვარ, მით მაგინებენ ფირსაო,
წამლად, საჭმელად კარგი ვარ, ამით ვჯობივარ ხილსაო».

38
პური და ღვინო გაიბრჭვნენ, არც ერთი არას იტყვისა;
პურმან ეს უთხრა ღვინოსა: «ყველანი შენთვის ყმუისა,
თუ ჭირვეული არ იყო, მე ვიტყვი შენთვის უისა,
ჩემით გაძღების ქვეყანა და ნახვა ჩემი სურისა».

39
ღვინომ უთხრა: «შენმა მზემან, პურო, გრილი ხარ დიაო,
მამწონს შენი სიბარაქე და ღერო შენის ხისაო,
მრავლად გამოვა ნაყოფი, ყველასთვის მითქვამს მეაო,
განა არ იცი, უჩემოდ შენი არ წაღმა სვიაო?

40
ორივ ერთად შევიყარნეთ; ყოვლს სულდგმულს ჰშვენის ფერია,
ხელმწიფენი და გლახაკნი – ჩვენგნით იხარებს მთელია,
ბაღი, ბაღჩა და ხილები სახსენებელად ჩვენია,
ჭკვიანი ხელად გარდიქცეს, უჭკვოს მიეცეს სენია».

მეფე, **დემეტრე პირველი** — პოეტი.

შენ ხარ ვენახი“ — შუა საუკუნეების ქართული იამბიკო და გალობა, დაწერილი საქართველოს მეფე დემეტრე I-ის (1125-1156) მიერ. კომპოზიტორი გალობისა უცნობია და ხალხურადაა მიჩნეული. „შენ ხარ ვენახი“ ერთ-ერთია იამბიკოების სერიიდან — „ღმრთისმშობელისადმი“, რომელიც დემეტრემ, სავარაუდოდ დავით გარეჯის მონასტერში ბერად ყოფნისას დაწერა. საკუთრივ გალობა, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია შუა საუკუნეების ქართული მრავალხმიანი მუსიკისა.

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
ალვა სულნელი, სამოთხესა მოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.
მეფე დემეტრე [1]

ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა...

მეფე, **ვახტანგ მეექვსე** – პოეტი

მე შევამკევ ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი,
აბრამს უხმე საყვარელად, ძედ აღგითქვი თემთა მზღვარი,
განვამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.

შევაძრწუნე მეგვიპტენი, რისხვით მივეც დანამწვარი,
აღვაშფოთე სასწაულით, მოუვლინე მკალი, მყვარი,
განვიყვანე ხელთა მათგან უჭირველად განაგვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი.

ღამე უძღვი ნათლის სვეტით, დღე ღრუბლით ვჰყავ იგ მოარი,
ზღვა განუპე, განვიყვანე, მწყურვალთ მივეც კლდისგან ღვარი,
არ განუცვდათ სამოსელი, მანანით ვქმენ გამაძღარი,
ნაცვლად...

შევიყვანე აღთქმის თემსა, დაუმკვიდრე მთა და ბარი,
სულ აღვხოცე მტერნი მათნი და დავადევ მათი ზარი,
მეფენი და წინამთქმელნი მივეც მათი გამაზარი,
ნაცვლად...

ხორცი ვისხენ ქალწულთაგან, ვიქმენ მათი შენამყვარი,
ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინე მათი მკვდარი,
ნაცვლად...

ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა...

შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჟამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელთ-მოძღვრის [პალატს] მივიდნენ გასატანჯველად, ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამ-და-წამისა,
ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!

სულხან-საბა ორბელიანზედ...

რადგან დაშვრა ასე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მევლო, გინდა მეცა,
საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი, კიდეც მეცა.

სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექვს წელს იკითხა, სთქვა: ვერასი ვარ მმარხველი.
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი.
ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი.

ყველის ქება...

თოვლებრ სპეტაკი დაარღოს, ღვთისებრივ თვალებრ ბევრია,
მათუსალასებრ დღეგრძლი, მაგდანლებ მტილად მზერია,
გლახაკ ლაზარებრ სნეული, ესავებ ფაჩვნიერია,
ყველად ნუ აგდებ, თუ ეს ჭირს, ლათინთა დაუწერია.

რანი და, მოვაკანი ...

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა სიგძე და სივრცე, განი, და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,
ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

ჯოხზე დაწერილი

ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგვანობს, ამას დარობს,
ამის ტოლი რომ მივაკრათ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს,
ვერვინ გასტეხს მწვე ადვილად, მოზიდვითა თუ ვინ ხმარობს,
ერთი, დიაღ, მალ გატყდება, ცოტა ძალი მალ ეკმაროს.
ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს,
ესეც ძალუც დაიბჯინო, მოგისვენოს, მოგეხმაროს;
სწერო ზედა საღმთო სიტყვა და საერო რომ გეკმაროს,
ყველა კაცთვის სახმრად იქმნა, თუ კარგისთვის არ იზაროს.
მართალ არს ერთი პირობა, ბევრთ სუსტისა მძლედ მაგრობსა,
ვით ეს ფიცარი ერთ სუსტი, თუ სხვაცა თანა მყარობსა.
უსაქმობასვე საქმე სჯობს, თუ ვინმე ცუდად მჯდარობსა,
ნუ თუ რას ველით ხან წავლით, ნუ ვინმე შემუდარობსა.
ვაი, სამნეო, სამნეო, ასე რად გამისამნეო,
არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო,
უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რად მაწამნეო.
მსახურთა მისთა უბრძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო.
ის დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო.
დავჯექ და ღმერთსა ვეხვეწე, ეს საქმე დამიამნეო.
ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლავ ნუღარა იქ სამნეო.
ქალ თუ ყოვლისა მხედველი ვერა დროს ვერა ნახავსა,
მეფე ხანდიხან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა.
სხვა კაცი ყოვლთვის უყურებს და მათსა სახეს სახავსა,
ბრძენად ჩავაგდებ, ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა.
ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული, სული უყვარს და ფერები,
რომ იმისთანა შეიქნას, ქონდეს ასეთი წერები,
ის უგუნური მას ცდილობს, კარგ იყოს შესამზერები.
სახედ უქნია მოქმედსა, ვიყოთ მის შესაფერები.
ცრუ არის, ვინც სოფლისათვის ზრუნავს, ჭმუნავს, შეწუხდების.
ღმერთმან იცის, ვინ იშოვნის, ვინ იღვწის და ვის მიხვდების.

ქართველი მეფეების კალიგრაფიული ხელმოწერები:



ქეთევან წამებულის

თეიმურაზ I -

დავით II (კახეთის მეფე) -...

ალექსანდრე II (კახეთის...

ლევანი (იმერეთის მეფე) ...

ვახტანგ V -

სოლომონ მეფის



არჩილ II -



გიორგი VII (საქართველო...





ჩვენი ენების ეთნოლოგიური პოეზია

არქიმანდრიტი სერაფიმე (გოგი) ფილია
მღვდელთმსახური, არქიმანდრიტი – თბილისი

* * *

თუმცა მკითხველი თავს არ იტყუებს.
ვიღაც კვლავ წერს და ვიღაც კითხულობს,
ვიღაც ხმამაღლა გადმოსცემს ფიქრებს,
მკითხველს კი მისი უნდა ირწმუნოს,
გულს დაუტევნელს ვინც მისცემს სიმხნეს.
რომ სიტყვამ ხმაში არ იდიდგულოს,
გამოესარჩლოს დროსა და სივრცეს,
ფიქრით ფიქრებში თუნდაც იმრუშოს,
მაგრამ არ ავნოს მწერალის სიბრძნეს.
(სირყმეს).
სიტყვამ მკითხველზე უნდა იზრუნოს,
რომ დაწერილი წაკითხვად ღირდეს,
მტერიც მოყვარედ უნდა გიგულოს,
და დასაბამი სიყვარულს მისცეს.
არა ავსულად მაგრამ იხუმროს,
გასცეს პასუხი დაუსმელ კითხვებს,
და პირი მისკენ უნდა იბრუნოს,
ვინც რომ დაეძებს სრულყოფილ სიბტყეს.
მან საწურთოში უნდა იწურთოს,
და ყოფიერის არ აყვეს სიზმრებს
სულის სირღმეში ისულდგმურყუროს,
ცოდვა და მადლში ეძებდეს იმედს.
ვიღაც კვლავ წერს და ვიღაც იწუნებს,
ვიღაც სხვის ფიქრებს გაგებით ითმენს,
თუმცა მკითხველი თავს არ იტყუებს,
და ყველა თავის სამყოფელს იღებს.

რასაც ლექსი თითქოს მალავს

ვერ ჩააქრობ გულში ხანძარს,
მაშინაც კი როცა თოვს,
და ზაფხულში მოსულ ზამთარს,
აუტეხავს ლექსი ომს.
    მოგიყვება ნაცნობ ამბავს,
    რომ სივრცეზე ნაწყენ დროს,
    ემალება როგორც ნაძრახს,
    გული ძგერით სადღაც შორს.
აუყვება სევდა აღმართს,
კალმით თეთრი ფურცლის მოლს,
გაგახსენებს მასში მავალს,
რომ სოფელში წუთი გგმობს.
    ჩაძინებულ დახლთან ამქარს,
    გაახსენებს გულის სწორს,
    პატარძალთან მიჯნურ მაყარს,
    ცხადში ნათამაშებ როლს.
გაგიმზადებს მწუხრი სამხარს,
ჯვარზეცმულთან ომში მყოფს,
რასაც ლექსი თითქოს მალავს,
თან მის ახლოს ყოფნას გთხოვს.
    ყოფნას გთხოვს და როგორც აბჯარს,
    ფიქრს გაგატნევს სულში მწვდომს,
    გამოგიხვევს გზაზე საგზალს,
    გულის ძგერით მავალს შორს.

7 ივლისი ვაჟას ხსოვნა

ნეტავი ვისი ბრალია დედამიწა რომ მთვრალია.
(ვაჟა-ფშაველას მოტივები)

ნეტავი ვისი ბრალია?.
დედამიწა რომ მრგვალია,
სადღაც წვიმს სადღაც დარია,
ყოფნა არყოფნის ვალია.

სადღაც თვალთმაქცობს ბუნება,
ლაჟვარდობს მზე და ხვავია,
თუმცა გვაბრუებს ცდუნება,
გიზიდავს მაგრამ მცდარია.

არწივი მთაში ნავარდობს,
მტრედს ბულბული აქვს მკრთალია,
“ძუ იყოს გინდა ხვადია “
ფერს არ შეიცვლის ყვავია.

ლომი მეფობით ამაყობს,
იქვე ბალახს ძოვს კრავია,
თან გტანჯავს და თანაც გათრობს,
როცა გაგირბის თვალია.

ნეტავი ვისი ბრალია?
დედამიწა რომ მრგვალია,
ხან რომ მართალიც მტყვანია,
სად არის სამართალია.

დრო და სივრცეში საწურთოს,
ფუძე რად არ აქვს მყარია,
სიცოცხლე სიკვდილს რომ უთმობს,.
(წუთს სოფელი რომ არ უთმობს)
მას რა აქვს საწინდარია.

საფლავში მტყვანიც მართალიც,
ერთი მეორის დარია,
მეფე მღვდელიც და წარმართიც
ყველა დარჩება ძვალია.

ფართოდ გაღებულ დარაბებს,
რით სჯობს დახშული კარია,
გული საგულეს თუ არ ძგერს,
იქ არ შედგება ზავია.

ნეტავი ვისი ბრალია?
დედამიწა რომ მრგვალია,
ზოგი რომ თავმდაბალია,
ზოგს კი სული აქვს მყრალია.

“სამშობლოს ნურვის წაართმევ”
როცა გმირობა გწადია,
თუკი ზღვარს სწორად გაავლებ,
გმირი მაშინ ხარ ცხადია.

იქ სადაც სიტყვა იდიდა,
რჯულსაც გაუჩნდა ბზარია,
მტერი მოყვარემ იშვილა,
მკვდარს არ მოაჭრა მკლავია.

ოდესღაც მხეცი მძვინვარე,
უმალ გახდება მხდალია,
როცა გაიგებს მძინარე,
რომ ეს ცხოვრება წამია.

არჩევნის თავისუფლება,
რომ ძნელი სამართავია,
როცა ყველას აქვს უფლება,
და დედამიწა მთვრალია.

ვიღაც მიყურებს როგორც რომ შეშლილს.

დღისით კვლავ ქარის წისქვილებს ვებრძვი
ღამით კი ცრემლით ვწმინდავ სასანთლეს,
ვიღაც მიყურებს როგორც რომ შეშლილს,
მაგრამ ლოცვას დღეს მაინც აღვავლენ.

არ ვეთანხმები ხელოვნურ წესრიგს,
ვიღაც ძალით რომ მიხნავს აღმართებს,
არც იმ სამართალს და არც იმ ვერდიქტს,
თვითონ რომ ითხრის თავის სამარეს.

ღალატისათვის განწირულს ჩემ წილს,
შევთხოვ შენდობას ვეტყვი ჩემს სათქმელს,
მუხლსაც მოვიდრეკ და მერე ძებნილს,
შევეგებები ისევ ალალ-ბედს.

სული კი ისევ იმ სასმელს ეტრფის,
რომლის შესმასაც ვერვინ ამართლებს,
ყოფადს ცნობადი როდესაც შეცვლის,
კვლავ დავიბრუნებ კუთვნილ სავარძელს.

ყოფნა-არყოფნას ლოცვაში ერწყმის,
როგორც დაღლილი მთვარე ამ ღამეს,
სული ჯვარზეცმულ სიყვარულს ელის,
და სანთლად ანთებს ცაზე ვარსკვლავებს.

ეს ლექსიც ალბათ დაშვრება სევდით,
თუმც მაინც იტყვის ბევრის სადარდელს,
და დაუდგება სიმართლეს გვერდით,
გულში დაფარულს თუკი გაამხელს.

დღისით კვლავ ქარის წისქვილებს ვებრძვი
ღამით კი ცრემლით ვწმინდავ სასანთლეს,
ვიღაც მიყურებს როგორც რომ შეშლილს.,
მაგრამ ღოცვას დღეს მაინც აღვავლენ.

ფიქრს რომ შეეხე ცხელი ვნებებით.

ბრძოლის ველზე ხარ როცა ფიქრებით,
გადახსნილი გაქვს მაჯა-ვენები,
ორი ბუნების გამყოფ სიმრთელით,
დგახარ და ვერცერთს ვეღარ ელევი.

თეთრ ფურცელს ეძებს ფაფარაშლილი,
გაუხედნავი ლურჯი ცხენებით,
საწერ-კალამი გულგადაშლილი,
ბორკილ დადებულ მტკიცე ხელებით.

სული სულს ღაფავს და არ ჩერდება,
მაინც წინ მიდის სვენებ-სვენებით,
თავისუფლება აღარ გნებდება,
თუმც ემუქრები გადაშენებით.

თითქოს ეხები დროსა და სივრცეს,
გულის ფანცქალით ფერებ-ფერებით,
დედა სამყარო კვლავ აკვანს გირწევს,.
და ვეღარ ძღები მისი მშვენებით .

კვლავ გაათენებ ამაღამ ცის ქვეშ,
ლექსად დამწვარი ციებ-ცხელებით,
და გაიხსენებ სანატრელ იმ დღეს,
ფიქრს რომ შეეხე ცხელი ვნებებით.

ფიქრი კვლავ ისევ საომრად გიწვევს,
ფიქრი დაღლილი ჭენებ-ჭენებით,
გაჩვენებს ფარულ სამყაროს შიშველს,
და შენ უსიტყვოდ ტკბები ჩვენებით.

ბრძოლის ველზე ხარ როცა ფიქრებით,
გადახსნილი გაქვს მაჯა-ვენები,
ორი ბუნების გამყოფ სიმრთელით,
დგახარ და ვერცერთს ვეღარ ელევი.

წიწამურთან კი ისევ ხსნილია.

როცა წერ იცი რომ სამხილია,
სიტყვა გონებით თუ განცდილია,
კამათი დღესაც ძალზე ხშირია,
თუ რატომ მოკლეს მაშინ ილია.

თუმცა მიზეზი ძალზე მწირია,
წუთი ამ სოფლის როცა შვილია,
კვლავ მეორდება გასაკვირია,
დღეს ისევ კლავენ ისევ ილიას.

ღმერთო სათქმელად რა ადვილია,
(სინდისი როცა კვლავ მარტვილია)
მარტვილობა რომ შენი წილია,
ტყვია ესროლეს და თან ყვირიან,
თურმე ვიღაცამ მოკლა ილია.

გასამრჯელო კი გადახდილია,
მაგრამ ცხოვრება მაინც ძვირია,
გმირი დღესაც ხომ ის ყმაწვილია,
წიწამურთან რომ მოკლა ილია.

გვიანღა ვხვდებით თუ რა ხილია,
ლაბირინთებში რომ არ გვივლია,
ყოფნა არყოფნით განაწირია,
წიწამურთან კი დღესაც ხსნილია.

ჭეშმარიტება სიყვარულს ქსოვდა. როდესაც გავხდი მისი მსტოვარი.

ღამე მთვარესთან ალერსით თრთოდა,
ყოფით სამართალს თლიდა მორალი,
დრო კვლავ სივრცეში მდუმარედ ბჭობდა,
დაღლილ გონების მონაპოვარი.

ყოფნა-არყოფნას სამართალს თხოვდა,
ფუჭი კამათი ათასწლოვანი,
ჯვარცმულ ღამეებს მაინც არ თმობდა,
თავისუფლება შეუპოვარი.

ვიღაცა თურმე მცდელობით ცხონდა,
სხვას კი სიცოცხლე სწადდა მცხოვანი,
სადღაც ცხელოდა სადღაც კი თოვდა,
რაღაც ხდებოდა გაუგონარი.

გონება ყველა საწყისებს გმობდა,
იღბალს ღალატის სდევდა ყორანი,
ჭეშმარიტება სიყვარულს ქსოვდა,
როდესაც გავხდი მისი მსტოვარი.

ღამე მთვარესთან ალერსით თრთოდა,
ყოფით სამართალს თლიდა მორალი,
დრო კვლავ სივრცეში მდუმარედ ბჭობდა,
დაღლილ გონების მონაპოვარი.

კმარა.

ამ კოკისპირულ წვიმაში, ჭაობად იქცა ჭალა,
შევებრძოლებით ურიცხ მტერს, თუ კი დაგვჭირდა მარა,
გული არ ცხრება ღალატი, თავს იჩენს წარა-მარა,
რამდენჯერ უნდა დავისვა, მაჯებს აღარ ჭრის დანა.

ერთი ნატვრა მაქვს მანამდე, სანამ იმ ქვეყნად გავალ,
ქართველებს შერიგებისთვის ღმერთო მოგვეცი ძალა,
ძმის სისხლში გასვრილ ხელებით, ვერვინ მოიმკის ყანას,
ფუჭია ძმასთან ძმის ბრძოლა ძმებო მე მგონი კმარა.

სადღეგრძელო.

წამოვა გულიდან გონების თანახმად,
აშლილი გრძნობებით თითქოს და გაგლახავს,
ცოტათი თავმდაბლად ცოტათი ამაყად,
შეკრავ და ერთ ჭიქა ღვინოში ჩაასხავ.

სხვის გულსაც მიწვდება და მერე ანაზდად,
წარსულზე ღიმილით მალამოდ დაასხავ,
ღვინოში ჩალბობილ ფიქრების კვალდაკვალ,
მოზიდულ მშვილდისტარს მიზანში გაარტყავ.

განცდილს და განსაცდელს გონება გამიჯნავს,
დარდიან საფიქრალს სიტყვაში ჩამალავ,
მტრისაგან დანგრეულ ღობეს და ციხისჯვარს,
გულიდან წამოსულ გრძნობებში აღმართავ.

საზღვრების ძებნაში სულს მისცემ გასაქანს,
შენს თავისუფლებით სხვისას არ გადახვალ,
თვით სიყვარულისგან ნაბოძებ შენს საქნარს,
კვლავ სიყვარულისთვის ომებში გახარჯავ.

წამოვა გულიდან გონების თანახმად,
აშლილი გრძნობებით თითქოს და გაგლახავს,
ცოტათი თავმდაბლად ცოტათი ამაყად,
შეკრავ და ერთ ჭიქა ღვინოში ჩაასხავ.

აფხაზეთს

ხანდახან ჩვენი უკუღმართი ცხოვრების მზირალს,
გული მიკვდება ვემსგავსები უნებლივ ფირალს,
სევდით ვიგონებ ჩემს აფხაზეთს ლამაზს და მზიანს,
მთებსა და ველებს, მოღიღინე შავი ზღვის შრიალს.

ძმობას სიყვარულს, მონავარდე ერთობის ხიდად,
ფეხქვეშ გეგებით, გულში ნადებს მოგართმევთ სიტყვად,
მინდა იცოდეთ მოგახსენებთ წყნარად და მშვიდად,
ობოლს ობოლი დედაჩემი მეც მარტო მზრდიდა.

ამ ქვეყანაზე მზის წალკოტი ის ერთი ციდა,
მეალერსება თუმცა შორით და თვალებს ხრიდა,
ბოდიშს მოგიხდით, გთხოვთ გამიგოთ მე ასე მინდა,
რომ სატკივარი ერთი გვქონდეს ორივე მხრიდან.

დაგვიანებით მიხვდები.

წერა დღეს გახდა ადვილი,
სიტყვა ვერ იტევს სათქმელს,
(ალბათ მიმიხვდით სათქმელს)
კალამი როგორც სამხილი,
როცა არავის ამხელს.

დაგვიანებით მიხვდები,
და გაიხსენებ გამჩენს,
როცა გონება მარტვილი,
გულში ჩასული გატკენს.

მაშინ დაითვლი წინსწრებით,
დრო და სივრცეში წამებს,
და გაგიჩნდება კითხვები,
წუთს რომ სოფელში არევს.

დაგვიანებით მიხვდები,
რომ ემსგავსები დამწყებს,
და რომ გამომთვრალს რითმებით,
გამოფხიზლება გმართებს.

გაიფანტება სიზმრები,
თუმცა კვლავ ეძებ სასმელს,
რადგან ფხიზელი ფიქრები,
გიპატიმრებენ აზრებს.

დაგვიანებით მიხვდები,
ოცდაათ ვერცხლის ამღებს,
როგორ უსიტყვოდ მიჰყვები,
ჯვარზე გაკრულის გამცემს.

წერა დღეს გახდა ადვილი,
სიტყვა ვერ იტევს სათქმელს,
(ალბათ მიმიხვდით სათქმელს)
კალამი როგორც სამხილი,
როცა არავის ამხელს.

ღამის თბილისი.

ფიქრის გორაზე ფიქრი ფიქრობდა,
გონება დუმდა და ნაფიქრალი,
ღამის თბილისში იკარგებოდა,
მონატრებული სახლ-კარს ფირალი.

ღამე ტკივილით კვლავ გაჰკიოდა,
და არემარეს თითქოს მძინარი,
ღამეს თბილისი ცრემლად სდიოდა,
წარსულისაკენ სევდით მზირალი.

თითქოს თბილისსაც რაღაც სტკიოდა ,
თუმცა მალავდა და უჩინარი,
გულში მალამოდ შემოდიოდა,
მტკვარის ღიღინი მრავალხმიანი.

ფიქრს ნაფიქრალი კვლავ უჩიოდა,
და უძინართა მზე მადლიანი,
ზედ სულის ფსკერზე მიმოდიოდა,
ფიქრად ქცეული ღამე მზიანი.

შიშველ მთვარეს კი თითქოს სციოდა,
გული უძგერდა ფრიალ-ფრიალით,
სისხლი ძარღვებში ისევ ყიოდა,
წარსულის მძიმე ბედის სიავით.

ფიქრის გორაზე ფიქრი ფიქრობდა,
გონება დუმდა და ნაფიქრალი,
ღამის თბილისში იკარგებოდა,
მონატრებული სახლ-კარს ფირალი.

კარებზე კაკუნი.

კარებზე კაკუნი...გამიღეთ კარი,
მომავლის ფიქრიდან მომადგა მგზავრი,
იღვიძებს სიზმარი როდესაც ბრალი,
სამართალს პოულობს ნამუსით მთვრალი.

თითქოს და ზრდასრულმა გავაღე კარი,
განთიადს ღამესთან გაევლო ზღვარი,
სულს არ ასვენებდა განგაში მცდარი,
თუმცაღა დრო იყო მშვიდი და წყნარი.

გავაღე კარები და ზღურბლზე მდგარი,
უცხოში შევიცან ჯვარცმული კრავი,
სრულყოფილ სიყვარულს აუბი მხარი,
და დამალევინა მან ყლუპი წყალი.

გონებას სიცხადის გაეღო თვალი,
სიზმარში მეგონა კვლავ ჩემი თავი
უკვდავმა სიცოცხლემ ჩამოკრა ზარი,
და ამიხილა ბრმას გულის თვალი.

ცხოვრება რატომღაც ყოფილა ვალი,
რომელსაც ვერ იხდი და ჩნდება ბზარი,
რითმებით მოვქარგე წუთი და წამი,
ფურცელზე კალამით ეს ერთი ბწკარი.

კარებზე კაკუნი...გამიღეთ კარი,
მომავლის ფიქრიდან მომადგა მგზავრი,
იღვიძებს სიზმარი როდესაც ბრალი,
სამართალს პოულობს ნამუსით მთვრალი.

დეკანოზი ამირან ამირანაშვილი
თერჯოლა, ამაღლების ტაძრის წინამძღვარი.

ერეკლე II

კახთ სალოცავო, დიდო მეფეო!
დაუღალავო მთავარსარდალო,
შენ საქართველოს ისტორი ხარ,
შენი ბრძოლები როგორ დავთვალო!

დარტყმა იცოდი ელვისებურად,
ომებს იგებდი მართლა მეფურად...
ერთიმოქნევით კაცს და ცხენს კვეთდი,
მუდამ გფარავდა მაღალი ღმერთი.

ტანზე ჭრილობებს ვეღარ ითვლიდი,
აბკარს ლხინშიაც აღარ იხდიდი,
ვაჟკაცებს ომში წინ უძღვებოდი,
გკლავდნენ და მაინც აღარ კვდებოდი.

წმინდა გიორგის მადლი გმოსავდა,
მოთმინება კი- დიდი იობის...
დარჩი, ევროპას განათლებული,
ბაგრატოვანი გულანთებული.

მხცოვანი იყავ, არვის უნახავს,
მხედარი ცხენთან განშორებული,
შენი ხმალი კი დღესაც ელვარებს,
შენ სასახლეში დაბრძანებული.

შვეტიცხოველმა ჩაგიკრა გულში,
ჟვარზე ფრიალებს დროშა ქართული.....
დღესაც ამაყად დადის მამულში,
ქართველი, შენგან წელგამართული.

ყიდიან ნამუსს

(არჩევანი-არადანი)

ათაბაბადან გულს გიღრნის მტერი
და თვალებსა სჭრის შენი ნათელი,
ყველას მოუნდა პრეზიდენტობა,
ქართველია თუ არაქართველი.

აიშლებიან კაცი თუ ქალი,
ისმის სატანიც სიცილ-ხარხარი,
ფულს ანიავებს აშარი ქარი..
ლანძღვა-გინებას არ აქვს საზღვარი.

ადრე სამშობლოს ეწირებოდნენ,
საკუთარ სისხლითიცავდნენ მთა-ველს,
დაუნანებლად ჰყიდიან ნამუსს,
ერთი სკამისთვის იკლავენ თავებს.

თუ ერის კაცი გამოჩნდა სადმე,
ძირში მოთხრიან,არ ახარებენ,
ერთმანეთს ლამის მოჭამონ თავი,
ტელევიზიებს აზანზარებენ.

ბოლოს ვინც იმ თბილ სკამზე დაჯდება,
აურჩეველი იხოკავს სახეს..
ხალხი ვის ახსოვს,აღარ სჭირდებათ,
ისევ ერთმანეთს უგებენ მახეს..

ქართველ მეფეთა სადიდებელი

ო, დიდებულო კეთილმსახურნო,
დიდი მეფენო ივერიისა,
მუხლმოდრეკილი თქვენზე ვლოცულობ,
უღირსი მღვდელი, მე მონა ღვთისა.
ვიდრე ქრისტემდე ტოლს არ ვუდებდით,
დიდ იმპერიებს ვუსწირდებოდით,
ხან იმარჯვებდით სისხლის მსმელებზე,
ბევრჯერ გმირულად ეწირებოდით!
მირიან მეფემ ადიდა ქრისტე,
ჭეშმარიტ სჯულზე მონათლა ერი,
მან დაამტვრია წარმართთ კერპები,
იესო ხდება მათი მფარველი...
სიკვდილს ეძებდა უფალ ქრისტესთვის,
მეფე ვახტანგი გორგასლიანი,
სამშობლოსათვის და უფლისათვის,
დღესაც მიგვიძღვის ხელში ხმლიანი...
დიდო მეფეო, წმინდაო დავით,
როგორ შეგბედო სიტყვა ქებული,
გაამთლიანე კავკასიონი,
მსოფლიო დარჩა გაოცებული.
მეფეო თამარ, ღვთით კურთხეულო,
სხვა ქალსმეფობა არ ღირსებია,
შენ ააყვავე მთელი ქვეყანა,
სუყველგან შენი ნაკვალევია.
შენი შვილები გაანებივრე,
რუსუდანი და ლაშა გიორგი,
შენ ბრწყინვალებას ფარავს ღრუბელი,
დედა ღვთისმშობელს გაჰყევი მგონი...
დაბოღმილ მტრებმა იძიეს შური.
ქვეყნად ღალატმაც იჩინა თავი,
შინა შუღლმა და გაუტანლობამ,
დროს დაუყენა სამშობლოს ავი...
დავითისა და თამარის საზღვრებს,
რღვევა დაუწყეს დაუნდობელი,
გარეშე მტერი გვაწიოკებდა,
აღარ დაზოგა შვილმა მშობელი.
სამთავროებად დაინაწილეს,
ყველა სამთავროს დაბრძანდა მეფე,
ააგეს კერძო ციხესიმაგრე,
ქვეყანა გახდა სუსტი და მყიფე.
დიდი გიორგი, შვილი პაატა,
ზოგჯერ თუ გმირი გამოჩნდებოდა,
ბოროტებით და ინტრიგანობით,
სამშობლოს გარეთ იდევნებოდა!
მძევლად ითხოვდნენ მეფე დედოფალს,
თორემ ქვეყანა აოხრდებოდა,
თეიმურაზმა გასწირა დედა,
წამებულის ხმა ზეცას სწვდებოდა...
მერე ჭაბუკებს ასაჭურისებს,
სასტიკი შაჰი აღარ ცხრებოდა,
პაატას თვითონ მოჰკვეთა თავი,
მას ჯალათები არ სჭირდებოა.
ჩემო ძვირფასო, დიდო ერეკლე,
როგორ გავბედე შენთან თამაში,
ეს თავხედობა შემინდე მეფერ,
მაია წყნეთელს ბრალს ვდებ ამაში...
იმერთა მეფე, სოლომონებო!
„ლომებრ მყიფენო,
მთერთ სისხლმჩქეფენო“,
თქვენგან ბოძებულ ჩხარში ვცხოვრობდი,
მადლობას გიხდით იმერთ მეფენო!
დღესაც ბოგინობს ამირანთ-შვილნი,
მურზაყან ჩაჩბას შთამომავალი,
ხრესილის ომში გამარჯვებულმა,
დფაგვიჯილდოვე ჩვენ წინაპარნი.
იმერეთიდან განდევნე ურდო,
თან მიაყოლე მოღალატენი,
მუჰამედის რჯულს გადაარჩინე,
ზღვისპირეთამდე მთელი კოლხეთი.
ღვთისმშობლის წილხვედრს,
დღეს საქართველოს,
აღარც მეფე ჰყავს, აღარ პატრონი,
მხოლოდ უფალი გვიცავს, გვიფარავს,
როცა ღმერთთან ვართ,
არ ვართ მარტონი!

სამყაროს შემოქმედს!

უმორჩილესად პატიებას გთხოვ დიდო მაესტრო,
შენ ნაწარმოებს ვერ ვუწოდებ შემოქმედებას,
უზომოდ მინდა შენ სიმფონიას დიდხანს დავესწრო,
“მარადისობას” უწოდებდი დიად ქმედებას.
ამბიონიდან სადირიჟორო გიდგას კათედრა,
კლავიატურას ანგელოხები გიშლიან ფრთებით,
“მარადიული უკვდავების” ჟღერს სიმფონია,
მთელი სამყარო ამ მელოდიით,ვივსებით, ვტკბებით.
უვერტიურა ჰარმონიულად ერწყმის “შესაქმეს”,
შემდეგ გაისმის, წყლები როგორ ტოვებენ ხმელეთს,
მაჟორ ტონებში მზე დაადგა დღის მანათობლად,
მინორ აკორდზე მთვარე მამულად მთვარე ანათებს ბნელეთს.
ტალღის ტყლაშუნში წყალი იკავებს მეშვიდედ ნაწილს,
გამშრალ ნიადაგს მიაკუთვნებენ მხოლოდ მესამედს,
ფლორით, ფაუნით შემოიჭრება ცოცხალი ხმები,
ფორტისმოთი ელოდებიან მბრძანებელს, მეფეს!.
სრული სიჩუმე, მაესტრომ პულტზე გადადო კვერთხი,
მიწა მოზილა, მეფე უნდა შეგვითხზას ხელით,
ისევ აკორდი და აგუგუნდა მთელი სამყარო,
ყველა არსებამ განიხარა ადამის ცქერით..
დაცხრა ორკესტრი, შემოიპარა წყნარი მინორი,
მიქმა ღრუბლებმა გადუარეს ადამის სხივებს,
მიხვდა მაესტრო და ვიოლინოს არმოხდა კვნესა,
რომანტიული ფლეიტები სულს მთლად ამძიმებს.
ბულბულთა გუნდი თავს მოეხვია მოწყენილ ადამს,
აქ მელოდია აჭიკჭიკდა, დაისადგურა ორკესტრსი სევდამ,
მაესტრო ითხოვს სრულპიანოს, ოპერაციას,
სევდის მოტივი მიმოფანტა მზიარულ ევამ.
დადგა მუსიკისაპოთეოზი, ზემხიარული,
ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზები უკრავენ ტაშებს,
ცაში ფრინველთა,მიწაზე კი ცხოველთ ზეიმი,
მხოლოდ ბოროტნი ელოდებოდნენ ცოდვას და ჩამშვებს.
ნება მიეცათ დასარტყმელებს,ტრუბებს, ტრამპონებს,
კაკაფონიამ გადაუარა ორკესტრს მთლიანად
და დაისაჯა სიყვარულისთვის ადამ და ევა,
ჭექა-ქუხილმა ხუთ ფორტეზე დაიგრიალა.
მიწამ მიიღო,როგორც მშობელმა ცოდვილი შვილი,
შრომა და ოფლი თანხვედრი გახდა ადამისათვის,
აქ ჰარმონია თანაუგრძნობს მხოლოდ სიყვარულს,



მას შემდეგ ევა მწარედ ტკივილებს ითმენს შვილისთვის.
დაბადების დღეს ჩვენთან – თოფის სროლით ხვდებიან,
ევროპაში კი, ერთხმა მღერიან "ჰაპპყ ბირჰდაყ"-ს,
ჩვენ ქორწილებში ჟღერს მრავალჟამიერ დღისით ღამემდე,
ევროპაში კი მენდელსონის ქორწილის მარში.
მარადისობის ჰარმონია გრძელდება მშვიდი,
მაყურებელი იბადება, ნელა იზრდება,
როცა დაკარგავს სმენის უნარს, ტოვებს და მიდის,
დარბაზი ისევ ახალ-ახალი ხალხით ივსება.
ყოფირების მელოდია, მთელი სიცოცხლე,
ადამის ძენი ვართ მსმენელი თავისუფალი,
აწ და მარადის იგუგუნებს "სიმფონიები",
იდირიჟორებს კვერთხით ხელში, ღმერთი, უფალი!

სკნელი

(ზესკნელი, ქვესკნელი, უკანასკნელი)

მთელი ცხოვრება ღია სცენაა,
ყველა ჩვენგანი ვართ "არტისტები"!,
თვითომვე ვძერწავთ საკუთარ გმირებს
და თან ვატარებთ საკუთარ ნიღბებს.

თუ არ აღელდი, თუ არ აენთე,
ვერ ააღელვებ,ვერ გაანათებ...
თუ არტისტი ხარ უნდა იწვოდე
და გარემოცვას უნდა ატკბობდე.

შენ უკვდავებას შენვე აშენებ,
მწვერვალზე ასვლას ოფლი სჭირდება,
მარადიულად იხვეჭავ სახელს,
ნიჭი თუ არ გაქვს, გაგიჭირდება.

ნიჭი უფლისგან მიეცა ადამს,
მერე გენებით გადმოგვეცემა,
ცხენზე თუ მარჯვედ დაიღერ ლაგამს,
კარგ მხედარს ცხენი არ გაექცევა.

მთელი ცხოვრება არის "მუსტანგი",
თუ ვერ დაიპყრობ,თუ ვერ გახედნი,
ისე ჯაგლაგად დარჩები მუდამ,
შენ გახედნილზე თუ არ ამხედრდი..

ადამიანო, იდექი მედგრად,
შავმა ღრუბელმა,რომ ვერ დაგძლიოს,
როცა ზესკნელში მოგიწევს წასვლა,
მარადისობის ღირსად გაქციოს.




თემურ ჩალაბაშვილი
პოეტი

ვერ შევეგუე...

მარტო დავრჩი და შემომეშველე,
უშენოდ ყოფნის არ მაქვს ტალანტი,
უსასომ ზოგჯერ ლექსი ვიშვილე,
ვერ შევეგუე, რა ვქნა, კარანტინს.

ვერ შეეთვისა სული მარწუხებს,
თვალთაგან ცრემლი მცვივა იებად,
მარტოობაზე უფრო მაწუხებს
ბუნების კაცზე შურისძიება.

თითქოს მუმიად იქცა სამყარო,
გაუდაბურდა ირგვლივ ყოველი,
ნუთუ ფარ-ხმალი უნდა დავყარო
და კარგს არაფერს აღარ მოველი?

სევდა წკავწკავებს, როგორც ფინია,
მარტომ ფიქრებით სული ვიცხონე,
მეორედ მოსვლის არ მეშინია,
უფალო, რადგან შენით ვიცხოვრე.

მარტო ვარ, ახლაც გეძებ, მიშველე,
მე მარტოობის არ მაქვს ტალანტი.
იმედის კოშკი შემომიშენე,
იქნებ ბოქლომი ავხსნათ კარანტინს!

სასჯელს იხდის მსოფლიო!...

დედამიწას მოედო,
სენი საკაცობრიო,
რას დადუმდი, პოეტო,
სასჯელს იხდის მსოფლიო.

ამ სამყაროს სად ჰქონდა
ამოდენა ცოდვები,
ჰაერიც კი დამძიმდა
სასაფლაოს ლოდებით...

სევდა მოსთქვამს, იცოცხლე,
მზეს სხივები წარკვეთა,
ძლივსღა ბჟუტავს სიცოცხლე,
მეფობს სასოწარკვეთა...

...გულის ძარღვი მიწყდება,
სულსაც ხავსი მოედო,
სულ სხვა ერა იწყება,
არ დადუმდე, პოეტო!

,,შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია".

დილა ლხინისა!
ს ა ნ თ ე ლ ი

შენ ციური ხარ, სუსტი, ცდომილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო,
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი,
შენ შეგინახავს ეს საქართველო.

ჩამოგიქროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ, და გიტირია.

შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა მიგვრძნია,
შენ, საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია..

70 წლის თემურ ჩალაბაშვილს!

.....
ბევრჯერ ჩავთვალე
თავი წასულად,
ვინ თქვა, ცხოვრება
მიდის ტაატით?
ჰაი, დედასა,
რა დრო გასულა,
კარს მიკაკუნებს
სამოცდაათი...
ზამთარში შეველ
გაზაფხულიდან
ვერ დავუწყვილე
მხარი აპრილებს,
და ძველებურად
დაჭრილ გულიდან
ლექსები ვეღარ
წამოვაფრინე...

...

რაც ვერ ვთქვი,
მახლას
იქნებ, სხვამა თქვას,
ისევ ციმციმებს
ჩემი სანთელი...
დროის ყაჩაღი
დრომ თუ დამარქვას,
სხვამ უპასუხოს:
იყო ქართველი!..

გაზეთი
„ლიტერატურული
საქართველო“,

* * *

დაობლდნენ ჩემი ბედის მერცხლები,
არ ვიყო ქვეყნად მეტის მთხოვნელი,
ოღონდ სამშობლოს ჩემი ლექსები
იცავდნენ, როგორც მეციხოვნენი.

* * *

შენ სანთელი ხარ უფლის ხმობილი,
ო, პაწაწინა თაფლის სანთელო.
გყოლია მრევლი ხელაპყრობილი –
შენ შეგინახავს ეს საქართველო
ჩამოგიროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია.
შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიფრძვნია.
შენ საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ წვა შეგიძლია...

*****

ამ მოჯარებულს რა ვუყო ფიქრებს,
ვის გავუმხილო ლექსად სათქმელი,
როცა დრო სულის ნაღვერდალს მიქრობს
და ძლივსღა ბჟუტავს ხსოვნის სანთელი.
ჩანს შორით მგოსნის ძველი ნათელიM
და ეფერება რითმას შაოსანს.
ღმერთო კი მომკალ, როცა ქართველი
არ წაიკითხავს `ვეფხისტყაოსანს”.

*****

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.
ვიცი გამამხელს სადმე ცდუნება,
დრო ჩამემსხვრევა თვალში სიზმრებად,
ქარი წამოვა ვით ერთგულება –
და შენსკენ ,მავალს შემეხიზნება.
თეთრი ქედნები მასხედან მხრებზე,
ვიღაც მაკავებს ცისკრის ძაფებით –
თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ,
მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები.
ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები.
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.

****

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
სამშობლო არა სტკიოდეს,
ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას სჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს.

სიღნაღს ...

***

შენ ქიზიყის დედოფალო,
სილამაზის გვირგვინო,
როგორ მინდა ძველებურად
ილაღო და იგრგვინო,
შენს ხავსიან ციხე-ბურჯებს
ნისლი შემოეხვია,
ფერხთით გიწევს ალაზანი
იქვე ბოდბისხევია...
შემწედ- ბოდბის მონასტერი
წმინდა ნინო- ნეტარი
მაგ სიყვარულს ვინც ვერ იგრძნობს,
ვით ბოგინობს ნეტავი,
ძველთაძველი გალავანი
გშვენის- ვერცხლის ქამარი,
ო, რამდენი ფალავანი -
შენგან ნათამამარი
გაუზარდია შენს ტკბილ მიწას
ჯინის, სიტყვის პატრონი,
არასოდეს არ გყოლია,
ნურც გენახოს ბატონი...

ივანე მაჩაბელი

***

იქნებ მტვართან დასცდა ფეხი, ვინ იცის,
როცა მთვარე ქართლის მთა-ველს ქარგავდა,
რა ჯანდაბამ დააძინა თბილისი,
არ იცოდა, რა დიდებას ჰკარგავდა.
თუ მთაწმინდამ დაიშურა ნიავი,
ვერ უკოცნა შუბლი დასადაფნავი,
რა ყოფილა ბედი ოხერტიალი -
არ აღირსა სამშობლოში საფლავი!
იქნებ ღამით ქართლის მთებიც კვნესოდენ,
როცა თვალი გასაქცევად ეჭირა,
რად უყვარდა საქართველო ესოდენ -
გოჯ მიწაშიც ქართველს არ შეეცილა...
... და მამულის შეკრთა მიწა - მტკივანი,
მისი ხვედრი მწარე სევდად დარჩა ერს,
საქართველო და მთაწმინდის ნიავი -
დღესაც ეძებს კვალდაკარგულ მაჩაბელს...

ჰამლეტ გონაშვილს

***

შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს"
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები!
კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი. . .
. . .მღეროდი რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი,
თავზე გეხურა ზეცა თბილისის,
ღომლის მიწაზეც ამოთავთავდი!
დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პატარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
შენ წამოიწყე ,,დაიგვიანეს"
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ო, დედოფალო!

გარეთ ქარია...
ხორშაკნი ჰქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი,
ო დედოფალო!
სხეული გტკივა,
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!
... ვიწრო სენაკში შუქად კიაფობ,
ამაყობ კიდეც გულის წიაღში.
ფეხმორთხმით ზის და
მოსთქვამს იაკობ:
– ტანჯვას მოგაწევს ხვალ პიტიახში!..
ო დედოფალო!
უარყავ რწმენა –
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს სატანა,
... და წუთით, თითქო, დაგეხშო სმენა...
უბრძნებ სხეულს მეტის ატანას...
ო დედოფალო!
იცვალენ მხარი,
თორო – დაწყლულდენ წყლულზე
წყლულები.
დასთმე სასახლე და შმაგი ქმარი...
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...
გარეთ ქარია...
ხორშაკნი ქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი,
ო დედოფალო!
სხეული გტკივა
თუ ცოდვილ შვილთა შეცოდებანი?!

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა...

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.
ვიცი გამამხელს სადმე ცდუნება,
დრო ჩამემსხვრევა თვალში სიზმრებად,
ქარი წამოვა ვით ერთგულება –
და შენსკენ ,მავალს შემეხიზნება.
თეთრი ქედნები მასხედან მხრებზე,
ვიღაც მაკავებს ცისკრის ძაფებით –
თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ,
მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები.
ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები.
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.

წინანდალი

მე წინანდლის ვარდი მიყვარს,
მის მზეს ვეტრფი ჩაუქრობს.
წინანდალი წინანდელი
სიჩაუქით ჩაუქობს.
სულ სხვა ადგას შარავანდი,
სულ სხვა ხიბლით მოფენილს.
წინანდალი – დარდიმანდი
ჭავჭავაძის სოფელი...
წინანდალი – დედა ვაზის,
ცა– ოცების, ცა – სუფთა,
ფუძე უკვდავ სილამაზის –
ჭავჭავაძის ასულთა.
მე წინანდლის ვარდი მინდა,
არ მიტაცებს სხვა უფრო,
წინანდალი ტატოს წმინდა –
სიყვარულის საუფლო...

* * *

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
ქარქაშში არა წიოდეს.
ისეთი შვილი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს.

ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას ჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს...

ბაღათერ არაბული – პოეტი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

აჭარაში

(გახსენება) *დავით თედორაძეს, ალეკო ჯიბლაძეს*

... ამოდიოდა ჭოროხზე მთვარე
და იდუმალი შუქით ელავდა;
სიყვარულით და ღვინით მთვრალები
ჩვენ ვბრუნდებოდით მაჭახელადან...

ღელავდა ზღვა და საფენებს ქაფის
ტანზე ახვევდა ნაპირებს ქვიანს,
ღამეულ ბინდში მოჩანდა სარფი,
როგორც ტკივილი და რელიქვია...

ქშუოდა ქარიც და სევდა ქართა
ეფინებოდა კიდიდან კიდეს
და ჩვენ... ამ ლამაზ სამშობლოს გარდა
სხვა არაფერი გვქონდა სიმდიდრე...
....
...ამოდიოდა ჭოროხზე მთვარე
და იდუმალი შუქით ელავდა;
სიყვარულით და ღვინით მთვრალები
ჩვენ ვბრუნდებოდით მაჭახელადან...

დავით თედორაძეს

...შენ საქართველოს ეფერები ახლა ერგედან[1],
მოაქვთ ღამეებს მთვარის სხივთა სევდა ფარული,–
კვლავაც ოდესმე დაუბრუნდეს ქართველს, ეგება,
ღვთით ბოძებული ერთგულება და სიყვარული...

არც განდიდება,არც სახელი ჩვენ არ გვჭირდება,–
არის ყოველი წარმავალი და მოჟამული
და ერთადერთი უკვდავება, ანუ დიდება,
შენთვის მარადის სალოცავი იყო მამული...

მტრობის მოსურნე თუმც ქირქილებს ბნელში სატანა,
მთვარე ჭოროხზე კვლავ მაღლდება და თავთავდება;
შენ კარგად იცი, ერთმანეთის გვმართებს გატანა,
გვმართებს ერისთვის თავგანწირვა და თავდადება...

და საქართველოს ეფერები ახლა ერგედან,
მოაქვთ ღამეებს მთვარის სხივთა სევდა ფარული
და ჩვენს გულებში, ვით იმედი, ღვივის ნერგებად
მარადიული ერთგულება და სიყვარული...

ზაფხული

(ეტიუდი)

მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...
და გათანგული ზაფხულის ბუღით
მთელი ქალაქი დაეძებს გრილოს,
ჩრდილით დახუნძლულ სკვერებს და ბაღებს
რომ შეეფაროს, დილიდან ცდილობს...

ხოლო ბაღები, მკერდგაღეღილი,
დგანან და ნიავს უშვერენ გულ–მკერდს
და საკუთარი გრილო თუ ჩრდილი
თვითონ მათ ხეებს არ ჰყოფნის უკვე...
მზე ისევ მოდგა თბილისის კართან,
მიჰყვება ცის თაღს და მაღლა იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს

კვლავ საქართველოს ფრიალებს ალამი
და სტადიონი ყიჟინით ივსება;
ფეხბურთი მარტოდენ ფეხბურთი არ არის,
ეს არის ჩვენთვის რწმენაც და ღირსებაც...

ირგვლივ შრიალებენ დროშები ქართული
და მსაჯი საბრძოლველად ჩვენს ბიჭებს უხმობს;
ფეხბურთიც სამშობლოსთვის ბრძოლაა ხელჩართული,
ოღონდ, რა თქმა უნდა, უსისხლოდ, უხმლოდ...

დღეს გული საგულეს უკვე ვერ ეტევა
და ძარღვებს თქრიალით აწყდება სისხლი;
შ ე ტ ე ვ ა, ბიჭებო, ბიჭებო, შ ე ტ ე ვ ა,
ჩვენ მხოლოდ ბრძოლა და შ ე ტ ე ვ ა გვიხსნის!..
....
კვლავ საქართველოს ფრიალებს ალამი
და სტადიონი ყიჟინით ივსება;
ფეხბურთი მარტოდენ ფეხბურთი არ არის,
ეს არის ჩვენთვის რწმენაც და ღირსებაც!..

ზ ა ფ ხ უ ლ ი

(ეტიუდი)

...მინავლდა ქროლვა ქუჩებში ქართა,
მოვარვარე მზე ცის თაღზე იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

და გათანგული ზაფხულის ბუღით
მთელი ქალაქი დაეძებს გრილოს,
ჩრდილით დახუნძლულ სკვერებს და ბაღებს
რომ შეეფაროს, დილიდან ცდილობს...
ხოლო ბაღები, მკერდგაღეღილი,

დგანან და ნიავს უშვერენ გულ– მკერდს
და საკუთარი გრილო თუ ჩრდილი
თვითონ მათ ხეებს არ ჰყოფნით უკვე...
....
მინავლდა ქროლვა ქუჩებში ქართა,
მოვარვარე მზე ცის თაღზე იწევს
და შადრევანი, როგორც წყლის ფარდა,
თეთრად ჰკიდია დასიცხულ სივრცეს...

ქარის ქარიზმა

...ფოთლების შრიალს
კვლავ მოაქვს ქარის ხმა,
ქარის ხმა – ქარის ლამაზი ქარიზმა...
ქარი ქარია და
არ იცვლის ქარი ზნეს,
არა სდევს ჟამთა სვლას
და უცხო ქარიზმებს...
და კვლავ ქრის ხმელეთის
და ხანაც – ქარი ზღვის,
ის – მარად ერთგული
საკუთარ ქარიზმის...
.....
ფოთლების შრიალს
კვლავ მოაქვს ქარის ხმა,
ქარის ხმა – ქარის ლამაზი ქარიზმა...

დღეს ჩვენს საშველად კვლავ უფალი უნდა მოვიდეს

(სადღეისო საკითხავი)

...გვიმუხთლა ჟამმა, –
ჩვენთვის სივრცე არ ჩანს საფრენი,
უცხო ბურუსით იბურება... დასალიერიც;
დრო დგას მოყვასის ღალატის და
დრო – ჩასაფრების,
დრო – მომრავლებულ იუდების,
სალიერების...
ზოგი ავ ვნებებს სამშობლოსთან
ბრძოლით იქარვებს,
(ამნაირ მტრობას სხვა ვინ იზამს,
გარდამ სტოვრების?!.)
დღეს დარჩათ ერი სათარეშოდ
პოლიტიკანებს,
ამ დიდოსტატებს... კლდიდან კლდეზე
გადახტომების!..
და მათთან ერთად ვერაგულად
გვებრძვის კოვიდიც
და არაერთი შეიწირა უკვე კოვიდმა;
დღეს ჩვენს საშველად
კვლავ უფალი უნდა მოვიდეს,
ის მაინც მოვა,
რადგან ერთხელ უკვე მოვიდა!..

ქართული სისხლი

..დასაბამიდან მოსვენება
აღარ აღირსეს,
ღვარად დაღვარეს, დააქციეს,
დაანაკლისეს...

უცხო მხარეში წვეთწვეთობით
გაასაჩუქრეს,
მალვით გაყიდეს, გაახასეს,
გაამამლუქეს...

ათასჯერ რჯული შეუცვალეს,
ჩაწვეს, ჩაღველფეს,
სხვა ხატ-ღმერთები
დაუხატეს მერე თაღებქვეშ...

ცრემლით ატარეს ნარ-ეკლებზე
დარში, ავდარში,
მაგრამ მოვედით,
უფლის ნებით მაინც გადავრჩით...

და მოვიყოლეთ
იმ წვეთ-წვეთის მცირე წვეთ-წვეთი –
თან მოვდიოდით,
თან დაკარგულს
გზა-გზა ვეძებდით...

კვლავ ვაღვივებდით,
კვლავ ვანთებდით
ვკრეფდით, ვავსებდით,
თბილად ვფუთავდით
ჩვენს ძარღვებში ლურჯი ხაზებით...

გადავარჩინეთ,
სამ მილიონ კაცში დავმალეთ,
მის ჰემოგლობინს და მის როეს
ვსინჯავთ მალ-მალე...

კოლბებში ვასხამთ, ვახარისხებთ
და ვყოფთ ჯგუფებად,
ქარის ქროლაზე
ვგრძნობთ, როგორ თრთის
და იქუფრება...

ან გრიგალის წინ როგორ ღელავს,
როგორ იმღვრევა,
ძარღვებს, საფეთქლებს ეხეთქება
ბრძოლის სიმღერად...

მოდის, მოშხუის,
მოთქარუნობს გზებზე ცხენივით,
ქართული სისხლი –
ძილს და სიკვდილს გადარჩენილი...

ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ე ტ ი უ დ ი

...თოვლი დაბერდა და... იცრემლება,
უკვე უმატა მარტის ჟინჟვლამაც;
მალე ყვავილი- შუქი ტყემლების
შემოენთება ველს გარიჟრაჟად...

და ბალახების მწვანე ღვართქაფი
გადითქრიალებს მინდვრებზე ისევ,
საგაზაფხულო ციდან ღმერთებიც
კვლავ გადმოჰფენენ ნამიან ნისლებს...

და აიშლება შავად მდინარეც,
ბორგვით ჩაუვლის ძილგამკრთალ ნაპირს
და გრძელი ზამთრის ძილით მძინარი
ისევ აავსებს ხეობას ხაფით...
.....
თოვლი დაბერდა და.. იცრემლება,
უკვე უმატა მარტის ჟინჟვლამაც;
მალე ყვავილი – შუქი ტყემლების
შემოენთება ველს გარიჟრაჟად...

ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები

(სავედრებელი)

მამა-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...
არაგველებივით რომ იყვნენ გულადები
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით...
ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,
სულით კი ატარებდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს...
რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს...
მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩვებს...
ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...
მაწმავლებ-დათვისლები, ბარისახოვლები,
მთებივით ლაღები და მთებივით ახოვნები...
ჩირდილელ-ლიქოკელნი, გველეთელ-სახილელნი,
ერისთვის საგმირო ბრძოლებში სახილველნი...
ქმოსტელებ-ხადუვლები, გუდანელ-ხახმატელნი,
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების...
გვარ-ტომად ფხოველნი და ძირად ქართველნი,
პირიქითელნი და პირაქათელნი...
არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი...
არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ-ჯუთელები,
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ...
შთამომავლები გმირი წინაპრების,
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები...
ბლოელებ-ბისოვლები, ღულელებ-ჭიელები,
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ...
მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი, –
თოვლიან მწვერვალებით და ციხე-კოშკებით...
თავის მთასიქითით და თავის გორშეღმით,
ჯვარ-კვრივში შენახული საბრძოლო დროშებით...
მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმაჭეველნი...
წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი...
ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

დარიალის ხეობაში

(ეტიუდი)

ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...
ჩვენ კი ვიდექით სახლის ნიჟარით
ღამის უკუნში და სადღაც გარეთ,
თავის დარდების გამხელის ნიშნად,
ქარში ხეები გვხმობდნენ მწუხარედ...
და წაქცეული ხეობის ფსკერზე
ესვენა თერგის თეთრი ცხედარი, –
ოდესღაც მქროლი შორეულ გზებზე,
ოდესღაც კვიცი გაუხედნავი...
ქარს ნისლის მკრთალი სამოსი ეცვა,
(სციოდა ქარს და ჰქროდა წუხელის)
და მთვარის ნალით დაჭედილ ზეცას
ნამიან მთებზე ეწყო მუხლები...

შემოდგომის ესკიზებიდან

...მოადგა ნისლი მთათა გალავანს, –
ნისლი- ცის ცვარი,
ნისლი-ცის ცრემლი,
სადაც უღრანებს დაუფარავად
მკერდზე კერტები უჩანს ცირცელის...
მოდგა: ღრუბელიც – შავი ფასკუნჯი,
შეფარებული ცათა გუმბათებს,
მზეც – ჩამქრალი და დამუნჯებული
შემოდგომიდან გაზაფხულამდე...
და მთვარის ფერი გადაჰკრავს მთა-ველს,
ალვებსაც-დღეს რომ ქარში ცხოვრობენ
და ნეკერჩხლები ცეცხლისფრად რთავენ
მთებზე შეფენილ ტყეთა კორომებს...
იქ, ქედის კუზზე, ნისლის შრეებით
დამძიმებული ტყეები სდუმან
და მახსენებენ ფოთლების შრიალს, _
მეც – წუთისოფლის ფოთოლს
და სტუმარს...



გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი.

ფიქრი...

ნაძვებივით მარადმწვანე ფიქრი,
უჩინარი დარდის თოვლის ხროვა,
ნეტავ რაა ცათა მთების იქით,
ვინც წავიდა ნუთუ მართლა მოვა.

ველოდები ყოველ დღე და ღამე,
კარებს ვტოვებ ძალზე ხშირად ღიას,
გაზაფხული მიფერადებს წამებს,
დედის ცრემლით რომ ამოდის ია.

ღამით მთვარეს შევეკითხე კრძალვით,
თოვლ- ქარბუქში რატომ იმალება,
გზაზე მიდის სევდიანი ქალი,
რომ ვერ ხედავს მტერსაც ესალმება.

ყური მოკრა ჩვენს საუბარს ზეცამ,
გადმოაგდო ელვის გრძელი ენა,
სულ რომ ტანზე მწვანე კაბა მეცვას,
ვერ შეამჩნევ თუ დაკარგე რწმენა.

დავუჯერე ლურჯი ზეცის რჩევას,
ღრუბლის ფენას მზის სხივები შლიდა,
ვინც წავიდა ისევ ჩემში რჩება
და ღვთის რწმენამ გული დამიმშვიდა!

ვიარე ციცაბო აღმართზე...

ძნელია იარო კლდეებზე,
ვით ჯიხვი შებედო ქვაფენილს,
მაღლიდან დაეშვა ფერდობზე,
თან სდიო არწივებს აფრენლს.

ვიარე ციცაბო აღმართზე,
არასდროს ვიკადრე ღალატი,
არ მინდა წავიქცე - დამთავრდე,
გული მაქვს ვით ნაზი ბარხატი.

უკან მოხედვაც რად მინდა,
ისევე წინ უნდა ვიარო,
გავძლებ თუ ისევ გაწვიმდა,
გულზეც რომ გადამიარონ.

ხან კლდეც ვარ სიპი და უტეხი,
არადა სინაზეც მიხდება,
მტერს ბევრჯერ წინ გადავუდექი,
ვინ იყო თვითონაც მიხვდება.

წყლისა და სიპ ქვებთან გაზრდილის,
არც უნდა გიკვირდესთ ეს ბრძოლა,
ნუ გეჩვენებით დაღლილი,
კვლავ შევძლებ ჯარის გაძღოლას!

ცხოვრების ხიდი...

დიდ ხიდსა გავს ეს ცხოვრება,
ხან გახვალ და ხან გამოხვალ,
დარდი არსად არ გშორდება,
თუ გაჯობა გულს გამოგხრავს.

ჰოდა, მიტომ გავეცალე,
კეჭებივით გადავყარე,
ჩემი სხვაშიც ვერ გავცვალე,
მერე დარდიც შევიყვარე.

ჰოდა, ვცხოვრობ დარდთან ერთად,
ჩემს ბალიშზე ხვრინავს ბევრჯერ,
ჭირში – ლხინშიც არის ჩემთან,
თუ წავიდა სხვასთან ვეძებ .

ამ ცხოვრების ხიდის ჯებირს,
ორთავ ხელით ჩავეჭიდე,
ეს დრო იწყებს დროსთან შეჯიბრს,
ნეტავ ხალხს არ გაუჭირდეს.

გული დარდით რას გახდება,
ჯებირს არღვევს ფულის არხი,
გაჭირვებულს კლდე დახვდება,
გამომძღარი თავს არ დახრის!

და მაინც

ძლიერი მაშინ ხარ როცა გულს გწიწკნიან,
შენ მაინც სიყვარულს აგზავნი გზავნილით,
ყველა მე მესროლეს სადაც რომ ხიწვია,
კეთილი კვალია კვლავ ჩემგან გავლილი!

ორი ჩიტი...

სკუპ და ხიდან გადმოფრინდა,
ორი ციცქნა ჩიტის ბარტყი,
მათთან ყოფნა უკვე ღირდა,
დარდიანი უცებ დავტკბი.

ხან დახტოდნენ წყალის მხარეს,
ხანაც ჩემთან სურდათ ყოფნა,
თუმც ხელი არ დავაკარე,
ფრთა სირბილით გაეოფლათ.

მოვეფერო ჩიტებს მინდა,
საკენკიც კი დავუყარე,
ერთი ხელზე დამაფრინდა,
თვალი– თვალში გავუყარე.

მისი ენა რომ არ ვიცი ,
ჩიტუნიას მე რა ვუთხრა,
მიყურებს და ჩიტი მიცდის
დუმს და მზერა გულს მითუთქავს.

ჩემთვის რაღაც ვიბუტბუტე,
არ მიმიღეს მასპინძელად,
ბოლოს თითქოს გამებუტნენ,
ჩემთან ყოფნა გაუძნელდათ.

რა იციან ამ ჩიტებმა,
ანაბანა ქართველების,
გედებმა და ან გვრიტებმა,
გენეტიკა მთასვლელების.

გამახსენდა ხერგიანი,
მთის არწივი და კლდის ვეფხვი,
გავხდი უცებ სევდიანი,
ცრემლებს ღვრიდა
კლდის პირს ვერხვი!

დ უ მ ი ლ ი...

მდინარის დუმილი მიკვირს მე რადგანაც,
ებრძვის თან უძლებსბედისწრის ნალექებს,
წაპირზე ყოველთვის გულზე ფეხს ადგამენ,
მდინარის სათავეს ვიღაცა აქეზებს.

ო, არა დამშვიდდი მდინარის ტალღებო,
სიამის ფსკერზე რომ იცუროს თევზებმა,
ნუ ყეფავთ ქუჩაში უაზროდ ძაღლებო,
სამშობლოს საჯიშე ბოკვრები ეზრდება.

მაინც ის მიყვარს...

სხვისი სამშობლოს სილამაზე როდის მიკვირდა,
ერთგულებას კი სულ დავეძებ დასაბამიდან,
თუ სხვის მიწაზეიმედები გამოიკვირტა,,
უსაქართველოდ თვით სიცოცხლეც აბა რად მინდა.

მოვეფერები ჩემი მიწის გამხმარ ბალახსაც,
სადაც სურნელი მწვანე ხავსაც შემორჩენია,
ახლა ამჟამად ყველაფერი დრომ თუ გალახა,
მაინც ის მიყვარს ამ ყვავილებს ის მირჩევნია !

ცხელი ღუმელი...

კოპებშეკრული არასოდეს დღეს არ ვითენებ,
ამჯერად მინდა ჩემი სახის ფორმა შევცვალო,
ჩემი ლექსები მერცხლებვით მაშინ იფრენ,
რაც ტკივილი მაქვს ერთიანად უნდა დავცალო.

გული თბილი მაქვს არ შეშინდეთ არა ვბრაზდები,
მე რას დამაკლებს მოფარფატე შავი ღრუბელი,
დამაქვს სიკეთე უშურველად ფიანდაზებით,
ჩემი გულია ძვირფასებო ცხელი ღუმელი!

ყურადღება...

ვერცხლსაც დათმობ ოქროულსაც,
სახლსაც. ხელით აშენებულს,
ახლობელს და შორეულსაც,
ვენახს შენით გაშენებულს.

მხოლოდ გქონდეს ყურადღება,
ასაკში რომ შეაბიჯებ,
სხეული რომ დაბერდება,
მოხუცს სხვას არ შეგაჯიბრებს.

ეყვარები როგორიც ხარ
რაღაც უშნო შესახედად,
გული თუ არ გამოგიხრა,
ლუკმა თუ არ დაგაყვედრა.

არ დაგცინებს როცა დაწერ,
ლექსს ძვალივით როცა დაღრნი,
შენს ჯამს გვერდზე რომ არ გაწევს,.
ხელს წაგატანს დარდით დაღლილს.

კლდე ყვება...

მთა ყვება წარსულს გაუჩერებლად,
ღმუის და ყვირის უცხო ენაზე
ზამთარ -ზაფხულში არა ბერდება,
არც უფიქრია შესვენებაზე.

საუკუნეებს ითვლის წარსული,
ფსკერს უსასრულოს თვალი ვერ წვდება,
კლდე ზეცამდეა თითქოს ასული,
მისასალმებლად მთვარესაც ხვდება.

წყარო ცივი და სუფთა ანკარა,
ზოგჯერ თავისით თვითონ მშვიდდება,
ტანზე იმედად გამომაყარა,
უაზროდ დრო არ გამიფრინდება!

მირჩევნია...

უქმად ყოფნას ისევ შრომა მირჩევნია,
დასვენებას ვერ ვიფერებ პარიზში,
რადგან წლები სიფუსფუსეს მიჩვევია,
დამიწესეთ გაჩერების ტარიფი.

უნდა შევქმნა რაღაც უცხო სამომავლოდ,
რომ კვლავ შევსვაერთგულების ფიალა,
სიყვარული ძალით კი არ დამავალოთ,
დაგიტივოთ გრძნობის თასი მთლიანად.

მუხლი მიჭრის ისე როგორ გავჩერდები,
ვერ ვიფერებ მზრუნველობას სხვისას,
ჩრდილში ჯდომით აბა როგორ დავბერდები,
უშრომელად არაფერი მოდის!

ძირულიდან ვარ...

მათ რომ ეგონათ ჩამოწურეს გონის ჭურჭელი,
ისევ ავივსე ენერგიის უხვი მარაგით,
თუმცა არ დარჩათ გულის კუნთი გამოუჭმელი,
ეს ყველაფერი სათქმელადაც ჩემთვის არა ღირს.

ძირულიდან ვარ, პოეზიით დაუშრეტელი,
შვილი ვარ , დედა, ბებია და სხვათა დამხმარე,
ზეცის შვილი ვარ, კავშირია განუწყვეტელი,
მე ასეთი ვარ, ჩემთან ახლოს მტერსაც ვახარებ.

არ მეშინია, სიკეთეა ჩემი აბჯარი,
ხან ვიექიმე მოვარჩინე ენით დაჭრილი,
ჩემი გენია სიძლიერის ხართან ნაჯვარი,
თუმცა სულია გაზაფხულის თეთრი აპრილი!

ცაში...

ცაში ვარსკვლავები გადავთვალე,
მერე მთვარეს წყნარად ვესაუბრე,
დარდი იმედებით გადავთალე,
ბედს კი სამუდამოდ დავეუბრე.

ციდან მიღიმოდა ცისარტყელა,
თითქოს ნაცნობი და მეგობარი,
გული რაღაც ძალამ დაატყვევა,
ერთად შეიკრიბა მთა და ბარი.

ჩემი საჩივარი განიხილეს,
ბედს რომ გულის კარი მიუხურე,
მთვარე – მოსამართლე გავაფრთხილე,
მართალს რომ არავინ გაამართლებს.

დარდი გულში აღარ დამეტია,
მზე რომ ხელოვნურად გაამწვანეს,
ეს დრო მდიდარისთვის კამფეტია,
ღარიბს სიკეთისთვის გაამწარებს!

ზეცა იწვა...

ზეცა იწვა დედამიწის მკვლავებში
და სიწმინდის სამოსელში სუნთქავდა,
კრთოდა წამი ვარსკვლავთ ლამაზმანებში,
ღამის ქვაბი დარდებს ცაში ფუფქავდა.

თეთრ ნისლებში ჩავიკარგე ...დავნებდი,
წამწამებში მიიძინა ტკივილმა,
გალაქტიკის უსასრულო განედი,
შეაფხიზლა მნათობების ღიმილმა.

იის ფერით ირიჟრაჟა სამყარომ,
მზის სხივები კალმახებთან თამაშობს,
საფრანგეთის ჩანჩქერების ცხრა წყაროს,
იმედებით უნდა შევეთამაშო!

იქ, სადაც ადრე...

იქ სადაც ადრე ბურბონები იკრიბებოდნენ,
ციხე სიმაგრის სიახლოვეს ჩამოვისვენე,
მამულისათვის იბრძოდნენ და ბევრიც კვდებოდნენ,
ო, მაპატიონ თუ სხვაგანაც ჩემსას ვიხსენებ.

მინდვრის სიმწვანეს შევახვიე გულის სურვილი
შევუქართულე დედაენით უცხო ყვავილებს,
საფრანგეთშიაც საქართველოს მკლავდა წყურვილი,
სხვა შევიყვარო??? ამას გულშიც როგორ გავივლებ!

მოვინათლები

(+წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღოლს)

უფალი მიმიყვანს კვლავ ტაძრის კარამდე,
,,ათინათს“ დაიცავს ციური ვარსკვლავი,
დათესილ სიკეთეს სხვა რომ არ მპარავდეს,
რად უნდა გათხაროს ბოროტმა საფლავი.?!

გავრბივარ, მომდევნ, ცელით და დანებით
და მაინც ყვავილებს გამოვრგავ გზადაგზა,
მომრავლდა, უფალო, კაენისთანები,
მე მადლის სათესად ყოველთვის მზადავარ.

ტაძარში მორჩილად სანთელი ავანთე,
დავლოცე, ის, ვინაც მახსენა აუგად,
ლოცვებში ყოველთვის ღამესაც გავათევ,
ვწუხვარ, რომ უძღები ბოროტ გზას გაუდგა.

იმედი მაჩუქა კეთილმა მამაომ,
ვაზის ტოტს დაესხა მტევნები სიცოცხლის...
ახალი ყლორტები ტოტებზე გამოვა,
მჯერა, რომ ეს გული დარდს ამოიცოხნის.

ამ ტაძარის სიმშვიდემ ცრემლის ზღვა დააშრო,
სხვა ფერით განათდა ღვთის რწმენის სანთლები,
სიცოცხლის იმედი არ უნდა ჩავაქრო,
სიკეთის სათესად კვლავ მოვინათლები!

ერეკლე საღლიანი
სახალხო პოეტი

წმინდა ნინო

ფარავნის წყალს ნისლის ჯარით
ფარავს წმინდა ქალწული.
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.

გვერდზე გადგნენ თეთრი მთები.
სანთლად იწვის მაშვრალი.
მიწის ძახილს გრძნობენ თმები,
თმები – ქარში გამშრალი.

დრო, თვით სვავი, მყივარი და
ბრუნავს, როგორც ფანტელი.
თავზე ადგას მყინვარი და
სულიწმინდის ნათელი.

მივა მცხეთას, ავა წობენს,
უფლის მადლის ტარებით,
ჩვენს სიმშვიდეს სდარაჯობენ
სადაც ზეცის კარები.

ტალანებში სისხლი მსხვერპლის
დუღს, ვით თესლი მამონის.
არა ქმნათო თქვენში კერპი,
არც უფსკერო ბომონი.

ფარავნის წყალს ნისლის ჯარით
ფარავს წმინდა ქალწული.
მიდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული.

ქუთაისს

აქ ბაგრატ მეფემ მიწა
აკურთხა უფლის ტაძრად.
შენი მზე, სულს რომ მიწვამს,
ცისარტყელაში გაძვრა.

გიმღერ და შენზე ვფიქრობ,
ცრემლო, მინდობილ თვალთა,
აქ დაიბერტყა თითქოს
უფალმა თავის კალთა.

სიცოცხლე ხარ და ღვივი,
სავსე სიკეთით, მადლით,
ცას გამოექცა სხივი
და შენს ქუჩებში დადის.

დადის და ჰქარგავს შუკებს,
შენც მზის სწორ უსათუოდ,
უკვდავებასაც უკვე
ვხედავ, რომ ვეღარ ჰგუობ.

გეძახი, შენი ხმა ვარ,
შენი მოდგმის და გვარის,
შენს კარიბჭესთან ვდგავარ,
გამიღე საყდრის კარი!

***

წავარნას შემომაღოღდა,
მშიერი ლეკვი მგლისაო.
დავჯექ და ძუძუ ვაწუე,
დამშრალი ერთი წლისაო.
რძის ნაცვლად სისხლი დამდინდა,
სუნ-გემო სიმლაშისაო.
რაღაი ერთი დაჰგეშა,
სულ ჩემს კარძვრომში ზისაო.
ვეფხი ვარ, მაგრამ გული მაქვს,
თვალზე კურცხალი მდისაო,
ვითამ ჩემ ბოკვერ მიზრდია,
წაგვრილი სიკვდილისაო.
ძუძუებ რომ დამაღიჯნოს,
ვეღარ გავაგდებ სხვისაო.
ე, მაგის წერა ვყოფილვარ,
შამძრავი ცა-მიწისაო.
ეგ იცის დედაშვილობამ,
ძალამ მის ძუძუ რძისაო.
სულაც რომ შევეჭმევინო,
მადლს ვერ მოვისხამ მისაო,
მგელი მგელადვე დარჩების,
ლაშზე სულ სისხლი სდისაო.
მაგისა ვეფხად მოქცევნას
პირი არ უჩანს ღვთისაო.
მაგრამ რაი ვქნა მებრალვის,
ცოდვაც მკლავს ამაგისაო.
ცუდია? მაინც შვილია..
ბრალია რა მაგისაო.
ერთია მარტო ის მამწონს,
ჯავრს ის არ შაიჭამს მტრისაო,
არცარა სხვისი ებრალვის,
არცარა თავისისაო.
წავარნის კარში მიყმუის,
მშიერი ლეკვი მგლისაო,
ნეტავი გამაგებინა,
სიკვდილ თუ დამაცლისაო.

***

ხედავ სიზმარში როგორ ქრებიან,
აფიფქებული ღამის ჩრდილები,
სვამენ წყვდიადებს ყორნისფრთებიანს
თვალები, სიმწრით დასეტყვილები.

ხედავ: ნამეხარ მთების ბილიკებს,
მოხვეტავს ქარი შურისძიების,
ღამით ბინდ-ბუნდში ჩაიქილიკებს
და სიბნელესაც მორთავ იებით.

ქართული ხორბალი...

არა, არა გაქვს ამ ქვეყნის
აღარც სესხი და არც ვალი,
სამყაროს სიდიდეს იტევს,
შენი პატარა მარცვალი.

არსობის პური გქვია და
ხორცი – ჯვარცმული მაცხვარის,
შენში ცის მწველი შუქი კრთის,
არც მზე გაკლია, არც ცვარი.

მიწას აღვიძებ, მრავალი _
სიცოცხლე გამონაცვალი,
უფლის კალოზე ნალეწი
და ხელისგულზე დამწვარი.

ნანა ცინცაძე – პოეტი, ექიმი
დაბადებულია თბილისში.

მკვლელი აჩრდილი

სონეტი

შენ მე გიყვარდი, გრძნობა ცაში, თოკზე ეკიდა,
მიყურებდი და სიშორისგან თრთოდნენ თითები.
ჩემი სიტყვები მუნჯ რითმებად გამოგეკიდა
და გაგაოცა სასიკვდი`ლო გადაფითრებით:
მერე კი უცებ გამოფხიზლდი, სადღაც წახვედი,
მალე დაერქვა აღტაცებას სახელად – იყო...
გეგონა ცრემლებს, შესაბრალისს, დაგანახებდი,
მე კი ღიმილით გეუბნები – არ დაივიწყო
ჟამი, როდესაც შენი ნებით საწამლავს სვამდი,
ისიც იცოდე, რომ ის შხამი ახლაც გჭირდება.
მე, ძველებურად, მისტიკური სურნელი ამდის,
ცოცხალს მიყურო და სხვასთან მყოფს, გაგიჭირდება.
შურისძიება, წლებთან ერთად უფრო მძაფრდება,
მკვლელი აჩრდილი ყველა კართან ჩაგისაფრდება.

ჟარგონი

ვიცი, რაღაცას დაერქმევა მალე ,,არ მინდა”,
ჰორიზონტს იქით მისრიალებს ჩემი ვაგონი,
მე მაინც მოვალ მარტის თვეში მზიან ამინდად
და არ დავახვევ... გამომადგა მგონი ჟარგონი.
ჰო... ამის დედაც... დროის ათვლა რაში მჭირდება,
როცა სიცოცხლე სატრფიალოდ მინდა ავაგდო,
უკვე დავაწყე ეს დღეები ვაზნის მჭიდებად,
რომ გასროლილი არასოდეს არ გადავაგდო.
სარეცხის თოკზე ჩამოვკიდე სველი თვალები,
სურვილთა თქეში მივიწყებულ ვნებებს ახელებს,
ეს დედამიწაც, არეული და ნაწვალები,
აზრზე მოვა და უკვდავებად დამასახელებს.

მინდა წავშალო

სონეტი

ფერი ვიცვალე... ვიზრდები და... ვრჩები პატარად,
ეტყობა წლები დამიბრუნდა სადღაც წასული,
ტკივილი ფიქრშიც მოვისროლე, ვატან ამ ტარას
ცრემლებს, რომლებიც წვიმას შერჩა გამონასკვული.
ყველა უჯრედი ჩავატიე ერთ ამებაში,
ვატყობ, წარსული ტვირთია და უნდა წავშალო,
აღარ მჭირდები და სულსაც გხდი დღეს წამებაში
გონიერებავ, მთის ზვავივით ჩამონაშალო.
თუ ვერ დავხარჯე, ვანადგურებ ამ ენერგიას,
რადგანაც მინდა არაფერი აღარ ვაკეთო,
დროის ხუხულა, სჯობდა დროზე რომ დამენგრია,
დღეს გვიანია, რომ ცხოვრება გადავაკეთო.
წლები გავიდა... ზღაპრის ბოლო ცოცხლდება მითში,
არ დაიჯეროთ, დავიკარგო ამ ლაბირინთში.

ვეღარ ვერთობი

დღეს ჩამოვწერე, რფაც უკვე იყო,
რაც უნდა მოხდეს, ვიჭერ აღვირით,
დრო ფიქრებიდან უნდა გავრიყო,
რომ შემეცოდოს სისხლი დაღვრილი,
რომელიც ადრე ძარღვებში მესხა
და მერე შევსვი დინჯად, წვეთობით,
როცა მომინდა სხვა ფრთების შესხმა,
მაშინ მივხვდი, რომ ვეღარ ვერთობი
იმით, რაც თითქოს შორეულს ჰგავდა,
თუმც ჩემ სხეულში გქონდა ფესვები
და თუ მოვუხმობ დარივით ავდარს,
სხვა სამყაროში გადავეშვები.
ბედნიერი ვარ... რაც უკვე იყო,
აღარ ამიკლებს ფუჭი ძახილით,
მითხარი, გზიდან როგორ გავრიყო
ის, ვინც მიმაფრენს ცაში მარხილით.

შუაცეცხლი

შუაცეცხლი ჩემ ფიქრებზე ნავარდობს,
სახეს მიწვავს სიმხურვალით ალეწილს,
მერე ცაში, ვარსკვლავებთან თამადობს,
მთვარეს გზავნის ჩემთან, შურით დალეწილს.
მიხარია ცეცხლის ჩემში თამაში
და ღამისგან მოპარული ოცნება,
მახსენდება თავი მოკლე კაბაში,
გამახელა დამარხულმა კოცნებმა.
აუ... შეშა ისე ლაღად ჩაიწვა,
თითქოს მძევლად აიყვანა სიკვდილი,
მახსოვს, რადგან მზის სხივებთან არ იწვა,
ფეხაკრეფით გაიპარა იმ დილით.
შუაცეცხლი ისევ ჩემზე ნავარდობს,
ნაპერწკლისგან დამღად დამრჩა იარა.
გიპასუხებთ, ცეცხლი რატომ არ მათრობს,
კოცნა მინდა, სიყვარული კი არა.

ერთადერთი

შენ ხარ ერთადერთი ჩემი მეგობარი,
უსიტყვოდ, უთქმელად, ჩემი რომ გესმის,
მე და შენ ერთად შევცვლით ბედისწერას,
ერთად გავუღიმებ მერმისს.
შენ ხარ ერთადერთი სისხლი და ხორცი,
ჩემში რომ ჩასახლდი მიწიერ ღმერთად,
შენ ხარ რწმენის ხატი და ხვალის იმედი,
ყოველთვის ვიქნებით, ძვირფასო, ერთად.
თავს არ დამამდლი, სიტყვასაც არ მეტყვი,
სიცოცხლეს გაწირავ ჩემთვის,
ასეთი პატარა, ნეტავ როგორი ხარ?
გულო, შენ მითხარი, რაც მარტომ ვერ ვთქვი...
მაინც გსაყვედურობ, რატომ არ მასწავლე,
ვიყო ბოროტი და თან ვიყო დინჯი,
ხმა, ხმა ამოიღე, სხვებივით დამცინე,
სთქვი _ რომ ვარ სულელი, ზოგისთვის, გიჟიც...
შენ კვებავ ჩემ სხეულს, შენ კვებავ ჩემ ნერვებს,
თუმცა უჩემოდაც ივლი,
მე კი სულ გაწვალებ, ფიქრებშიც გატირებ,
ვაი, რომ ვეღარც კი გივლი.
ჰოდა, მოიქეცი სხვებივით... დამკარგე,
დამტოვე უგულო... გულქვა...
ისე შემასწავლე ვერაგი ფლიდობა,
მშვიდად გავაგრძელო სუნთქვა.
მაგრამ...
შენ ხარ ერთადერთი ჩემი მეგობარი,
უსიტყვოდ, უთქმელად, ჩემი რომ გესმის,
ვიცი, გავუღიმებთ სხვაგვარ ბედისწერას,
ვიპოვნით ბედნიერ მერმისს.

რაც იყო

ცხოვრების გზა გასავლელი,
ტკივილით და აღმაფრენით,
ხან გვატირებს, ხან სიყვარულს
გვპირდება,
გამოაღეთ დარაბები,
ახლა მარტოც გავლაღდები,
ვერ ვიჯერებ...
უფრო ადრე ბინდდება.
იყო ჩვენით მთვრალი ღამე,
არ ვითვლიდით როცა წამებს,
არაფერი თუმც არ არის გვიანი,
კვლავ დამნათის ციდან მთვარე,
ამბობს – ისევ შევიყვარებ
და ბნელ ღამეს დაერქმევა მზიანი.
ყველა სიტყვას ჩუმად ვამბობ,
საიდუმლოს ქარებს ვანდობ,
ამ ფიქრებით სხვანაირად თენდება,
დრო გაქცეულ დღეებს ათბობს,
რაც არ მინდა, მაინც არ ვთმობ,
ვისაც ვნატრობ, აქვეა და შემხვდება.
ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ,
შუქს, ანთებულს, არ ჩავიქრობ,
არაფერი ქვეყნად არ მავიწყდება,
არ მადარდებს ის, რაც იყო,
მზესთან ერთად ჩრდილებს ვიყოფ,
რადგან ჩემთვის
სხვა ცხოვრება იწყება.

საშლელი

თითქოს ჩაიკეტა გზები და
არსაით არა სჩანს საშეელი,
ვიღაცა მეძახის ზევიდან,
– რაც არ გსურს, წაშალე საშლელით.
წაშალე მტერი და ავსული,
დღეები, სიკვდილს რომ გაგონებს
და თუ ხარ ასტრალში გასული,
უკან არ გამოჰყვე ვაგონებს.

აწყვეტილი რალი

მგონი წვიმა აღარასდროს გადაიღებს,
მსიამოვნებს მოძახილი თქეშის,
ნიაღვარი ყველა წყენას თან წაიღებს,
დატასაობს ნისლი, როგორც ქეში.
ახლაც ზეცას შევატოვე სურვილები,
წვიმა გზავნის მივიწყებულ სიტყვებს,
ის ცრემლები დავიჭირო მსურს კბილებით,
ყველა წვეთი სამყაროს რომ იტევს,
რა იქნება აღარასდროს გადაიღოს,
რომ მოვაწყო აწყვეტილი რალი,
დრომ არც იცის, რომ სიფხიზლე თან წაიღო
და დავდივარ ამ ცხოვრებით მთვრალი.

უტიფრად თავხედი

გახსენი ჭიშკარი, დღეს შენთან მოვდივარ,
გახსოვს? რომ დავარქვი შენ წასვლას –
გზა ექსის?
აღარ დამაწიო, რომ ქვა და ლოდი ვარ,
რადგანაც გიგზავნი სტრიქონებს გალექსილს.
მეგონა უჩემოდ რომ დიდხანს გაძლებდი,
მერე სხვებმა მითხრეს, რომ ჩემი ლანდი ხარ,
და რადგან კითხვებზე პასუხს არ გაძლევდი,
მკვდარი სურვილების ჯურღმულში აგდიხარ.
ამბობენ, თვრება და მარტო შენ გეძებსო...
ისე გამიხარდა, მსურს თავი ავიშვა,
როცა დაამატეს _ დაბრუნდეს შეძლებსო,
მომინდა, ჯერ გკოცნო, მერე კი გაგიშვა.
მსურს გითხრა, რომ ისევ მიყვარხარ ვნებებით,
რომ თურმე არასდროს მთავრდება რაც იყო,
რომ ცხადში კი არა, სიზმრებშიც გნებდები,
ვერაფრით შევძელი ფიქრიდან გაგრიყო.
როცა დაგარწმუნებ, რომ მართლა შენი ვარ,
იმ გზებზე გაგიშვებ, მაშინ რომ წახვედი
და თუ ჯოჯოხეთშიც ჩვენ ერთად შევდივართ,
მერე რა... მიწოდე უტიფრად თავხედი.

წინაპრები

როგორ მინდა საუბრები წინაპრებთან,
სად არ მყვანან – სამოთხეში, ჰადესში...
იქ სხვაგვარი პალიტრაა უცხო ფერთა,
იქ სხვაგვარად ეხვევიან ბადეში.
ჩემს ძარღვებში ვისი სისხლის წვეთი მეტობს
მითხრან, თორემ გამაგიჟა ფიქრებმა,
წეღან გზაზე ის გურული შემეფეთა,
რომლის სახეც არასდროს გამიქრება,
რადგან ჰგავდა მამაჩემის დაბადებას,
ჩვენ ერამდეც ვიყავ მისი ბადიში,
ვისაც ვეძებ, მათი სია არ მთავრდება,
კითხვა – ვინ ვარ? – მართლა გახდა საშიში.
კახელებო, ალავერდის კართან ვდგავარ,
მკლავდნენ, მაგრამ ვერ აჩეხეს ვენახი,
ღვთისმშობელო,
ჩვენ სიმტკიცით უფალს ვგავართ
და ვპირველობთ ჩვენი გენის შენახვით.
მოვიარე წინაპართა სამყოფელი,
ვერ ვშორდები მათ მშობლიურ აჩრდილებს,
გზას არსაით... უკვე ჰქვია სხვა სახელი
და ხელს ვუქნევ მზის სხივებში გაცრილებს.

მიმოზა ცანავა – სამართლის ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი
დაბადების ადგილი – ქ. ზუგდიდი, 1948 წლის 27 ივნისი

ღვთისმშობელო მარიამ!

გამომიწოდე მზექალწულო ხელი შეწევნის,
მწუხრის გრიგალმა სული არია,
ნავთსაყუდელო, საფარველო, ქომაგო ჩვენო,
ყოვლადწმინდაო, ღვთისმშობელო, დედა მარიამ!

მომეც ზე ძალი ჩემი რწმენის განსამტკიცებლად,
სულთა და ხორცთა საკურნებლად წმინდა წყალია,
მომეცი ხელი შეწევნისა,წყალობა ძისა,
კურთხეული ხარ, ღვთისმშობელო დედა მარიამ!

ნუ მომიძაგებ მე ცოდვილსა, დიდო იმედო,
მტერნი ხილულნი, უხილავნიც უხვად არიან,
სხვა ვინ გაიგებს, ზეციურო, ჩემს ცრემლს და ოხვრას,
ღვთით მოვლენილო დიდებულო დედა მარიამ!

ო, მიმიყვანე ნავთსაყუდელს მყუდროსა შენსა,
თვალთაგან რომ მდის ცრემლის ცვარია
და მიწყალობე, დამიფარე ძალითა შენით,
ყოვლადწმინდაო, ღვთისმშობელო დედა მარიამ!

მოვლენ მარტები...

ისევ ტრილით მოვლენ მარტები,დამიმარტოვებს სევდის ორგია,
რა საჭიროა აწ განმარტება,თითქოს ცხოვრება ცივი მორგია...
თითქოს ცხოვრება სატუსაღოა,და გაღიმება მზირი, ყალბია,
ვხედავ სიკვდილი აქვე ახლოა,ახლა სიცოცხლე არა მწადია.
მზე გადაეშვა მბორგავ ტალღებში,ნერვებაშლილი ნეტავ რას იჭვობს,
სული დალახვრა ძმის მახვილმა დამინდა მზესავთ თავი დავიხრჩო.
ფოთლები მთვარეს ჩამოასვენებს,მოწიწებით და ხელატატებით,
მე მარტოობა დამისაკუთრებს,ისევ ტირილით მოვლენ მარტები..

მე პოეტი ვარ

ვხედავ ნელ-ნელა შემომაცვდა სამოსი ტანზე,,
ქარი ქოშინით,თავგანწირვით ჩემსკენ მოიწევს,
ვით პირველყოფილ ადამიანს გზაკვალარეულს,
შიშველ სხეულზე აფარება ფოთლის მომიწევს...

მე პოეტი ვარ ცარიელი ჯიბის პატრონი,
ერთი გროშიც კი არ გამაჩნია,
მიწიერ ყოფას ვერ ავუწყვე ვერა ნაბიჯი,
უფალმა ასე მიუფლა და გამომარჩია.

მე პოეტი ვარ, ტკივილიან ლექსის სამჭედლოს ბასრ ლურსმნებივით ვჭედავ ლექსებს,
ზოგ-ზოგებს რომ გულზე ესობა,მე პოეტ ვარ, გაძარცვული ზამთრის მარტოხე
და ბევრს არაფრად მიაჩნია ჩემი ლექსობა.მე პოეტი ვარ, საქანელა ცაზე რომ არწევს,
მათსოვარივით ვაკვირდები დაყრილ მონეტებს,სიზმრის სიმძიმე
სულს რომ ასე მუმლივით ხრავს დარატომ არ სწყალობს ქვეყნად ბედი
საწყალ პოეტებს.რაც გამაჩნია იმ სიმდიდრეს ფასი რად არ აქვს,
ნიჭიერების უნიჭობა ვით არ ვითმინე, სულს დავიპურებ, არ მაშინებს ეგ ქარ-ბორია,
ამ სნეულ სხეულს რით ვუშველო მითხარით ვინმემ! ლალ-მარგალიტებს
რად ვარჩიე ვარდის სინაზე,ან სასახლეებს მერცხლის მშვიდი, პაწია ბუდე,მე პოეტი ვარ,
ამ ბუნების მესაიდუმლედა მაპატიეთ ლექსთა ქარით, თუ გავიგუდე.
მე პოეტი ვარ, არაფერი არ შემიძლია,გარდა იმისა,სტყვით ჭრელი მანდილი ვქარგო,
ნუ შემომხედავ ალმაცერად, დამცინავ მზერით,შენად მიმიღე, მიმეგობრე,
თუ შესძელ, კარგო!მე პოეტი ვარ, დაფლეთილი გული თან დამაქვს,
შენც არ დამადო დარდის ლოდი არა იგი ზედ,ეს მე კიარა, სული ბღავის, სული ხმაურობს,
არ ჩამითვალოთ ეს განცდები არა სიგიჟედ,მე პოეტი ვარ, ბუნებისგან ნაშობი შვილი,
საკუთარ სხეულს, ვით სხვის ცხედარს,უხმოდ დავსტირი ღამის ქარები
არ მინდობენ მიასმაგებენ,
უცხო ტომივით მიმძაფრებენ სულის ამ ტკივილს.მე პოეტი ვარ, ჩემი ბინა სამყარო არის,
აუხდენელი ოცნებები მიმყვება დარდად,მე პოეტი ვარ, არაფერი არ გამაჩნია,
წრფელი ლექსის და ამ გულის გარდა.მე პოეტი ვარ, ოცნებების ზღვაში მცურავი,
ჩვეულებრივი მუდამ მისწრებს, გჯერა?! ასჯერ ის,მე პოეტი ვარ,
ლექსის სახლებს ვაშენებ მხოლოდდა პოეტობა არის ჩემი ჯილდო-სასჯელიც!

ჩემო მაფშალია

სულის სარკმელს ლეწავს, ქარი აშარია,
აღარ ენდო ქარებს, ჩემო მაფშალია!
თითქოს იმედის ტბა ისევ დამშრალია,
ამიტირდა გული, ჩემო მაფშალია,
შემიცვალა წერამ თალხად თავშალია,
მაინც ფეთქავს მაჯა, ჩემო მაფშალია!
იხარხაროს ეშმამ,მისთვის არ მცალია,
ამიკვნესდა სული ლექსად მაფშალია!
მწუხარებისაგან ცრემლიც დამშრალია,
დარდი ვერ წამაქცევს, ჩემო მაფშალია!
ნუ შეგაკრთობს ქარი, ქაარი აშარია,
იგალობე ისევ, კოლხო მაფშალიავ!

დედა ენა

ჯადოსნურო, ხიბლიანო ენავ,ჩემო დიდო ტკივილო და ჯავრო,
შენზე დიდი საგანძური რა მაქვს, საქართველოს ხერხემალო, ფარო!
მუსიკა ხარ და მართალი სიტყვა,დუშმანმა ვერ დაგაჩოქა გესლით,
ამაყი ვარ ,ვითარც მყინვარწვერი,როცა ჩემი ტკბილქართული მესმის.

მტერი ბევრჯერ ჩაგისაფრდა მალვით,სიცბიერით დღესაც წაშლას ცდილობს,
მაგრამ ფესვი გადგმული გაქვს ძლიერ,ვერავინ ვერ ამოგძირკვას,თბილო!
ბევრჯერ სისხლი გადინეს და დაგჭრეს,იარები მოიშუშე თითქოს,

რომ ზვარაკად შემოგწირო თავი,დღე და ღამე მე შენს ბედზე ვფიქრობ.
ქარდაკრული ყვავილი ხარ ნაზი,ატმის რტო ხარ, დანამული ცვარით,
რა ლამაზი არის ჩვენი ენა, დალოცვილი ღვთისგან წმინდა ჯვარით!
მწვერვალი ხარ დაუპყრობი ურჩი,კარგად ხვდები მოშურნე რად მრავლობს,
დღემდე როგორ მოაღწიე მიკვირს საოცნებოვ, ჩემო ნატვრისთვალო!,
მავანთაგან ქარიშხალი გქვია,მაისი ხარ, ვარდ–ყვავილთა ფენა,
ჩონგური ხარ, მოჟღურტულე სიმი,სასალბუნო,საამურო ენავ!
შენ შუქი ხარ, ნათლისმფრქვევი შუქი,თვალს რომ ჭრის და გზას გინათებს უმალ
,სიმღერა ხარ, იავნანა ტკბილი,დედასავით ჩაგიკონა გულმა.
საყრდენი ხარ, სალოცავი ჩვენი,შენითა მაქვს მე დღეს რამე თუ მაქვს,
მაამაყებს სიდიადე შენი,წუთისოფლის ამ დროებით სტუმარს.
შენ გული ხარ, მგრძნობარე გული,ვერასოდეს ვერ იქნები მშვიდად,
მწყურვალთათვის მთის წყარო ხარ წმინდადა ჩვილივით მოფერება გინდა!
შენ მუზა ხარ და ფაქიზი სული,მზედ გაშლილი ფარშავანგის ბოლო,
როცა შენი ჟღერადობა მესმის, ბედნიერი მაშინა ვარ მხოლოდ.
სანთელი ხარ ანთებული ალით,გზას გვინათებ შენი წვით და ნათლით,
ტაძარი ხარ ქართველთათვის წმინდა,თუ გადავრჩით, ისევ შენი მადლით.
შენ სკივრი ხარ, ჯადოსნური სკივრი,შემოქმედთა თილისმა და რწმენა
და ფიქრი ხარ გახვეული ნისლში,ჩემი ძალა, ჩემი ბედისწერა!
უფლისაგან დალოცვილო მარად,ღმერთ გიცავს, გფარავს მაღლით ზენა
,სალოცავო,უწმინდესო ჩვენო,კურთხეულო, მშობლიურო ენავ!

ვაშა

ხმელი წიფელივით უკვდავი და ობოლ შვლის ნუკრივით დაბნეული,
ყირმიზ ყვავილებთან მოჩურჩულე,ალმას-მარგალიტად გაბნეული...
სიტყვა-ხანჯალივით ალესილი,თითქოს არც გყოლია სხვა მოყვარე,
წიფელს ამოსული მწვანე ყლორტი გულის ფესვებიდან ამოყარე.
სევდა-კრიალოსნად აკინძული,ღრუბლის სასთუმელთან გადამალე,
ის, რაც გეწადა და გაწვალებდა ანდე იდუმალ მთებს, უწილადე.
ციცქნა წიფლიჩიტა ააცრემლე,იებს მოუქსოვე ტრფობის ბადე,
მწარე წარსულივით უმწუთხესი,დარდის უმძიმესი ლოდი ზიდე,
კალმით დიდი ომი მოიგე დამამულს შენი გონით შეეხიდე.
სამშობლო-ზნეკეთილი მინდია,მარად სალოცავად გაიხადე,
ერის გენი იყო შენი გენი, გულზე ალუდას მზე დაიხატე.
ლურჯი მთის იები სიკვდილის წინ,მკერდზე მძივებივით დაიყარე,
მადლით შემოსილო საგანძურო,ღვთისგან კურთხეულო ,გაიხარე!
ლურჯი ცა საბნად დაიხურე,მიწა კი ლოგინად გაიშალე,
მთებსაც სატკივარი გაუმხილე,იმადლიანე და არ იშარე
ყელგადაგდებული ღმერთს ევედრე,მამული იმშობლე და გულით ლოცე,
სანათას ცრემლი შეაშრე დალუხუმს მომავალი დაულოცე.
სათნო, ვით ობოლი კვირია და ძალა საძირკველში ჩაძირული,
ვეფხვი-სალიკლდისებრ საქართველო,მოძალადეთაგან განწირული...
ბუნება მითია და სიბრძნის წყარო,მუდამ გაოცებდა ძალა მისი,
ისე უკვდავი ხარ, როგორც დედამიწა,როგორც თვით სიცოცხლე მარადისი!...
დაჭრილ არწივივით დაწიხლული,ღმერთო, საქართველო არ გასწირო,
,,ახლა ჩვენნი თავი ჩვენ გვეყუდვნის",ფშავეთს აფრენილო კლდის არწივო!
...ასე რად გტკიოდა მთის მგოსანო,ღამე ხან მწყრალი და ხან ქებული,
ღმერთთან წილნაყარი საქართველო,ხატთან სანთელივით ანთებული!

შემოდგომის ასაკი

თითქოს სული დამიღვინდა,მზეც სხვაგვარად მათბობს,
მწუხრის ბინდი შემეპარა, დავრჩი მარტოდ-მარტო!..
ზვავად მექცა ფქრთა გროვა,სევდა მიკრთობს ხმასაც,
თურმე დარდი სცოდნია,შემოპარულ ასაკს.
რა სიყვითლე გადაჰკვრია გაზაფხულის ვარდებს,
ყოველი დღე განცდიანი,რამდენ კითხვას ჰბადებს,
ჩამაფიქრა, სილამაზემ, სიყმაწვილეს რაც აქვს,
თურმე რა ღელვა სცოდნია,შემოპარულ ასაკს.
ვერასოდეს დაიბრუნებ,გულით გასცემ რასაც,
თურმე რა სევდა სცოდნია,შემოდგომის ასაკს.

როცა.....

როცა ყველაფერს ურდული ადევს,
გაყინულია ქვეყნად ყოველი,
არის დრო-ჟამი უიმედობის,
როცა არაფერს აღარ მოელი!

მენიღბოსანთა ქირქილი,ქირდვა,
ქაოსო ,ქლესა,ქანცს გაცლის და გღლის,
მტკივნეულია, როცა სიხარულს
ერევა მღვრიე,დამღლელი ღარღლი.

როცა დარდების ოკეანეში
იხრჩობი,ხედავ ხელს არვინ გიწვდის,
გადამდებია წითელასავით
არეულობა მშობელი მიწის!....

როცა ვარდების ლამაზი კონა
ჭინჭრად გექცეივა, სასტიკად გსუსხავს,
როცა მოელი განთიადებს და
სინამდვილე კი გაგებებს სულ სხვას!

როცა თვალებში ჩაგუბულ ცრემლებს,
დიდი ტკივილით იხრჩობ და კვნესი,
როცა შენს სევდას ძაძით შემოსილს
მხარს უქცევს ,სწირავს ერთგული ლექსიც...
.
როცა სინდისი სახრჩობელაზე
აუყვანია ერთ მუჭა კასტას,

როცა საზღვარი აღარ არსებობს,
უსაზღვროება ყველა ზღვარს გაცდა!...

როცა ეკლების გვირგვინს გადგამენ,
და ენანებათ თბილი სიტყვები,
როს უპატრონო,მშიერ ძაღლივით
ქანცგაწყვეტილი შარას მიჰყვები!....

როცა ღიმილი დაცინვას ჰგავს და
თეთრი კბილებით გსერავს მოისრე,
გლოვის გულსაკლავ ზარებს შეჩვეულს,
გულდასერილი სევდით მოისმენ!....

როცა არაფრის მთქმელია წამი,
ვიღაც მახინჯი ცდილობს გაგქურდოს,
როცა ნამუსის ქუდი გამქრალა,
სასოწარკვეთით ებრძვი ამ ურდოს!...

როცა არაფერს არა აქვს ფასი
და სულ ამაოდ ომობ მტირალი,
როცა უტიფრად მეფობს ტყუილი
და გკლავს განცდათა ორომტრიალი!..
.
როცა მწუხრისგან სულს ვეღარ ითქვამ,
და სიყვარულის ირგვლივ მზერა თვლემს,
როგორც გაყიდა იუდამ ქრისტე,
ისე ჰყიდიან ყველგან ყველაფერს!

დედი, მაპატიე!

დედი, სევდიანი გაზაფხულთმაში მონატრების მიწნავს იებს,
ვეღარ ჩამოვდივარ შენს საფლავთან,დედი, გევედრები, მაპატიე!
ფატა გაცრეციათ დროისაგანბაბუაწვერებს, ამ ფანტიებს,
ლოცვებს ნაჩურჩულევს ვატან მტრედებს,მე ვერ მოვაღწიე, მაპატიე!
შხუის ქარიშხალი თავგანწირვით,თავს არ მანებებენ, ამტანს მდიეს,
დღეებს ნატკივილარს გულში ვიკლავ დედი, შემინდე და მაპატიე!
ახლაც თვალწინ მიდგას ეგ ღიმილი,დარდის გორები გულს ვეღარ დავატიე,
მოვალ, უსათუოდ მოვალ შენთან,შემაგვიანდა და მაპატიე!

ტკივილის ტვირთი

ქარიშხალივით ამედევნები
და სულის მოთქმას არ მაცლი, ფიქრო,
მე ერთგულებით გდიე და გდიე,
შენც არ მომეშვი, ტკივილის ტვირთო!

თავის დაღწევა ხომ ბევრჯერ ვცადე,
მარცვალი ვთვალე სულ თითო-თითოდ,
მაინც ვერა და ვერ დაგემალე,
ყველგან მიპოვე ,ტკივილის ტვირთო!

რა დაისახე მიზნად არ ვიცი,
მიმაქანებდი უფსკრულში თითქოს,
მაგრამ ვერაფრით ვერ დამანარცხე,
შენი ოინით,ტკივილის ტვირთო!

რაც მეტი ლოდი გულზე დამადე,
მით უფრო მეტად შემმატე ძალა,
როგოც კონკიას ბედით დაჩაგრულს,
ლოცვა მამაღლებს, უფალი მფარავს!

და სულ ამაოდ ამომიჩემე,
ყველაფერსა აქვს სასრული, ვით ომს,
ეს შენ კიარა, მე დაგამარცხე,
ვერ მომერიე, ტკივილის ტვირთო!

ისევ მორჩილად თავს დაბლა დავხრი,
ისევ მოთმენით ბევრ რამეს გითმობ,
ტკივილით შობილს და ასე ამტანს,
ვერას დამაკლებ, ტკივილის ტვრთო!
საქართველო ფარვას გთხოვს...

ფრთხილი ნაფეხურები

წუხელ მესიზმრა გარდავიცვალე,
მწვანე ბალდახინს რთავდნენ ვარდებით,
შავ საქორწილო კაბას მიქსოვდნენ,
მკაწრავ-მქანცავი ეკალ-ბარდები!
სიკვდლის მერეც სიკვდილს ვნატრობდი,
ტანჯვის გორები სუსტ მხრებზე მაწვა,
და მწუხარება წვიმის წვეთივით
ცრემლად ეკიდა მარაო წამწამს!...
ტკიივილის ზარი მაზანზარებდა,
საკუთარ სხეულს ვჭირისუფლობდი,
გაყრილი იყო სული სხეულთან
და მაინც ვგრძნობდი მწირი სულს ვფლობდი!..
ჩემს მოთმინებას ცდიდა სატანა
და დაფლეთილ სულს შანთით შანთავდა,
ბედის იდუმალ მრგვალ გორგოლაჭზე
გზა და გზა დღეებს უხმოდ ართავდა...

ციდან ტკარჩალი მომესმა უცებ,
დარაზმულიყვნენ ანგელოზები,
ხელში ეჭირათ ბედნიერების
თასი თილსმის ზღვა მიმოზებით..
სულ სათითაოდ შემომაცალეს
ეკალ-ბარდები სათნო ხელებით,
მერე კი ფრთები შემომაშველეს,
წამომაყენეს ფერებ-ფერებით.
მზისფერ ყვავლთა კონით მომირთეს,
ის საცალფეხო ვიწრო ბილიკი,
ხელის აქნევთ წამში გააქრეს
ავი დემონი ქილიკ-ქილიკით!...
ხელში მეჭირა მზე ხარისთვალა,
ახალისებდა სახეს ხურებით
და ივსებოდა იმედის სხივით
ეგ ჩემი ფრთხილი ნაფეხურები!

ირაკლი ნადარეიშვილი – სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი

ლექსის ვირუსი

სხეულით დამაქვს ლექსის ვირუსი,
ჰაერში ვაბნევ მუზის ბაცილებს,
მე ავადა ვარ და ეს სახადი
აღსასრულამდე გამომაცილებს...

მე ავადა ვარ და ძვლის ტვინამდე
გამომხრა უკვე რითმის განგრენამ,
მეტასტაზებად მომდო მარცვლები,
სტერეოტიპთა დაშლა-დანგრევამ.

ყოველღამ სიცხეს ვიზომავ კალმით,
წითელ ხაზს სცდება ხელის ხლებაზე,
ძმრიან წინდების ვიცვამ ტაეპებს
და სველ სტრიქონებს ვიფენ კეფაზე.

ისევ მახველებს მშრალი სტროფებით,
ფილტვები, ისევ, რიტმებად სტვენენ
და წუხანდელი ჩემი ბოდვები
დიაგნოზებად თეთრ ფურცლებს ფენენ...

და, მაინც, შიში არ მაქვს სიკვდილის!
ამგვარი შიში არ მეძალება,
აბა, პოეტის სიკვდილი ვინ თქვა,
ან პოეზიის გარდაცვალება?!

სხეულით დამაქვს ლექსის ვირუსი,
და თუ, აქამდე, არ მოგდებია,
ნუ მოხვალ ახლოს, მიმზირე შორით,
ჩემი ლექსები გადამდებია...

ხელში წიგნით და ჯიბეში ხურდით...

ხელში წიგნით და ჯიბეში ხურდით,
გაწეწილ წვერით, ჭუჭყიან ქუდით,
ბეტონის ქალაქს შექცეულ ზურგით,
დახეთქილ ტუჩებს დაილბობს ლუდით...

მერე კი, ხარბად გადაშლის ფურცელს
და შიმშილის ხმას დაუხშობს მუცელს,
წიგნია, ის, რაც მას ტოვებს უცვლელს
და გულიც მხოლოდ წიგნებით უცემს.

უსახლკაროს და ძალღონე მიხდილს
მხოლოდ ეს წიგნი ავიწყებს შიმშილს
და როცა ძონძებს ძილის წინ იხდის,
სწორედ, მის გამო არ უხმობს სიკვდილს.

მერე მთვარესთან შინაარსს არჩევს,
არ განიკითხავს ავტორს და სარჩევს
და საკუთარ ,,გმირს", ჭირვარამნაჩვევს,
წიგნის სიუჟეტს არგებს და აჩვევს ...

წიგნებში სხვისი ცხოვრების ,,ქურდი"
ახალ ოცნებით და ძველი ქუდით,
კვლავ აიკიდებს სიცოცხლეს ზურგით,
ხელში წიგნით და ჯიბეში ხურდით.

რადა ვწერ?!

დარჩა კი, განა, სათქმელი,
მწერალს აქამდე არ ეთქვა?!
არც რამ ფარული ყოფილა,
დრო და ჟამს რომ არ გაეთქვა...

არც ტკივილია ახალი,
სიკვდილიც იშვა ძველადვე,
სიცოცხლის მომადლებიდან
თან რომ გვებოძა ძღვენადვე...

ჰოდა, რას ვჩივით, რას ვტირით,
აქამდის რომ არ გვტკენია?!
სვე-ბედზე მოთქმა, გოდება,
მეტადრე მოსაწყენია.

ვერც სიყვარულზე გალობით
შევქმნით შოთაზე უმჯობესს,
ვერვინ გაბედა ტარიელს
თავის მიჯნური უჯობდეს...

ვერც გალაკტიონს ვეტოლეთ
და ვერც ტატოსთან გავსწორდით,
აქეთ ტიციანს ჩამოვრჩით
და იქით გოგლას დავშორდით...

ყაყაჩოებად შემოგვრჩნენ
არაგველები ლადოსი,
აკაკის ,,გამზრდელთან" ერთად
მოკვდა გაზრდილთა პათოსი.

აბა, ვაჟამდე რას მივალთ,
არც შნო გვაქვს ბებერ მუხისა,
არც გრიშაშვილის აშპაშხნის,
არც კალანდაძის თუთისა...

მიხას - ამოქთქომ ოხეროს
და ბინდისფერი ქვეყნისა,
მირზას - თოვლივით ვარდების
ლანდი ბარბაცით გვდევნისა...

გრანელის - მემენტო მორი,
დუტუს - პატარა ქართველი,
მუხრანის - ანდუყაფარო,
კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი...

მაშ, რა გვრჯის, ვის ვემართლებით,
სიტყვას რომ ვიწყებთ ,,ქუხილით",
ხან მეგობრობას ვაღმერთებთ,
ხან მარტოობას წუხილით...

ვხლართავთ, ვლამბავთ და ვიგონებთ,
ახალ სიტყვათა წყობასა,
ახლის ძიებით ვამართლებთ,
საკუთარ ენის მტრობასა...

თუ ვინმე შექმნის უკეთესს,
ვუწყებთ ქილიკით კბენასა,
აქეთ გონებას ვაწამებთ
და იქით დედა ენასა...

მაგრამ რას ვიზამთ, არ უყვარს
ქართველს მოდრეკა ქედისა,
ამპარტავნებას ვმონებთ და
კერპს ვეტრფით სითავხედისა...

ყველას ,,მეფობა" გვწყურია,
საღვთო ტიტული მგოსნისა,
გვახარებს ,,მრევლის" სიმრავლე
ხელ-პირის გადამკოცნისა...

მაგრამ, რასა ვწერთ, რადა ვწერთ,
სიტყვას დავაგდებთ რისთვისა,
თუ შესაცნობი არ იქნა,
ქვეყნის და კაი ყმისთვისა...

თუკი ლაყბობად დარჩება,
ჩვენი ნააზრევ - ნაგეში
და ამ ,,სიახლის" ძიებით,
სხვებიც გავაბით მახეში...

ჰოდა, მაშ, რა გვრჯის, რადა ვღლით
ცალკე გონს, ცალკე კალამსა,
წაიკითხოს და არავინ
გვაძლევდეს საღვთო სალამსა ?!

ბევრი ვიფიქრე, რადა ვწერ,
ან რით მიკურნა-მიამა?!
ალბათ, თქვენსავით გამომღრღნა,
უძღებმა გულის ჭიამა.

კაცებს მოუფრთხილდით მაჭრობიდან!

სიყვარულს მიზეზი არ სჭირდება,
სიძულვილს შეთხზვა საფუძველის,
ვნებას ლაგამი და შეგონება
წესის დაცულის და დაუცველის...

მონატრებას ვერ შობს დაშორება,
თუკი გრძნობა ერთხელ გახუნდება,
კაცი ბუმერანგი ნუ გგონიათ,
თქვენგან მოსროლილი არ ბრუნდება...

კაცი ვენახია, ზვარი არის
გრძნობით გაფურჩქვნისას მსხმოიარე,
კაცი წალამია, ვნების ცეცხლად
სულის შებერვისას მობრიალე.

კაცი დაუმდგარი მაჭარია,
სანამ ტრფობით ქვევრში ჩავარდება,
იქაც ქალის სითბო თუ მოაკლდა,
ჩუმად იდუღებს და დაძმარდება...

კაცი?! თიხა არის მოზელილი,
ისიც კოკასავით არ მრთელდება,
შიგ თუ სიყვარული არ ჩაასხი,
მიწად იქცევა და ამტვერდება...

კაცი?! ასავსები ბეღელი და
გრძნობით მოსაპირი ჭურჭელია,
თუკი სიყვარულით ვერ დანაყრდა,
მუდამ მწყურვალი და უჭმელია...

კაცი გმირი არის, მხოლოდ მაშინ,
როცა სიყვარულის ჯაჭვი მოსავს,
როცა ეგულება მომლოდინე,
ვისი ცრემლიც მიწას შეუმოსავს...

კაცი?! მყიფეა და სათუთია,
ჰოდა, საცდუნებლად აირევა,
როცა ყინვა დაკრულ გულის ბზარში
გრძნობა წვეთ-წვეთობით გაილევა...

კაცი?! იმ პატარა ბავშვს წააგავს,
ნანატრ ტკბილეულს რომ უყიდიან,
ჰოდა, გულიც სწორედ იქ მიუწევს,
სადაც უმიზეზოდ უღიმიან...

სადაც სიყვარულით მოელიან,
სადაც მკლავს და გარჯას შეუქებენ,
მადლიერებით და სიხარულით,
სადაც გულის კარებს შეუღებენ.

სადაც სტატუსით, თუ უსტატუსოდ,
მოვლილ ხელებით, თუ ნახეთქებით,
სიყვარულის ქვეშაგს გაუშლიან,
არა ვალმოხდილი ,,დახეთქებით“...

სადაც შეჭამანდზე უფრო მეტად
სული სიხარულით დანაყრდება,
სადაც გულის სითბო მეტად ათბობს,
ვიდრე ბუხრის კუნძის ჩანაცრება...

ჰოდა, არ იკითხოთ, რატომ გვიყვარს,
ან რა მიზეზით და საფუძველით
ჩვენთვის სიყვარული მთავარია,
თუკი ამ სიყვარულს ,,გავუძელით“...

კაცებს მოუფრთხილდით მაჭრობიდან,
ყველა გულის ბზარი დაუგმანეთ,
თუ გსურთ დედოფლობა, ამეფეთ და
კოცნას ნურასოდეს დაუხანებთ.

ნიჭიო, არა?!

ნიჭიო, არა?! თუ ღმერთი გწამს, რა თავში იხლი?!
შენ იღბალი თქვი, თორემ ნიჭით ვინ იკლავს ვარამს?
ნუ გაიკვირვებ, თუ ნიჭისთვის მიიღე წიხლი,
არც ის, ნაწიხლარს რომ ეგ ნიჭი ვერაფრით ფარავს.

ნიჭიო, არა?! არ ერევა, მაშ, გზა საკმეველს?!
და შენ გგონია, რომ დღეს ნიჭი რაიმეს კვალავს?
ეჰ, სანთლის შუქი თუ იზიდავს, ისიც იმ პეპლებს
სიკვდილის შიშით სიცოცხლის ჟინს რომ ვეღარ სძალავს.

მაშ, ჰალალ შრომით მოპოვებულ ლუკმითო, არა?!
რაღაც ვერ ვატყობ, რომ არამი დღეს ვინმეს ზარავს,
ზოგმა ცხოვრება ჩუსტებივით მოირგო მაშინ,
როცა შენს ფეხებს გადამსკდარი კოჟრები ღარავს.

ნიჭიო, არა?! ჰო, ფასდება, მაგრამ, რომელი?
ის ნიჭი ხომ არ, ლიქნა-ლიზღვით რომ აბნევს სალამს?!
იქნებ ის ნიჭი, სხვის დანთებულ კელაპტრით ხელში
დიდებისაკენ რომ ინათებს ბინდსა და წკვარამს?!

ჰოდა, რა ნიჭი, რის ტალანტი, ან სიალალე,
ნიჭიერებას ყოფიერი სტანჯავს და ზარავს,
შენ იღბალი თქვი, თორემ ნიჭით გინახავს ვინმე,
რომ ბედნიერი მიჰყვებოდეს მის წილად სავალს?!

ვერ მიცანით, ქალბატონო?

არ მითხრათ, რომ ვერ მიცანით, ქალბატონო,
ნუთუ, დროის ღვარცოფებმა ისე მშთანთქეს,
რომ წარსულის აჩრდილიც კი აღარ შემრჩა
და თვალებმაც ვინაობა ვეღარ გათქვეს.

არ მითხრათ, რომ ვერ მიხსენებთ, ქალბატონო,
ვერც იმ იებს, წვიმაში რომ ერთად ვკრეფდით?!
ეჰ, ოდესღაც, თქვენი ერთი შემოხედვით,
ჩემს ბაგეზე ღიმილების კონებს წყვეტდით.

ჩაის სახლი და ბლითებიც აღარ გახსოვთ?
სტუდენტურ რიგს რომ ვტკეპნიდით მოთმინებით,
მე კი, თქვენი ვარდისფერი კოფთაც მახსოვს,
წელს რომ კვეთდა თეძოსაგან მოხდინებით.

არ მითხრათ, რომ არც ის გახსოვთ,
ქალბატონო,
კედელზე რომ ამოვჩხაპნეთ სახელები
და ბავშვურად, ხელნაწერი კონსპექტების
დამალვით რომ გტანჯავდით
და გახელებდით.

მომიტევეთ, მგონი, არა, მართლა შევცდი,
უსათვალოდ სულ სხვა ქალად შეგიცანით,
თუ ღმერთი გწამთ, ახლა არ თქვათ,
რომ გახსოვართ
და რომ ახლა მე ვცდები
და თქვენ მიცანით...

გალახულ გაზაფხულით...

ძველი სადარბაზო თვრამეტი საფეხურით,
შუშა გაბზარული მბჟუტავი სანათურით,
მოაჯირს, ვარაყიანს, რკინის სახელურით
გოგო მიუყვება თვრამეტი გაზაფხულით.

პირველი კურსი და პირველი პაემანი,
ჯერ არც სინანული, ჯერ არც კაეშანი,
სპექტაკლი, პარტერი, შემდეგ აივანი,
პირველი კოცნა და თრთოლვა, კაი ხანი...

პირველი ხელკავი, მთვლემარე ლამპიონი,
მწკრივში ჩაწყობილი ჭადრების მაყრიონი,
პირველი მიყვარხარ, პირველი დაფიონი,
სიტყვები-მოლუღლუღე, გრძნობები-მკაფიონი...

მერე, სეირნობა ხელში კონსპექტებით,
და გზის დაგრძელება, განგებ, პროსპექტებით,
გრძნობების განხილვა შეთხზულ დელიქტებით,
და ფიცი შეკრული უტყუარ ვერდიქტებით...

შემდეგ იმედების გალევა-გაცრუება,
პირველი არ მცალია, პირველი წაყრუება,
მორევი პრობლემების და გულის აცრუება,
ვიღაც სიყვარულზე რარიგად ნაცრუება...

მხოლოდ კიბეს შერჩა აჩრდილი შენეული,
წაბლისფერ ნაწნავებზე ბაფთა შებნეული,
ჰო, კიდევ, იმ ერთ ყმაწვილს ფიქრებ არეული
უხმოდ რომ გიმზერდა, გრძნობა გაბნეული...

მისთვის დრო და ჟამმა მტვრით ვერ გადაფარა
კიბეზე მოშრიალე ცისფერი სარაფანა...
თვრამეტი გაზაფხულით გოგონა სიფრიფანა
იმ ძველი სადარბაზოს კედლებმა დაივანა...

მოაჯირს, ჩუქურთმიანს, რკინის სახელურით
ანათებს ღავღავით ბებერი სანათური,
კიბეს მიუყვება თვრამეტი საფეხურით,
ქალი-შემოდგომა, გალახულ გაზაფხულით...

დღეს ვერ დამათრობ!

დღეს ვერ დამათრობ, თავის მოხდით
თავს ნუ მოიჭრი,
დღეს ფუჭი გარჯა დაადგება პაპის ორშიმოს,
არამგონია, რომ შესძლოს და შენმა ზედაშემ
გულს მოდებული სარეველა გამომიხშიროს.

დოლის ტყავივით გადაჭიმულ სხეულით სულზე,
მხოლოდ ინსტინქტი მიმოძრავებს
ნერვულ საცეცებს,
დღეს ღვინო დარდში ჩამეხრჩობა და უშედეგოდ
მორიგ ალიონს სათვითგვემარს გამიათკეცებს...

დღეს არ მესმევა შენი ღვინო, ქვევრთა მეუფევ,
სირცხვილნაჭამი, ნაქვევრალად
რომ არ დამირჩე,
საკუთარ წვენში ჩავიხარშო უნდა დილამდე
და ასე, მაინც ,,ჰო“ და ,,არად“ თავად გავირჩე...

უმზეურ დარდებს საშამფურე ნაჭრებად ავქნი,
ყველა ,,მინდაზე“ ზედ წავიყრი
თითო მწიკვ მარილს,
ვერ გამხელილი ვნების წალამს მაყალზე დავყრი
და გრძნობის ცეცხლის ჩანაცრებით
მოვისპობ წადილს...

წარსულის ლანდებს ამოვგანგლავ
ნაცრით და მურით,
თუ რამ მომრჩება, ზედ შევიზელ სახეზე უხმოდ,
რომ დღეის შემდეგ, არ იმზირონ
თვალებმა გულით,
და ჩემს საშველად აღარასდროს არავის უხმონ.

დღეს ვერ დამათრობ,
ნუ მოიჭრი თავს თავის მოხდით,
დღეს უძლურია ჩემს დარდებთან შენი ზედაშე,
ალბათ, ოდესმე, კვლავ გეწვევი
და ქედის მოხრით
გაუმხელელი გრძნობებისას შევსვამთ მე და შენ...

ხანდახან, ცხოვრება ტყუილში ჯობია?!

ხანდახან, ჯობია ტყუილში იცხოვრო,
შექმნა და ირწმუნო შეთხზული განცდების,
თავი შეაფარო სიმშვიდის ოაზისს,
როგორც კი სიმართლის უდაბნოს გასცდები...

ხანდახან, ჯობია ტყუილით იკვებო,
იცოდე სიმართლე და მაინც გჯეროდეს,
რომ სადღაც, თითქოსდა, ვიღაცას უყვარხარ,
ვიდრემდე არსად და არავინ გელოდეს...

ხანდახან, ტყუილი იმედი ჯობია,
სიმართლით ჩამოშლილ
მიზნების ქვა-ლოდებს,
ძვალ-რბილში გამჯდარა, განა, თუ ჰობია
და მართლის მთქმელსაც კი
ტყუილი აბოდებს...

ხანდახან, სულელად რომ გაჩნდე, ჯობია,
ჭკვიანის სატვირთავ აზრების სიმძიმეს,
სიმართლით გატეხილ ღამეთა მგმობია
სიმშვიდე, რომლითაც სულელი იძინებს.

უდროო სიცოცხლეს, ხანდახან, ჯობია
დროული სიკვდილი ეწვიოს დარაბებს,
რადგანაც, სიმართლე არადნად მყოფია
და ისევ, არჩევანს არგებენ ბარაბებს...

ბრმა და ყრუ რომ იყო ჯობია, ხანდახან,
სიმართლით დაშანთულ
თვალხილულ სინათლეს,
თუ მზად ხარ სატანჯველს რომ გაჰყვე,
მხარდამხარ,
მაშ, ჭინჭით ნუ მოსავ შენს
შიშველ სიმართლეს.

ხანდახან, ცხოვრება ტყუილში ჯობია,
ჰო, ვიცი, ძლიერთა ხვედრია სიმართლე,
ხანდახან, სისუსტეც იმგვარად მწყურია,
სინდისთან თავსაც რომ
ვერაფრით ვიმართლებ.

ნინო უძილაური – მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი;
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი;
დაბადების ადგილი – ყვარელი.

ლექსშეგონება

მამაძაღლობენ ათასგვარი ნაძირალები,
მზის სამყაროში ამუქებენ ოქროსფერ სხივებს,
მათი უსულო, უსიცოცხლო მღვრიე თვალები,
ვეღარ ხედავენ ღრუბლებიდან წამოსულ წვიმებს.
წვიმებს, რომელიც მწყურვალ მიწას ნამავს წვეთებით,
რათა სამყაროს დაუბრუნოს სამოთხის ფერი,
რომ სიყვარულმა იზეიმოს უტიფართ გულში
და სამუდამოდ დაიმარხოს სიცოცხლის მტერი.

ბოლო წვეთი

ჯამის ასავსებად წვეთი კმარა,
მერე დასაცლელად ისევ წვეთი,
ცოდვა-მადლის მძებნელს მე კი არა,
პასუხს აგებინებს თავად ღმერთი,

ბოლო წვეთი?.. ცაში ფრენა მინდა,
ვნატრობ...იმედია წამიერი,
მამა, ძე ღმერთი და სული წმინდა,
მერე?...ჩვენი მრავალჟამიერი.

მთავრდება ის რაც...

აჰა, მილულა ღამემ თვალები,
სცენა იხსნება სიზმრების ფერზე,
ცამ გადათვალა ვარსკვლავთ ხალები
და მთვარის სხივი მოირგო ყელზე.

გამეფდა ფიქრთა სიჩუმის ნოტა,
მაყურებელი პარტერში რჩება,
დრო გაილია, დარჩა სულ ცოტა,
მთავრდება ის რაც ნელ-ნელა ქრება.

კვალი

თოვლს დაეფარა სიცივისგან დამსკდარი კანი
და ბროწეული თავდახრილი ცრემლებს ყლაპავდა,
ფერმკრთალ მარცვლებზე აღარ ჩანდა სიცოცხლის კვალი,
მკაცრი ზამთარი ამ სილამაზეს ვეღარ მალავდა....

* * *

ყველა მამაძაღლს,
ნაძირალას,
ათას ავყიას,
მინდა ვუთხრა რომ.....
თუმცა თქმაშიც ნეტავ რა ყრია.

უძილაურთა გვარისა

ფშავს შაიყარნენ ფშავლები,
უძილაურთა გვარისა,
სწყალობდათ კოპალას ხატი,
მადლი ლაშარის ჯვარისა.

მზე იდგა უკანა ფშავის,
ზე შემაღლებულ მთის წვერზე,
ისხდნენ ფშავლები არაგვთან,
სიო ეფინა დღეს მხრებზე.

ეფერებოდნენ პურ-ღვინით,
წარსულს, აწმყოს და მომავალს,
ლოცავდნენ ადგილის დედას,
სამშობლოს, ერთურთს, მონაგარს.

ვინა სთქვა გადავიწყება,
გმირი კოპალას ხატისა,
ფშავლების ადათ-წესის და
უძილაურთა გვარისა.

ბაღში

ბაღში აყვავილდა ალუბლები,
ეზოში ჰყვავის ვაშლი,
ბაღის ბოლოში კი თეთრი ბლები,
ყვავილებს ჯერაც არ შლის.
სხივი ატმისფერი ზეცის კიდედ,
ფერებს უწნავს აპრილს თმაში,
მოდი, მომეხვიე ერთხელ კიდევ,
ბზარი შემერია ხმაში.
ბაღში აფეთქებულ ალუბლებთან,
კვირტებს ალუჩაც ხომ გაშლის.

ენავ, მშობელო

შენა ხარ ჩემი სამყარო,
ჩემი საუნჯე, ფესვები,
უფალო აღარ გამყარო,
ენას, საუფლოს ღმერთების.

გადმოაყარე აპრილო,
სამშობლოს ზეცის კვირტები,
გულო ქართულო, ნამდვილო,
ენავ მშობელო, მჭირდები!

ჩემო საქართველო

უფლის ხელდასმულო, უფლით მადლმოსხმულო,
დარდი, ცრემლი არ მაჩვენო,
ისევ იზრდებიან ალგეთის ლეკვები,
იბრწყინე მამულო ჩემო.

ჩემო საფიცარო, დედა საქართველო,
ლელოს კვლავ გაიტან დღესაც,
ძმებო ქართველებო, რჯულის დამცველებო
ლოცვით ვწვდებით მზეს და ზეცას.

ჩემო მზის ალაგო, ცაო ქართლისაო,
მთებო, ჭიუხებო ჯიხვთა,
არწივთ სამფლობელო, ჭირთა მედგრად მთმენო,
მიწავ საძვალეო გმირთა.

ქრისტეს გზის მგზავრებო, ლოცვავ მადლისაო,
ქართველთ რწმენავ ვაზის ჯვრისა,
მრავალჟამიერო ერო ქართველთაო,
რწმენა არ მოგაკლდეთ ღვთისა.

წარსულს არ ივიწყებს აწმყო წამიერი,
მიწა გმირთა სისხლით თბება,
ისევ ისმის ჩვენი მრავალჟამიერი
ხარობს მამული და ტკბება.

რამდენი

რამდენი ზამთარი,
რამდენი ზაფხული,
რამდენი სითბო და სიცივე ვიფერე...
რამდენი ტკივილი,
რამდენი ტირილი,
რამდენი დაცინვა ვითმინე, ვიგემე.
რამდენი ჭორები,
რამდენი ტყუილი,
რამდენი ბრალდება უბრალოდ ვისმინე,
მწარედ ვიგლოვე, მწარედ ვიდარდე,
ცხელი ცრემლები ჩუმადაც ვიწმინდე...
ამ დარდით, ვაებით რომ ვეღარ ვიფრინე,
დავღონდი,
დავშრი და ფიქრებად ვიდინე...
სულ ცოტა ვიმღერე,
სულ ცოტა ვიცინე,
ცას მივწვდი ხელებით,
ვიყვირე, ვიგიჟე...
ახლა რას ვაპირებ?
თავიდან ვიცოცხლებ,
თავიდან ვიცხოვრებ,
თავიდან ვიცინებ,
ღიმილში ჩავკარგავ უსიტყვო სინანულს,
დარჩენილ წუთებსაც მივანდობ განგებას,
არაფრად ჩავაგდებ უტიფართ სიბრიყვეს,
თავიდან ჩვილივით გავყვები ღვთის ნებას.

ფიქრი

ფიქრებაშლილმა აპრილის ღამემ,
კრძალვის ჩამოხსნა მზეს ერთი სხივი
და ვარსკვლავთ ცაზე მიჯნურმა მთვარემ,
ყელზე შეაბა ალიონს მძივი.

სიყვარულს უხსნის დღეს ღამე ამ წამს,
უსიყვარულოდ სიცოცხლე არ მწამს...
არავინ იცის რას ფიქრობს ქალი,
გარდასულ დღეთა როცა ქრის ქარი.

არჩევანსა და არადანს

გადავიფურცლე წარსულად,
ზღაპრად სათქმელად... არადა,
ვერ გავუძელი ცხოვრების,
შემოჩეჩებულ არადანს.

მეზღაპრე რჩება სცენაზე,
არჩევანს გასდის თან ვადა,
ესეც წარსულის ხვედრია,
დრო გვიპასუხებს თავადა.

ბედმა ამ წუთისოფელში,
დამწერა ლამაზ არაკად,
დრომ შემიწირა და დავრჩი,
დროში შეწირულ ზვარაკად.

მე უფალთან

მამა, ძე და სული წმინდა,
მე უფალთან ყოფნა მინდა,
ლოცვის ძალა, წრფელი გული,
წყალობა და სიყვარული.
სათნოება და მშვიდობა,
სულმა ზეცა მოინდომა,
ამ ტაძარში, ამ მიწაზე,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე,
სიყვარულის გამარჯვება,
სიძულვილის დამარცხება,
სიკეთე და სიალალე,
ცაში სიტყვები გავლალე,
მე უფალთან ყოფნა მინდა...
მამა, ძე და სული წმინდა.

დუმილი

სიჩუმე დუმილით დარღვეული,
რჩება მოგებული ომში,
სიტყვა არტახებში გახვეული
გაიმარჯვებდა ორში.

ნაცადი ხერხით მორგებული,
ასჯერ გაზომილი გზები,
კაცი მაშინა ხარ მოგებული
როცა მოგონებად რჩები.

რადგან ამ დუმილით ეს სიჩუმე
ისევ უსასრულო გახდა
ჩემთვის როგორც უწინ კვლავ ვისურვე
ღმერთის სიყვარულის განცდა.

თენგო ავსაჯანიშვილს

სიკვდილო სად გაგექცევი,
ან და სად დაგემალები,
არც ისე უგუნური ვარ,
ცრემლმა დანამოს თვალები.
არ დავიტირებ სიცოცხლეს,
სამყაროს ათასფერებით,
მხოლოდ დამტანჯავს სატრფოზე,
ვერ მოფერების ფიქრები.
მაინც მადლობა რომ წუთი,
მაგემე ამა სოფლისა,
ღიმილით ვდგავარ, გავცქერი,
გზას, ჩემი მარად ყოფნისას.



მანანა ჩიტიშვილი – პოეტი

გაზაფხული ქართლში...

ეჩურჩულება ქარი ისლიანს,
მზე ნორჩ მურყანებს მოსავს ფერადით,
გაღმა სერებზე თეთრი ნისლია,
თუ ანგელოზებს დარჩათ პერანგი?!
აქ სულ სხვაგვარი შუქით ვინთები,
სხვა ძალით მხმობენ აქეთ მთები და
თბილად მიმზერენ ქართლის მინდვრები
ბალახის მწვანე წამწამებიდან.
ჩემი სიმდიდრე და საესავი
არც ის მთაა და არც ეს მურყანი, _
გზისპირს ქალი დგას ატმის ხესავით
და თბილ ხელებში ბავშვი უყვავის.

* * *

ქარი ეხლა საალერსოდ მიწვევს,
იამინდა, გადაიღო თოვამ...
ნეტავ, მე რომ არ ვიქნები იმ წელს
რანაირი გაზაფხული მოვა?

კვლავ ის ფერი თუ ექნება ნისლებს?
ამ ცის თაღებს, ცისფრად შემოგარსულთ?
ან ტყემალი ემსგავსება ისევ?
ქორწილიდან გამოპარულ ასულს?

მთებსა ვძრავდი სასურველის პოვნად,
ვგავდი ჟინით მყვირალობის ირემს.
ან იმ ქვეყნად მომდევს ვინმეს ხსოვნა,
ან ამ ქვეყნად ვეხსომები ვინმეს?!

ქარი ახლა სალერსოდ მიწვევს.
სულს მოსწყურდი... გადაიღო თოვამ,
ნეტავ, მე რომ არ ვიქნები, იმ წელს,
რანაირი გაზაფხული მოვა.

მაინც საქართველო ერქვა...

ვინ აცლიდა ლექსს და მღერას,
ზედ აკლავდნენ კავს და ერქვანს,
სისხლის ბევრი ნაკადული
ზღვამ და ხმელმა დაილექა.

ვეფხის წიგნით ანცვიფრებდა
თურმე მედინას და მექას,
ღმერთი მარჯვენს უკურთხებდა
მაღლით ბეშქენსა და ბექას.

ურიცხვ მტრისგან გათელილი,
როგორც ალვანური თექა, –
მაინც პირჯვარს ისახავდა,
მაინც საქართველო ერქვა.

* * *

ეგრე რად სტირი, გვირილავ,
ცრემლით რად ითხრი თვალებსა,
გითხარი, ნიავს უყვარხარ,
თავს იმად დაგტრიალებსა.

ხომ ნახე, ლურჯმა პეპელამ
რა ყოფით მოგიალერსა,
ცამ მარგალიტი გაპკურა
მზე გიკოცნიდა თვალებსა.

მე შენებრ მიჯნურს ვნატრულობ, –
ლაღსა, ფერმკრთომიარესა,
ამოვა ცისკრის ვარსკვლავი
ამოანათებს არესა.

ამოიყოლებს სურვილსა,
რიჟრაჟზე მოანკარესა,
საკინძის ღილებს შემიხსნის
მარცხენა ძუძუს მხარესა.

უცხოდამც ჩამეტოლება,
უცხო სურვილით ჩამლევსა,
ვერც გათენებას შევიტყობთ,
ვერც ვიგუმანებთ მთვარესა

ერთი სიკვდილი რას მომკლავს,
მის მკლავზე მწოლიარესა.

* * *

ღმერთო, განა რას გთხოვ ამდენს,
ვიდრე კარს შემიღებ სულეთს,
ცივი ზამთრის დადგომამდე
ერთხელ გამომიზაფხულე.

არც სტავრა და ოქსინონი,
ბროლის კოშკი, ვერცხლის ღობე –
არ მსურს,ოღონდ იადონი
გულში ამომიგალობე.

როცა ოქროს წვიმა ცრიდა,
გამახსენე იგი ხანი,
ქნარის ჟღერა მეცხრე ციდან
თუ კვლავ ჩემად შევიცანი.

თუ რომ დარდი გაიეფდა,
რაც ამ წლებმა მომითვალეს, –
გულხელს თვითონ დავიკრეფ და
თვითონ დავიხუჭავ თვალებს.

* * *

არც ავთანდილი, არც ბადრი არ ხარ
და მაინც გეტყვი, რაც გულში ვთალე, –
შორიდან უფრო ლამაზი ჩანხარ,
შორიდან უფრო მიყენებ თვალებს.

ნუ მეტყვი, ოღონდ, ყვავილებს ამოს
ვის უკრეფ, ანდა ვის ბაღს უგალობ,
ამ მშვენიერი წუთების გამო
სამარადისოდ გმადლობ, უფალო!

თუმც სახეს მიწვავს ცრემლების თქორი,
გულს მაინც უჯობს, ასე ახსოვდე –

შენ უნდა დარჩე მარადჟამს შორი
და ვერასოდეს მოგიახლოვდე.

იქნებ სჯობს, ფრთები დავკეცო მოშლით,
ნუ მკითხავ ოღონდ – როდის ან როგორ,
გამოგამწყვდიო ლექსების კოშკში
და სტრიქონ-სტრიქონ გამოგიზოგო.

ვინ მომცა ბედი, ეს ფიქრი ახდეს,
ცის კიდეს თვითონ დაგიდგი ტახტი...
შენზე ტირილით რას უნდა გავხდე,
თუ სიყვარულით ვერაფერს გავხდი.

არც ავთანდილი, არც ბადრი არ ხარ,
და მაინც გეტყვი, რაც გულში ვთალე, –
შორიდან უფრო ლამაზი ჩანხარ,
შორიდან უფრო მიყენებ თვალებს.

ქართლი

როცა ქართლში გაზაფხული
აამწვანებს სერს და ყანობს,
ცხელი სისხლი ჩაუდგება
სამაჩაბლოს, სამუხრანოს.
დაშვენდება საულვაშე
დოლის პურს და ქერის თავთავს,
ქსანზე ნისლად აცურდება
წმიდა სული ერისთავთა.
მუხრანს ზემოთ ერთი შინდი
რომ ყვავილობს გამთენია,
ქეთევანის სულის საოხ
ანთებული სანთელია.
მიწას, ასჯერ გადაბუგულს,
თავზე ადგას სვეტი ნათლის,
პირჯვრის წერით სათქმელია:
ზემო,
ქვემო,
შუა ქართლი.
ქართლო, საქართველოს ძირო,
ქართლო, საქართველოს ფარო,
არც არავინ გაგიტოლო,
ვერც ვერავინ შეგედაროს.
გადავძახი ოთხივ მხარეს,
სადაც მზერა გადამიტანს:
,,საქართველო ქართლით არი!"
ზეცა ამბობს:
,,ჭეშმარიტად!"
, მეფედ საქართველოისა
არ ითქმოდა არვის ნებით,
თუ სკიპტრას და ოქროს გვირგვინს
მცხეთას შენ არ უკურთხებდი.
უწინ ბევრჯერ ნაწამები,
მაინც მუდამ მთქმელი მართლის,
ერის მჩენი, გადამრჩენი –
ქართლი,
მშვენიერი ქართლი!
მცხეთას ლოცვად დაგიდგები,
ვიმარტვილებ, ვიმარხულებ,
თუ ათას წლებს შენ ასეთი
ეშხით გამოიზაფხულებ.
დღეისდღესაც ღვაწლი შენი,
მადლი შენი უდევს დვრიტად,
,,საქართველო ქართლით არი!"
ცა მიმოწმებს:
,,ჭეშმარიტად! "
მე ვით გეტყვი, ანდა ქვეყნად
ღვაწლი შენი ვინ თქვას დათვლით...
დედა საქართველოისა,
გული საქართველოისა –
ქართლი,
საოცარი ქართლი!

მზია ხეთაგური – პოეტი

"საზღვარი" - ჩემი პანთეონი

(ანდერძი)

ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო ჩემო ცხინვალო!
ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ, _ მტერი ზეიმობს სახემცინარი!
თამარს მისტირის თამარაშენი, მავთულხლართებში ტყვეობს ცხინვალი!
დამასაფლავეთ ზედ იმ `საზღვარზე", ამ სიყვარულის უსაზღვროებით!
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე აქ _ ქართველების, იქით _ ოსების!
დამასაფლავეთ ფარდაახდილი, ზურგში მახვილით, ცით გაფრენილით!
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი, როგორც მანდილი _ ძირს დაფენილი!
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის, ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი, თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!
დამასაფლავეთ როგორც სინდისი, _ სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,
დამასაფლავეთ როგორც `სიმდი" და, როგორც `ჩაკრულო", ან `ვარაიდა!"
უსამართლობით გულშემზარავი _ დაასაფლავეთ თავად საზღვარი _
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი, სისხლით და ცრემლით გაუმაძღარი!
გულში დაჭრილი, ჩექმით მღაფავი, ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც და, ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!

მიპატიებია!

მიპატიებია, თქვენთვის, ყველაფერი,
ყველასთვის ყველაფერი მიპატიებია,
ისიც კი, ლოყების ბუშტებად დაბერვით,
მასხარა ჩემზე რომ გაგიცინებიათ!
მიპატიებია უსაგნო საგანიც,
უპატიებელიც მიპატიებია,
მისთვის, ვინც დამიწვა ბავშვობის აკვანი,
თან ქვების სროლით რომ გამომკიდებია!
მიპატიებია მზაკვრული ჯადო და
ამ სულში ფათურიც მიპატიებია,
მისთვისაც, ვინც გულში ჩემ სიკვდილს
ნატრობდა
ჩემი მზის ჩასვლა რომ მზით დასიზმრებია!
მიპატიებია ის, რომ მატირებდით,
(რა გამაცინებდა სიმართლით მტრებიანს!)
მაგრამ საკუთარ თავს ვერ ვაპატიებდი
ვერაფერს, რაც თქვენთვის მიპატიებია!

ამოძახილი

სიმართლის თქმისთვის რამდენჯერ უნდა
დავკარგო ლუკმა?
სიბრძნე, სიბრიყვით,
რამდენჯერ უნდა გამიქიაქონ?
რამდენჯერ უნდა მივიწროვონ სამყაროს რუკა,
მტკივანი სული რამდენჯერ უნდა გავითრიაქო!
რამდენჯერ უნდა ჩამისაფრდნენ ფხიან ანკესით,
მერე ვით ტბაში, აკვარიუმშიც ლამის ჩამძირონ!
რამდენჯერ უნდა ჩამახედონ მტვრიან სარკეში,
რამდენჯერ უნდა გამძარცვონ და გამიმანძილონ?
რამდენჯერ უნდა გამაოცონ ჩვეულ ხრიკებით
ვეგებებოდი თვით მოშურნეს
ხელში თასით რომ...
რამდენჯერ უნდა გადამიწვან თვალწინ ხიდები,
წმინდა კუნძული რამდენჯერ უნდა
გამითახსირონ!
რამდენჯერ უნდა თავს ვიცავდე მეხამრიდებით,
რამდენჯერ უნდა ამცდეს ზურგში ნასროლი
ტყვია!
რამდენჯერ უნდა დავიტირო, უხმოდ, ჩიტები
იქ, სადაც ფრთები დღესაც
გამხმარ ფოთლებად ყრია!

ჩამკვდარ სულს ჩემსას დარჩენია...
თვალები... ღია...

ჩიტის საკენკი

თქვენ ყურს იყრუებთ,
ვითომ არ ისმის
გრიალი თეფშზე – ცაში მფრინავზე!...
იქნებ არა ვარ სიცოცხლის ღირსი,
მაშინ, სიკვდილი დამიფინანსეთ!
გორის ციხიდან მტკიცე ურდულით,
იხსნება ყველა კუთხის სინაზე...
დამიფინანსეთ ტკბილი "ურმული",
ურემზე ძღვენს ნუ დამიფინანსებთ!
არ მსურს სადავო წლების გაყოფა,
არც "უბინაოს", ნატვრა, ბინაზე...
დამიფინანსეთ ძაღლური ყოფა,
მასზე უფლება დამიფინანსეთ!
არც ზაფხულს ვჩივი და
აღარც ზამთარს,
არც სეტყვის კაკუნს ფანჯრის მინაზე...
მარტის ქარებსაც გავუძლებ, მაგრამ
ჩიტის საკენკი დამიფინანსეთ!
მედროვე ვითომ ეტრფის მთა-გორებს,
მისგან შორს დგომით თავი ვიფასე!...
თქვენ სიკეთე თქვით,
ღირსებაც, თორემ
ხსოვნას, მე თავად
დაგიფინანსებთ!

საუკუნეობრივი უვიცობა

ვერა, ვერ ჩავჯექი ვერც ერთ განრიგში,
ჩარჩო ვერ მოვირგე, ვერც ვერა ნიღაბი...
ვერც ჩემმა თითქმის სიკვდილმა დაამწუხრა ვინმე,
ვერც თითქმის სიცოცხლემ...
ვერც სიბრძნემ მიშველა, ვერცა სიბრიყვემ...
არასდროს ვყოფილვარ საჭირო დროს საჭირო ადგილზე,
არასოდეს ემთხვეოდა ჩემი ნიჭი მათ უნიჭობას,
ჩემი უნიჭობა _ მათ ნიჭიერებას!
ვერა, ვერ მოვირგე ვერც ერთი საუკუნე!
სამაგიეროდ, ძურწა ბალახივით მეტმასნება საუკუნეობრივი უვიცობა!

სიმართლისმთქმელის სიკვდილი

მე რომ მოვკვდები, ნუ შეიცხადებთ,
ზეიმზე დარჩით გულდამშვიდებით! _
სამძიმარს ვის, ან როდის ვუცხადებთ,
როცა კვდებიან ცაში ჩიტები?
მე რომ მოვკვდები, კარს ნუ ეცემით,
არ მიატოვოთ სითბო სახლების! _
ნეტავ, ვის სცვივა ცხარე ცრემლები,
როცა კვდებიან ქუჩის ძაღლები?
მე რომ მოვკვდები, რა დაშავდება,
თუნდაც რომ გავქრე უცხო ველებით! _
ვის ახსოვს, ანდა ვის ედარდება,
სულს რომ ღაფავენ ტყის ცხოველები?
მე რომ მოვკვდები, გახსენით მადა
და გაიხარეთ მორთმეულ ძღვენით! _
ვინ წაიტირებს, პატრონის გარდა,
როდესაც კვდება დაღლილი ცხენი?
მე რომ მოვკვდები, იქ დამხვდებიან,
მაგრამ შეაკრთობთ ჩემი დანახვა! _
წასულთა გარდა, ვინ დასწრებია
მკვდარი ოცნების სულში დამარხვას?
მე რომ მოვკვდები, არ გინდათ ტაში,
რომ არ დააფრთხოთ გულწრფელი
ცრემლიც...
ჰოდა, ზეიმით იგლოვეთ მაშინ,
როცა მოკვდება სიმართლისმთქმელი!

სჯობს...

სჯობს დასაკლავი მამალივით სულმა გიყივლოს,
სჯობს საკუთარ თავს ამჯობინო დარდი სულ სხვისი,
სჯობს ღირსეული იყო, მაგრამ სულ მიგივიწყონ,
ვიდრე ახსოვდე ყველას, როგორც კაცი უღირსი!

***

პარადოქსია, ყრუს რომ არ ესმის,
მაგრამ მის ყურს რომ მაინც სწვდება
ბამბის ჩხრიალი!

მე ახლა მკვდარი უნდა ვიყო
და თუ ვლაპარაკობ, _ არ დაიჯერო _
მე ახლა ტახტზე უნდა ვესვენო
მინდვრის ყვავილებში ჩაფლული...
თუ ვიცინი, _ არ დაიჯერო _
მე ახლა პანაშვიდი უნდა მქონოდა.
თუ ვტირი, _ არ დაიჯერო _
მკვდარს ცრემლები აღარა სცვივა...
თუ ავცახცახდი, არ დაიჯერო _
მკვდარს აღარ სცივა...
მე ახლა ხელში უნდა ვყავდე აყვანილი
ოთხ ერთგულ ადამიანს
და სახლიდან გატანილს
ეზოში უნდა მასვენებდნენ...
სად არის მერე, ოთხი ერთგული ადამიანი!
ჩემს გამო ახლა რექვიემს უნდა უკრავდნენ
ხალხი კი თავაზიანი ოხვრით
გარს მივლიდეს...
მე ახლა უნდა მომდევდეს პროცესია _
სეირის მაყურებელთა გუნდი,
რათა კარგად დაინახონ
უსიცოცხლო ხელები და გაყინული თმა,
რომელსაც ნაზად მიწეწავდნენ
შეყვარებული თითები...
მე ახლა გაჭრილ ორმოში
თოკებით უნდა მიშვებდნენ და
პეშვით მიწას მაყრიდნენ,
დატანჯული დედაჩემი კი
გამოგონილი სიცოცხლის ფილტვებით
სუნთქავდეს,
ხოლო ჩემს დას გული მისდიოდეს და
ვერ აბრუნებდნენ...
მე უნდა მკვდარი ვიყო ახლა
და ახლობლები ჭიქას სწევდნენ
მწარე დუმილით...
მე უნდა მკვდარი ვიყო ახლა...
ვარ კიდეც, ოღონდ ეს ამბავი
არავინ იცის.

თოკი

შენი პერანგი ქარში ფრიალებს,
თოკზე თავდაღმა ჰკიდია, შრება...
მკლავებგაშლილი კვლავ სატრფიალოდ
ქართან შეხებით დაეძებს შვებას!
ხან ჩემკენ იწევს, ხან ჯამბაზივით
უცხო ილეთით მიიწევს გან-გან...
მალე შენს პერანგს წვიმის ემბაზი,
ვით ცოცხალ სხეულს, სათუთად განბანს.
ჩემგან მოვლილი და ნაფერები,
სხვა აივნისკენ დაბმული გარბის...
იქვე, კუთხეში, ტოკავს ფერები
მისთვის ოდესღაც ძვირფასი კაბის.
ღამდება...ცრემლებს თოკივით ვაბამ,
ნედლი ეჭვებით ფილტვებს ვიხრჩოლებ...
შენი პერანგი და ჩემი კაბა
საცაა, თავებს ჩამოიხრჩობენ!

მაგან რა იცის!

მაგან რა იცის, ვინც დღეს შეგხარის,
რომ ხელთ უპყრიხარ ჩემივ სურვილით,
ბედმა კი არა, გვალვამ შეგყარათ
და არ დაცხრება შენი წყურვილი!
მაგან რა იცის, თუ რა უძილო,
უმთვარო ღამეს ავიგეთ ქოხი,
როგორ გვებრძოდნენ, რა სიძულვილით
გვემუქრებოდნენ გაუთლელ ჯოხით!
მაგან რა იცის მარტის ქარების
გულამოსკვნილი მოთქმა-გოდება,
ქოხი უფანჯრო და უკარებო,
რომ ქვეყნად არსად განმეორდება...
რომ ძველ სითბოს და ყელმოღერებას
დღესაც დავეძებთ ხელისცეცებით,
ადრე თუ გვიან _ სიკვდილის მერე
ხეზე ერთ ტოტად აღმოვცენდებით!
პეპელას შვენის უხმო ფარფატი,
იქვე ბზუილით თავს იკლავს ბუზი...
მაგან რა იცის, რომ ამ ღალატის
და ერთგულების ნასუფრალს უზის!
მაგან რა იცის! _ წლები გადროვე,
ვერ გაგიფანტე დარდის ღრუბლები,
რომ შენ კი არა, მე მიგატოვე
და მხოლოდ მკვდარი დაგიბრუნდები!

ისე, როგორც მინდოდა...

ირინე გოჩაშვილს – ჩემს შვილს

აღმართებით დავეძებდი მეციხოვნეს,
დაღმართები ცრემლად ჩამომიგორდა...
მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც ხომ ვიცხოვრე,
ხომ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა!
სულ არაფრის, სულ არაფრის, თურმე, მცოდნე,
ბედს მივდევდი, ის კი სხვაგან მირბოდა...
მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც ხომ ვიცხოვრე,
ხომ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა!
ზღაპრულ დევებს, გველეშაპებს შევებრძოლე,
ქარებს ვდიე ფაფარაყრილ მინდორთან...
ახლა ვფიქრობ, ნეტავ მართლა თუ ვიცხოვრე,
თუ ვიცხოვრე ისე, როგორც მინდოდა?
რა ვიცოდი თუ სამყარო ასე ყრუა,
თუ დრო ასე დაუნდობლად მიჰქროდა...
მე ვინ მომცა ან ის ბედი, ან ის ჭკუა,
რომ მეცხოვრა ისე, როგორც მინდოდა!

ელზა პირველს!

ელზა მარტიაშვილს

პირველი ვიყავ... მე ვგულისხმობ
პირველი ქმრის პირველ ცოლობას,
შენ კი, ჩემს მერე გახდი ცოლი, ანუ მეორე...
მე შენს შვილებში ჩემს შვილსაც ვხედავ...
მე და შენ მივხვდით,
რომ არაფერი გვაქვს გასაყოფი
წარსულის გარდა,
მაგრამ ასე არ დავწვრილმანდით!
მე შენ გენდობი, რადგან ვიცი,
რომ არ პირველობ
და არც პირფერობ!
მე შენ გენდობი, რადგან ჩემ შვილს და-ძმა
აჩუქე!
მე შენ გენდობი, რადგან ვიცი,
მძიმე წლებში რამდენს გაუძელ!
ჩვენ დავმეგობრდით,
დავმეგობრდით იმაზე მეტად,
ვიდრე ასეთ დროს მეგობრდებიან,
ხოლმე, ქალები...
შენ ჩემთვის ისეთი ძვირფასი ხარ,
ვით მეგობრები, ვინც ძლიერ მიყვარს
ოღონდ არ ვიცი რას იზამდნენ ჩვენს
შემთხვევაში...
მეორე ცოლი... – უთქვამთ შენზე,
მაგრამ ჩემთვის, შენ ხარ პირველი!

ეთერ ჭელიძე – პოეტი, ფინანსისტ-ეკონომისტი;
ამჟამად მუშაობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში;
დაბადების ადგილი – მესტიის რაიონი, სოფელი უშგული.

ზოგი რამ...

მიუვალია გზა ვიწრო, გზა გასავლელი ეკლისა,
კვალწაუშლელი დღეების მოგონებები მეწვია...
არ გაუკენწლავს წარსული, არც სავალ დაუდენთია,
მტვერაკრულ ნაბიჯს ბავშვობის ფიქრები მოუმწყემსია...
ყოველი დღენი გონებას წიგნივით გადუფურცლია...
ხან თავიდან გსურს წამოდგე, ხან ამოხეულ ფურცლიდან...
ხან გეტკინება...გატკინეს...რაც ისევ გასავლელია...
და ვერა ხვდები, ფანქარი, რითაც წერ, გასათლელია.
ხან გეურჩება გონება, მეტწილად მოუდრეკელი,
ხან გულისთქმასაც გაურბი, უმთვაროდ ღამისმთეველი...
ხან ღიმილდავიწყებული ისევ ღიმილობ აკვნიდან,
ხან მზეზე შეყვარებული, ხან ესეც დიდი ნაკლია...
ხან მზის ბაქანზე მარტოსულ, მწვანე მოლს მიფიცხებული,
ხან უფალთან ხარ სულ ახლოს, ხან მისგან მივიწყებული...
ხან სამყაროა ვარცლი და შენ ერთი უტყვი ბალადა,
ხან ჭიქა ღვინოს მათხოვრობ, ხარ დიდი სუფრის თამადა...
ხან გზა სავალი იწყება და ისე მალე მთავრდება,
რომ ყველა შტრიხი ცხოვრების წიგნის თაროზე ლაგდება...
ხან არც კი იცი, ვინა ხარ, რად მოგავლინა განგებამ,
რად ფასობს ძვირად სიცოცხლე, თუკი, ცისკრამდე ღამდება?
თუკი ჭადრაკის დაფაზე ქვები უშენოდ ლაგდება,
თუ სვლებში ისევ სუსტი ხარ, ყველა სვლა მარცხით მთავრდება,
თუ ირგვლივ ჰყვავის აპრილი, კვირტები გასაშლელია...
დარჩეს ზოგი რამ უცვლელი... ზოგი რამ წასაშლელია?!...

თუ შენში სიყვარულია...

ვერ დაძებნი, ვერ იპოვნი,
ვერ იყიდი ვერსად
დაბადებით თუკი შენში,
იყო, არის დღესაც...
ის არასდროს, არსად წავა,
არსად წავა შენგან,
რადგან სისხლში,
გონში, გულში,
იყო, არის შენთან...
დაგიშენენ, მოგიქსევენ
ოდეს, თუნდაც, დღესაც...
შეგამჩნევენ...შეგჩვენენ,
გიგინებენ ღმერთსაც
მაგრამ ვერას დაგაკლებენ
ბრბო, უგნურნი ერთხანს
რადგან შენში რწმენა ღვთისა,
იყო, არის, დღესაც...
აგირევენ ხვალეს სავალს,
ბილიკს სდევენ შენსას,
თუკი წუთით შეანელებ
შენი მიზნის ზესვლას...
შეგამჩნევენ, შეგაჩვენენ...
თუკი მაღლა დგახარ...
თვალს არ დაახამხამებენ
მოგიშვერენ ლახვარს.
მაგრამ შენში სიკეთის მზე
იყო, არის, როცა
დედღვთისა თავის კალთას
შემოგახვევს ლოცვად.

ვერ გავიგე...

ხელმოცარულ დროს კიარა,
წამ-წუთს გამოვერიდე.
მთას მზისწვერი სანამ ჩავა,
თუ მოვასწარ ჯერ კიდევ...
შუბის წვერით ნისლის კალთას
გავუკემსავ იარას
და ქარაფებს იის ბაფთას
შემოუწნავ მთლიანად.
დავივიწყებ ყველა წუხილს,
გველის ნაკბენ ჭრილობას
და სიკეთეს ვაცლი დუღილს,
სანამ გავტეხ პირობას!
დავიჯერებ, რომ მზის წყარო
ისევ მოედინება,
მადლიც რადგან მისგან ხარობს,
ვინც არაფერს გპირდება!
დრო გადის და შენც ეჩვევი
ტყუილ-მართლის საგზურებს,
ხან ვერაფერს ვერ ერკვევი...
ხან--სამყაროს აბრუნებ...
ხან, ენდობი სიტყვის ხარისხს,
გგონია, რომ მყარია...
ვერ შეიცნობ ვინ ვინ არის,
რა სწყინთ, რა უხარიათ...
მაგრამ როცა რეალობა
არყევს სულის ჯებირებს,
იმედის მზე გეთალხება
,,იმედის მზე“,- ჯერ კიდევ...
მერე, სადღაც, ჩამოტეხილ
კბოდეს ირჩევ მეგზურად
და დროებას, გულგატეხილს
გვირგვინს ადგამ ,,მეფურად“!..

დაკარგული ნდობა...

მშრალია შეხვედრა, მზერაც და ამბორიც,
იმად რომ, ერთმანეთს ძალიან დავშორდით,
გულიც ცივდება, სულიც და გონებაც,
ერთურთის სათქმელიც, ერთმანეთს შორდება...
და მერე ვკითხულობთ, ,,თბილად" და ირიბად,
–როგორ ხარ, რას შვები? სიტყვები მწირია...
ხაფანგში გაბმული კითხვების ჯერია,
დახრილი თვალები პასუხებს ელიან...
–პასუხი არა მაქვს, პასუხი მშრალია
და თავის მართლებაც სიცრუის ბრალია,
მთავარი? დავეძებთ მოგონილ სიახლეს,
სიახლეს რომელიც ვერ მოკლავს სიმართლეს,
მშრალია შეხვედრა, სიტყვაც და ამბორიც
და გულთა კავშირსაც ამიტომ დავშორდით?!

ქართული ბურთი ...

გამარჯვების მოლოდინში!
ერთი მოგიზგიზე კოცონი,
გული დანთებული ცეცხლად,
ახლა სიყვარულის ვულკანი
თვით დედამიწას ხეთქავს.
წლები გაქცევია მოლოდინს,
ქართველს რომ უნდა ეთქვა,
ბიჭებო, დასცხეთ ბოლომდი
გამარჯვებისთვის ერთხმად!
ფეხზე წამომდგარა საერო,
საიბერიოც ერთად...
მხოლოდ გამარჯვება საჩვენო,
ქართველს რაც უნდა ეთქვა!
რომ ,,არ გავახაროთ მტერიო"––
უნდა შემოვძახოთ ერთხმად.
ჰერიო, საქართველო, ჰერიო,
მხოლოდ გამარჯვების გეთქვას!

არ გაბედო!

არ გაბედო, არ გაბედო
შეყვარება ჩემი,
თორემ დაგწვავს ნაპერწკალი,
გრძნობა ცეცხლისფერი.
არ გაბედო...სუსხი მთების,
შხარას ვარცხნის ფაფარს,
მწვერვალების მეფესაც კი,
არ პატიობს ღალატს.
არ გაბედო ყალბი სიტყვით
შეაბრუნო კეხი,
კალმახების სამოსახლოს
თუ დაგიცდა ფეხი...
არ გაბედო მოგენატრო,
მზეს ადინო წვეთი,
უთქმელობის თეთრი კალო
გამილეწო ცრემლით....
არ გაბედო, არ გიყვარდე,
ან გიყვარდე თუნდაც,
რადგან ტალღა ცის ცარგვალზე
ვულკანივით ბრუნავს...
დათუ მართლა გაბედე და
შემოგიწყრა ღმერთი,
ცაში ვარსკვლავს ამიცეკვებ
და მე ერთადერთი,
ის ვიქნები, ზაფხულსაც რომ
დაიზამთრებ ჩემთვის
და შეუვალ კლდე–პიტალოს
ამაყსა და შეშლილს,
გულს ჩაიკრავ, მერე მოხვალ
და ისევე მეტყვი,
რომ ენგურის რძისფერ ჩანჩქერს
გადალახავ ჩემთვის...
მეც გავალღობ მყინვარების
მზედაკარგულ შქერებს
და სიყვარულს ,,მდუმარების"
ლექსად აგიმღერებ!

რადგან, ყოველთვის...

დილის სუსხიც კი გარინდულიყო...
თვლემდა ცა, თითქოს მეჩვენებოდა
რომ საქართველო ჩამომჯდარიყო,
სევდაშეყრილი მეფერებოდა...
ქვის ლოდზე იდგა დედა, რომელიც
დარდმოძალებულს არა სტოვებდა,
მოჰყავდა ხელით, სვენებ- სვენებით...
ფერებ-ფერებით სადიდგორელად...
მზე ჭიატობდა, ფერდობს კრწანისის,
სისხლის რუები ატირებულა,
ყაყაჩოებად აშლილი ველი
გმირთა სავანედ გათენებულა...
გაასმაგებულ ძალთა შეპარვით
მტერი ტაშისკარს ღრუბელს კვესავდა
როს სააკაძის ხმალი, ფოლადის
ურდოს, ვით ბალახს ისე ჩეხავდა...
და სულ სისხლისფრად ნაწერ გმირობას,
სდევდა შინა და გარე ღალატი,
და თავდადებულ ბრძოლით, დიდებას,
ალაქავებდა შუღლის ,,ლაყაფი''!
დილის სუსხიც კი გარინდულიყო...
თვლემდა ცა, თითქოს მეჩვენებოდა
რომ საქართველო ჩამომჯდარიყო
და ერთობის ხმას ელოდებოდა!!!

რჩევები...

სიხარულმა რომ აგამზიანოს,
სიკეთე უნდა გააზიარო.
ქვას შემოაცვი შენი ქათიბი,
შენც დაგითბება სული ნატიფი.
ლუკმა, რომელიც ერთია, მხოლოდ
მას გაუყავი, ვინც შეგხვდა ბოლოს
და არასოდეს არ შეახსენო
მოგაკლდა ანდა, რაიმე გევნო...
გაცემულს რადგან ღმერთი არ ითვლის,
არ ჩაიწერო სიკეთის ციფრი.
მდაბიოს მუდამ პატივი ეცი,
სიკეთის მარცვალს იპოვნი მხეცშიც.
ძაღლი ის არის შენი ერთგული,
სახლში უშენოდ შენად გეგულვის...
არასოდეს თქვა იმაზე მეტი,
რაც შენ გუშინდელს ხვალეზე ეთქმის...
არ შეაფასო თვალების ფერით
თუ, მის მზერში ვერაფერს ხვდები.

ქალი?!

ქალი აწყვეტილი ქარია
არ იცი ეხეთქება საით,
ქარიც აწყვეტილი ქალია,
გაურკვევლობის მგზავრი.
ქალი, სათნოების კვარია
მეომრის ფარი და ხმალი,
ქალი, სიწმინდის თვალია,
სამყაროს ზღუდე, რვალი...
ქალი კამკამა წყალია,
მოწყურებულის ჯვარი,
ქალი სიცოცხლის მგზავრია
კაცის გული და მხარი!
ქალს დედოფლობა უხდება
ბედნიერება სწადის...
მზე არასოდეს ხუნდება
ფერი არ გასდის მანდილს!
ქალს გვირილობის თოვას და
ია ზამბახებს ვადრი,
ქალი წვიმის ქარს მოვა და
დარდს, წვიმასავით გაცრის!
ქალი სიცოცხლის შარბათს
სავსე ფიალას გიწვდის
და სიყვარულის ტრამალს
დაუფერფლებად იწვის...
ქალი შეიცნო უნდა
ვით განთიადის ნამი,
მარტის მზე არის მწველი,
ძუ ლომი არის ზღაპრის...
მოგწყურდება და დალევ
ბედნიერების წამით,
ვინც ადედოფლებს მისთვის
შხამის ფიალას დაცლის!!

***

ზეცა ფანტელს ნაპასებად მაყრის
მიწა ბოლთავს დარდის სანაპიროს,
ვეფიცხები სიყვარულის აპრილს
შენც თბილ უბეს მიგაფიცხო, ვფიქრობ...
დღეს სხვაგვარად ო, სხვაგვარად ბარდნის,
ფიფქთა თოვაც მოგონებებს იწვევს,
მიწაც ირგებს თეთრი ზღაპრის ქათიბს
და ბილიკებს აკვანივით მირწევს!

გახსოვდეს...

აწონე ყოველი წუთი და,
ყოველი სიტყვა შენი.
საქმენი შენგან ხელთქმნილი
შენი ფერის და ქცევის...
გახსოვდეს, წარმავალია
სიცოცხლე, ოდეს ჩვენი
მაგრამ სანამ ხარ ვალი გაქვს
ვალი გაქვს შენი ქვეყნის...
ვალი გაქვს წარმომავლობის,
შენი ფესვის და გენის,
იმ ყლორტის შთამამავლობის,
შენგან პასუხს რომ ელის...
ვალი გაქვს მამაპაპათა
საძირკველს ჩაღვრილ სისხლის,
ვერდაცლილ გმირთა სავანის
ჯვართან აღქმული ფიცის...
ჯერ ჩაუმქრალი დიდების,
საკუთარ მიწის დაცვის...
რამდენჯერ დედაღვთისმშობელს
სიმწრით აეწვა ღაწვი,
მაინც იბრძოდა ქართველი
ღვთის სიყვარულით... მრწამსით...
შენც მისი სისხლის წვეთი ხარ
და მის სისხლის ნამწვი...
აწონე წუთი ყოველი,
სიტყვა ქართულის მშვენი,
პინზე შემდგარი მოველი
დღეს, ქვეყნის გადარჩენის...
გახსოვდეს შენი მზის წყარო,
წინაპარია შენი!

შენ, ქართველო!..

დედამიწა მოჰგავს დარდის ნასუფრალს,
ყოფა თითქოს მოქცეულა მუჭში.
დავიჯერო? მზეც კი ისე გახუნდა
ქართულ ცაზე დამკვიდრება უჭირს...
მაშ, ვინ მზაობს, მაშინაც და ამჯერად
ვინ გაუძლოს ამდენ წყლულს და წუხილს,
მიერთგულებს ნეტავ ვინმე? არ მჯერა
ვინ მომიკლავს გადარჩენის წყურვილს?
ვინ დაიდგამს ქართველობის გვირგვინს,
ან ვინ შეჰკრებს საქართველოს სპას.
შეაჩერებს ჩემს მიწა-წყალს შესეულ
მატლს, რომელიც დაუნდობლად მხრავს.
ვინ გაბედავს ერს მოუხსნას ბორკილი,
მოშუღლენი მოიყვანოს გონს,
შეეჭიდოს საზღაურად სიცოცხლის,
ფერდობიდან დაქანებულ ლოდს?
ვინ? ვინ შეძლებს, თუნდაც იყოს შემდეგი
დაწყლულებულს უმკურნალოს ერს,
ბოხჩა-ბოხჩა გაყიდული მიწები
ჩააბაროს, მხოლოდ ერთგულ მწყემსს.
ვინ, ვინ შეძლებს გახლეჩილი სათემო
შეარიგოს მომდურებულ ძმას,
მწუხრის ხნულში მუხლმოყრილმა საერომ
მოუსმინოს გადრჩენის ხმას.
შენ, ქართველო! შენ ატარებ ბოლომდი
ქართველობის გაუსაძლის ჯვარს.
შენ გარგუნეს მზე, ბაჯაღლოს ბეჭედი
და, შენშია საქართველოს ხსნა...

***

არ დამკარგვიხარ, და მაინც
ვერა გპოულობ რა ვქნა,
კვალზე რომ იდგა კვამლი
ლოცვად მოვფინე გზაგზა..
შემომებინდა, თითქოს
მნათი ვეძებე, არ ჩანს,
შემომეფლითა ხსოვნა
ნაფლეთიც აღარ დარჩა...

სულ ცოტა რამ...

სულ ცოტა რამ გულის ტკენას,
სულ ცოტა რამ ჰყოფნის...
შეცდომასაც გააჩნია
უნებლიედ მოგდის?
ძალისხმევა არ სჭირდება
სულ ერთ სიტყვას; ,,ბოდიშ-ს“,
თუკი იცი, თუკი ხვდები
სად ,როგორ და როდის...
უნდა შესძელო პატიება,
წამს ნუ უთმობ ლოდინს...
სულს გაგითბობს თუ მოუსმენ...
გულით ნათქვამ ბოდიშს?!

გაუღე კარი...

გაუღე ღატაკს კარი,
მშიერს და მწყურვალს ენდე!
დუმს დედამიწა მწყრალი
და ვერ აქარწყლებს ეჭვებს...
გაუღე მშიერს კარი,
არ დაგენანოს ლუკმა,
შენი კეთილი საქმით
შენ, ღმერთი გიდგას უკან!
გული გაუღე დაღლილს,
სული გაუთბე მცივანს,
არ შეჩვეული ნადიმს,
კაცი, უფრო მეტს ზიდავს...
ნუ დაინანებ ღიმილს,
ნუ დაიშურებ სიტყვას,
მხარი უქციოს ტკივილს...
შეახსენე რომ გიყვარს!
გაუღე კარი მშიერს,
არ დაგენანოს ლუკმა,
შენი კეთილი საქმით
შენ, ღმერთი გიდგას უკან!

შემოდგომის დილა...

ბარდნიდა თუთა იმგვარად
ბროწეული და ბალი,
ქუჩებზე მიმოეყარა
ლალის და ქარვის თვალი...
გზად ცეცხლის რვალი კვესავდა
ღიმმოთენთილი ქალის
იმედის მნათობს ეძახდა
ხმელ ფოთლებივით ჩავლილს...
არ ჩაუქრია ნამზევსაც
ერთი ციმციმა თვალი,
ხეებს ნიავი არხევდა
ნიავს მისდევდა ქალი!

ჩიტების ქორწილი

სტრიქონებად მოგიქარგავ ფიქრებს.
კლავიშებზე ვათამაშებ ანბანს.
ისეთს ვეძებ, მაპოვნინო იქნებ,
რომ არავის, რომ არავის არ ჰგავს!
ბორგავს წუთი უდარდელა, ვითომ,
ბეღურების ქარავანი უსტვენს,
თუთებს მარშით მოსდგომია ხვითო
ძილბურანის მელოდიას ვუსმენ...
წამოფერთხავს სიმფონია ქარის,
თავს წამომდგარ თმებგაწეწილ ღრუბლებს,
ჩიტუნები წამოსულან მაყრით
ჩემი ეზოს დაუპყრიათ სივრცე.
გაშლილია ჭრელყვითელა მდელო,
ო, ათასგვარ ცეკვას დგამენ ცაში,
ვეცელქები, მაინც ჩემსას ვჩემობ
და მაყარში მოვითხოვე საშვი.
ინავარდეს, ფრთებს მოჰქონდა სიო,
გადაფანტეს დედამიწას დარდი.
ჩემ თუთებმა საქორწილოდ გვიხმო
მე მიწაზე, ისინი კი ცაში!
მომიქარგეს სიყვარულით მუზა...
დაევანა ჩვენ გულებში ლხენას,
ქარს წაეღო ნაღველი და ურვა,
მეც ჩიტებთან ერთად შევძელ ფრენა!



თინათინ მღვდლიაშვილი – პოეტი, მხატვარი, მასობრივ ღონისძიებათა რეჟისორი.
დაბადების ადგილი – ქ. ქუთაისი

საქართველოში სჯიან ავაზებს!..

საქართველოში სჯიან ავაზებს,
საქართველოში ასე იციან!..
ვინ გაპატიებს ან სილამაზეს,
ან სიმამაცეს, ჩემო ტიციან?!.
და, მეც, ვით ვინმე ცისფერყანწელი,
წუთისოფელში ასგზის მატირეს...
არც ალესილი ხმლის სიალმასე,
არც ერთგულება არ მაპატიეს.
ვარ ამღვრეული ალაზანივით,
და გული მიცემს გამალებით და...
შენი რითმები, დილის ზვავივით,
თავზე მემხობა ტრამალებიდან.
ასე იციან საქართველოში,
პოეტს ჯერ კლავენ, შემდეგ ტირიან...
ჩამწყვდეულია საპყრობილეში
ქართლის ცხოვრება, ჩემო ტიციან!..
და სახრჩობელებს ოქროყანაში
მკერდზე აყრიათ შავი ყულფები...
ვგდივარ, ვით შენი ლექსის კალმახი,
მეც ახეული მაქვს ლაყუჩები.
ცას ასკდებიან ვაშლის რტოები,
ლომთა მსაჯული მხოლოდ ღმერთია...
და ვდგავარ ისევ განმარტოებით,
განმარტოება ჩემი ხვედრია.
ყელში ეჩრებათ ჩემი სახელი,
ჩემი სათქმელი, ჩემი ხსენება...
გამომიტანეს მძიმე სასჯელი, –
ცოცხლად სიკვდილი და გასვენება!..
მაგრამ, მე კიდევ მოვიკალმახებ,
ხმალსაც ავლესავ, ჩემო ტიციან!..
საქართველოში სჯიან ავაზებს,
საქართველოში ასე იციან!..

მესხეთს

გმირი ღვაწლით იცნობა, ბერი – თავის ჭილოფით,
თამარ მეფეს ვეახლე ჩემი ხუთი ჭრილობით.
ჩემი ხუთი ჭრილობით კოხტაგორაც დავზვერე,
ფეხით შემოვიარე მიწიერი საზვერე...
მიწიერი საზვერე და ავსულთა ხლართები...
ულურჯესი გზები და ულურჯესი ხატები...
და სამხრეთის ქარები, ნამზეური კამარა,

კლდეში – ვანის ქვაბები, ვარძია და საფარა.
სანახები უსაზღვრო და ფერადი ნისლები,
მასპინძელი? – უზადო, ყოვლად დარბაისელი.
მაღლა სავსე მთვარე და მთები – ქვეყნის მცველები...
თამარ მეფის სარკე და თამარ მეფის ცრემლები.
უფრო მაღლა ღრუბლები – ზეცის სამაჯურებად,
და წყალობა ულევი – უფლის მართლმსაჯულება!..
ისე ბრწყინავს მესხეთი, თითქოს ანგელოზია...
დგანან ციხე-ბურჯებად ხერთვისი და ლომსია!..
და ვარსკვლავეთს ანათებს მთვარე, როგორც კამეა,
მთვარე მოინავანებს, რადგან დიდი ღამეა...
რადგან დიდი ღამეა პოეტური შტორმებით,
ანტიკური ქარით და ფერებით და ფორმებით, –
რადგან მტკვარი მოღელავს ქართლის ხსნად და იმედად,
რადგან მესხმა რუსთველმა ოქროს კალმით იმეფა,
რადგან მიწა ირწყვება უკვდავების წყაროთი,
რადგან მტერი იძლევა ღვთისმშობელის წყალობით,
რადგან მცხეთას ისევ დგას სვეტიცხოვლის ტაძარი,
რადგან ჩემი კალამი ავწიე და დავძარი! –
ლექსი სისხლით იცნობა, ბერი – თავის ჭილოფით,
თამარ მეფეს ვეახლე ჩემი ხუთი ჭრილობით.

* * * * * * *

ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი!

თბილისს

ძველი თბილისი. გორგასალის ჭრელი ხოხობი.
ქართლის კარიბჭე, უსაშველოდ ნათელ – მზიანი...
ვერვინ გიხილავს, სახიერო, პირქვე დამხობილს,
უკვდავებასთან რადგან შენ ხარ თანაზიარი.
ნეტავ, ეს ზეცა ვინ მოხატა, მოაპირკეთა,
ან კაკაბაძის ნახატივით სველი ქედები...
დგანან კლდეები, საქართველოს ხსნად და იმედად,
ნარიყალასთან ჩამომჯდარი ხოხბისფერები.
აქეთ – მეტეხი, იქით, მაღლა, ლურჯი მთაწმინდა –

ქართლის გვირგვინი, ქართლის გული, ქართლის ემბაზი...
რა ჭირთა ლხენა, სიმძიმილი შენ არ გაწვიმდა,
ან ვით აღვწერო, რა სიტყვებით, რომელ ენაზე? –
ამ ვარსკვლავეთის სიდიადე ათასფერადი,
ან საუცხოო ცხელი წყალი ამოდ ულევი...
ქრისტეს სჯულისთვის სისხლისფერად ანაფერადი –
მარადიული შენი მცველი აბო თბილელი?!.
ანდა უცხოთა შეწყნარება, დიდსულოვნება,
ან ანჩისხატის, ან სიონის სამკაულები?..
შემოგხვევია რქაწითელის ოქროს მტევნებად
თაბორისა და თრიალეთის სამაჯურები.
და მოდის მტკვარი, ქართლის დიდი მემატიანე,
ელიას მთიდან გადმოგყურებს წმინდა სამება...
მტკვარი თუ მოგბანს საჩუმათო სისხლს და იარებს,
რადგანაც მტკვარში ირეკლება შენი სახება.
ჰეი, თბილისო! მცხეთის ბურჯად შენ ხარ ნაგები,
ვით გაუძელი ათას მომხდურს, ასგზის წყეულებს?!.
ქვაბავაზაკთა და ავსულთა ხარ შემმუსვრელი,
ლომურ მაჯაზე იმტვრევ შავბნელ ათასწლეულებს!
რა არ გიხილავს?!. რა ქარცეცხლი არ დაგტეხია?! –
ქვეგამხედვართა სიავკაცე, ძმათა ომები...
და გმფარველობდა, და გიცავდა წმინდა მესია,
შავფაროსნებიც ჯომარდობდნენ, როგორც ლომები!
და, თუმც, ლენგების, ჯალალების, შაჰ–აბასების
შლეგი ჯარები გაოხრებდნენ, ავად გზვერავდნენ,
თანამედროვე აბასები და ათასები,
თუმც, დაგდგომიან ისტორიის ავანსცენაზე! –
და, თუმც, ჰგონიათ დაუძლურდი, თითქოს დაბერდი,
და ნახანჯლარი, ნატყვიარი გულს გამჩნევია...
ჯაჭვის პერანგი გადაიცვი! აღსდექ! ამხედრდი!
რადგანაც სხვა გზა, სხვა საშველი არ დაგრჩენია! –
შენ, რადგან, ჩემო, შემოქმედი გითვლის ნაბიჯებს,
უკვდავებასთან რადგან შენ ხარ თანაზიარი...
დგახარ, ვით ქართლის უძლეველი ოქროს კარიბჭე,
უფლის ქალაქი, უსაშველოდ ნათელ–მზიანი!

ვაშლის ბაღებში ტირის თამარი...

ჩემო, ამ ღამეს ფერი დაჰკრავს ქინძმარაულის,
თითქოს ცარგვალზე მთვარემ ყელი გამოიღადრა...
მეც ამ შავბნელი პეიზაჟით ვარ ამღვრეული
და იბერიის სატკივარი მიხსნის იარას.
ჟამია მკაცრი! – და საშველი თითქოს არ არი!..
დაიქცა ქართლი! – და ყოველი, რაიც აშენდა!..
ვაშლის ბაღებში, ალბათ, ტირის მეფე თამარი,
ტირის თამარი, აოხრებულ თამარაშენთან.
გავყურებ სივრცეს, მაგონდება ნაჭარმაგევი...
(სარკმლიდან მოჩანს თაბორი და ლურჯი მახათა)...
მაწამებს დიდი ისტორია ნადარბაზევის
და დაჟანგული სატევარი ამილახვართა!..
ანჩხლი ყოფილა ეს სოფელი, – გაუტანელი,
ავად მზირალი, ავგული და ოდენ ცბიერი...
ჩემი ცხოვრება არის ყოვლად აუტანელი,
ჩემი სამყარო, – უნაყოფო, უკაცრიელი.
ჰეი, მნათობნო! სად წახვედით?!. რა მოგეწიათ?!.
სად გაქრა თქვენი ღვთაებრივი ყვავილწნულები?!.
ხედავ, სიშლეგე რა ანაზდად წამომეწია? –
თითქოს ძარღვებში უცბად დასკდნენ ბროწეულები!..
ღამეა, ჩემო? – ფერი დაჰკრავს ქინძმარაულის,
მთვარეც გაგიჟდა, – თეთრი ყელი გამოიღადრა...
და მომიტევე, რომ ესოდენ ვარ ამღვრეული,
რადგან სამშობლოს სატკივარი მიხსნის იარას.

2008 წელი
რუსეთ-საქართველოს ომი

შენ ხომ არ იცი, იასამანო?

მე მიყვარს ჩემი სამშობლო ლურჯი,
ულამაზესი და უსამანო...
შენ ხომ არ იცი, ესოდენ ურჩი,
რად დავიბადე, იასამანო?..
ან რად ავისხი ცრემლი მძივებად,
ოდეს მზისგულზე ვარდი ეყარა?..
რად მიჩქარდება მაჯა ძლიერად,
ოდეს მწუხარებს ჩემი ქვეყანა?..
ანდა ეს სტროფი რატომ მრისხანებს,
რად გადაუცვამს მკერდზე აბჯარი?..
რითმას, – ნაომარს და ნაგრიგალევს,
რატომ არტყია ქამარ-ხანჯალი?..
მაგრამ, რა არის წუთისოფელი,
თუ სამშობლოსთვის გული არ გიცემს?..
არ დაგითმია ქვეყნად ყოველი,
როგორც გიორგი ანწუხელიძეს?!.
ან დაკუნთული, მძლავრი ხარივით,
თუ არ მოგიხნავს ნავენახარი...
ან ერთხელ მაინც, იოთამივით,
არ ჩაუციათ ზურგში ლახვარი?!.
თუ სტიქიების არ ხარ დაქალი,
არ გხიბლავს ქარის შლეგი სინაზე...
ვინმე ავგული, ვინმე ავთვალი,
არ გაგითელავს დიდ კორიდაზე! –
მითხარი, ჩემო იასამანო,
ღირს კი ცხოვრება, ესოდენ ლურჯი? –
ულამაზესი და უსამანო,
მაგრამ თევზივით უტყვი და მუნჯი?..
შუაღამეა...ჩემს ფანჯარასთან
მშვიდად ირწევა იასამანი...
ვზივარ საკანში ურჩი ავაზა,
საქართველოა ჩემი საკანი!..

ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!

ჩვენ სიყვარულის სარეცელზე შეგვქმნა განგებამ,
ჩვენ სათნოება დაგვანათლა არსთა გამრიგემ,
ჩვენ ვაშენებდით ბანას, ზარზმას, გელათს, იყალთოს
და ვმაღლდებოდით ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.
ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება
და პური შენი არსობისა არის ღვთიური,
ო. საქართველოვ, მოქართულობ ისევ ძარღვებში
და იწურება საღმრთო ქვევრში ალადასტური.

ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი...
უნდა გავთიბოთ, უნდა ვიმკათ, უნდა გავლეწოთ,
გადავარჩინოთ საფიცარი თეთრი გელათი.
ო, საქართველოვ, ოქროსფერი ხარ საოცრება,
ამ საოცრებას გვეცილება მტერი ვერაგი...
ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი!

სამარეში რა ასვენებს საბას?..

ტანძიაში გამჭვირვალე ჰაერია,
თოვს...და ფეხით მივუყვები სავალს...
საქართველოს რომ სვე-ბედი აერია,
სამარეში რა ასვენებს საბას?!.
ჰოი, ბერი! - უფლის ხელით ანაგები,
თვალნათელი, სულნათელი, სათნო...
ოქროს კალმით მოხატული არაკებით
ვერსად ჰპოვა მოკავშირე სანდო.
ჰოი, საბა! - დაღლილი და დაღვრემილი...
მამულისთვის? - ალესილი ხმალი!..
საუკუნე - ქოფაკივით აღრენილი,
ვით ავდარში ბორგნეული ქარი!..
ჰოი, გზები! - უმოწყალოდ ჩახერგილი...
საწუხარი - ნახმლევივით მწველი...
ქართლის ბედი - ოსმალთაგან აჩეხილი, -
ნასისხლარი ბროწეულის წვენი.
საჩივარი? - სპარსეთი და ოსმალეთი!..
სატკივარი? - უსჯულოთა ომი!..
გზები, გზები...ძველი კონსტანტინეპოლი,
მარსელი და, პარიზი და... რომი!..
გზაწვრილებზე გაწოლილი ჭრელი გველი, -
ათასფერად ანაფერი ეჭვი...

ვატიკანში, რომის პაპთან, თეთრი ბერი,
საქართველოს უბედური ელჩი.
ჰოი, საბა!.. ნეტავი ვინ შეაჩვენა,
ვისთან შეკრა სახიფათო ზავი?..
და, არც .კაცმა და, არც ღმერთმა შეაჩერა
წუთისოფლის ღვარცოფი და ზვავი!..
მთები, ზღვები...როგორც ავი ბედისწერა,
იქით - ლუი, აქეთ - მეფე ვახტანგ...
და დაჰყავდა სიტყვის მეფე ბედის მწერალს
უცხო გზებზე და მეფეთა ტახტთან.
და გზადაგზა იქმნებოდა ,,სიტყვის კონა”...
ისტორია - უსაშველოდ მკაცრი...
ვით, ოდესღაც, გაყიდული ,,კოხტაგორა”,
უსამართლოდ დამეხილი კაცი!..
ჰოი, საბა! - აბი თვალთა სიმრუდისა,
ვითარც ბნელში - მზის სხივი და სივრცე...
და თუმც შექმნა წიგნი ,,სიბრძნე-სიცრუისა”,
არ წაადგა სოლომონის სიბრძნე!..
ტანძიაში გამჭვირვალე ჰაერია,
რა აძინებს ქართლის ბებერ სარანგს?..
საქართველოს რომ სვე-ბედი აერია,
სამარეში რა ასვენებს საბას?!.

რას ვიზამთ, ხანდახან ლომებიც ბერდებიან...

ავადმზვერავები მირყევენ საძირკველს,
ჭრელი გველებივით მკერდზე მეხვევიან...
თეთრხალათიანები მიხსნიან საკინძეს,
რას ვიზამთ,ხანდახან ლომებიც ბერდებიან!..
მე უკვე დავტორე ჩემი დასატორი,
დიახ,მე ვიყავი დამრღვევი მახეთა!..
ეს მე ვარ, ქართველი მდედრი მატადორი,
ლექსით მორკინალი მძვინვარე ხარებთან!
ახლა კი ამ ვიწრო, მისტიკურ გზაწვრილებს
გასდევს იდუმალი, მკაცრი მელოდია..
ჩემს მამაც სტრიქონებს, ჩემს მამაც არწივებს,
ვინ იცის,უჩემოდ, რა ომი ელოდებათ!..
მომგვარეთ უდაბნოს ველური ცხენები,
ანტიკურ ფორმებთან მიყვარს ზიარება...
ველური ცხენები... მინდვრები ვრცელები...
ადამის მოდგმასავით არ დამაზიანებენ!..
მე უკვე ვიტირე ჩემი სატირალი,
ვიხილე ჩემი მზის ჩასვლა და ამოსვლა,
შემომითამამდა უცხო სატკივარი,
მე, საქართველოში გამოზრდილ ამორძალს!
მე უკვე გავხედნე ჩემი გასახედნი..
ქართული ლექსები, კედელთან-მოლბერტი...
და მუდამ მზად ვიყავ ცაში ასაფრენად-
"იმ ქარიშხლიანი დღეების პოეტი".
რამდენი ღვარძლი და ბალღამი მანთხიეს...
(ჩემს დასჯას სამყარო როდემდე ინებებს?!.)
დაჭრილი ლომების მრისხანე სუნი სცემთ
დროსა და სივრცეში დაკარგულ ჰიენებს...
და ახლა,ესოდენ დაღლილი,უძალო,
სირცხვილის ალმურით უჩუმრად ვიწვები...
უხილავ მტერთაგან, მიხსენი,უფალო,
შენს ხელისგულებზე მორჩილად ვირწევი...
და ვუახლოვდები სისხლიან კორიდას,
თეთრხალათიანები მკერდზე მეხვევიან...
ვნახოთ, ვინ მოიგებს, ხარო, დღეს ორიდან...
რას ვიზამთ, ხანდახან, ლომებიც ბერდებიან!..



თეიმურაზ კვარაცხელია – პოეტი
სამოქალაქო მოძრაობა ეროვნული ღირსების
დარბაზი უკეთესი საქართველოსათვის
თავმჯდომარე –კვარაცხელიების საგვარეულო
კავშირის წინამძღოლი

***

გაზაფხულით შეგიკერავ კაბას,
გვირილებით შემოგიწნავ გვირგვინს,
მზის ამოსვლის გარიჟრაჟზე გნახავ,
შენთან ერთად სიკვდილამდე ვივლი..
როლს მოგცემდი სადედოფლოს მხოლოდ,
ხელის გულზე გატარებდი ნაღდად,
გიტარებით ვაკვნესებდი სოლოს,
ღამის ვნებებებს გავუყოფდი საბანს...
ქარიშხლებით მოგირთავდი სხეულს,
მეფის მკლავებს მოგაჭდობდი წელზე,
მოფერებას ვასწავლიდი გრძნობებს,
ჩონგურის სიმს ავაწყობდი შენზე...
ბეთხოვენის მარადიულ სონეტს,
შტრაუსის ვალს მოვარგებდი ღელვად,
ვხედავ უკან შოპენიც რომ მომდევს,
ჩემიც თქვიო, თუნდაც წვიმის წვეთად...
მერე ისევ იდილია ცაზე,
მსგავსი ჯერაც არ უნახავს არვის,
მოგინდება იმედად რომ გყავდე,
პასუხს სცემდე ამ ჩემ გულის წადილს...
ცის სადარო დედოფალო გრძნობის,
ერთი ღამე ჩემს პრობლემებს არ ხსნის,
გაზაფხულის ყველა ყვავილს დავკრეფ,
მღვრიე წარსულს განგიახლებ ახლით, –
გაზაფხულის ყველა ყვავილს დავკრეფ,
ამოგავლებ განთიადის ნისლში,
სიყვარულით თუ გამიღებ კარებს,
დამიჯერე, ცის წესებით ივლი...
ივლი სანამ „ტყვედ“ აპირებ ყოფნას,
სიყვარულით სანამა ხარ ავად,
უარს მეტყვი?... ამ აზრისგან შორს ვარ,
სანამ კოცნით არ ჩაგიქრობ ხანძარს..
მოკლედ ასე, გეტყვი მთავარ სათქმელს,
ფენიქსივით მსურს ფერფლიდან აღდგე,
ამიტომაც გრძნობით ნაქსოვ სიზმარს,
პერანგივით მე მოგარგებ ტანზე, –
მერე, მერე, განთიადის სტუმარს,
მზის სხივებში ამოვლებულ გრძნობებს,
მინდა როგორ ის სიტყვები ვუთხრა,
რითაც მჯერა შეშურდება ყოველს...
სულის სულით ავისრულებ წადილს,
მზის ლამაზ სხივს დავაბარებ ნათქვამს,
მწვერვალებით გაგიზომავ მანძილს,
გადაგაქცევ მომწიფებულ ბავშვად, –
აგისრულებ ბავშვობაში ნანატრს,
ღიმილის ჩრდილს მოვაცილებ სევდას,
საიმედოდ სანამ ჩემს გულს ჰყავხარ,
ვერ დავუთმობ მე ვერავის შენ თავს...
გაზაფხულით შეგიკერავ კაბას,
გვირილებით შემოგიწნავ გვირგვინს,
მზის ამოსვლის გარიჟრაჟზე გნახავ,
შენთან ერთად სიკვდილამდე ვივლი.

***

თავისუფლება ბრძენთა წესია, თავისუფლება ძლიერთა დროა,
თავისუფლებას თუკი შეირგებ, თავისუფლება სამადლოდ მოვა, –
გამოანათებს ღრუბელთა შორის, სხივებს გადმოფენს ნასისხლარ მიწას,
ბორკილს შემოხსნის ბორკილდადებულთ და თვითონ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას...

თავისუფლება ნებაა ერის, დაუშრეტელი წყურვილი კაცის,
სურვილს ის იკლავს ვინც უფალს ელის, ვისაც უნარი დაჰყვება განცდის,
თავისუფლება ბრძოლაა გმირთა, ძლიერთა სული ისრუტავს მზისებრ,
თავისუფლება ღირსებაც არის, რითაც დაიცავ მამულის ფიქრებს...

თავისუფლება ღმერთთან ყოფნაა, სამოთხის ბაღის მცველად თუ ვარგხარ,
თავისუფლება ცაში ფრენაა, ცხოვრების წესით უფალს თუ ჰგავხარ,
თავისუფლება ზღვა არის სისხლის, ერმა დაღვარა რომელიც ოდეს,
თავისუფლება ვალია დიდი, რომელიც ერთ დროს ესესხე მშობელს...

თავისუფალი იცოდეთ ყველამ, არვინ არსებობს მაცხოვრის გარდა,
თავისუფალი მაშინ ხარ მხოლოდ, თავს როცა უფლის სამადლო გადგას, –
თავისუფლებას გონი ჭირდება, ამაღლებული სულის კარამდე,
როცა სიბრძნეა გამოსავალი და ერი ამ დროს რწმენით ანათებს...

რამდენი სისხლი, რამდენი ცრემლი, რამდენი ტანჯვა გამოგვივლია,
მაგრამ უფალი სანამ ვერ ვცანით, თავისუფლება ვერ მიგვიღია, –
თავისუფლება რწმენით აღქმულმა ადამიანის ფიქრმა იკისრა,
ადამიანში ჩაბუდებულმა, უფალმა ძღვნად რომ მოგვცა სინდისად...

თავისუფლების სიმბოლოდ უფრო, ჯვარზე გაკრული უფალი ვცანი,
როცა აღდგომის უწია ჟამმა და სოფელს ამით მიეცა შანსი, –
სამარადჟამოდ გადაერჩინა, გადაერჩინა სული უკვდავი,
ვითარც ურწმუნომ იმოციქულა და სულით გახდა თავის უფალი...

დიახ მოკვდავო, ხორცს თუ ამჩატებ, ხორცს თუკი იქმნი მიზეზად ცოდვის,
სულს ვერასოდეს დაიმორჩილებ, სული დარჩება სიკვდილთა შორის, –
სულს ვერასოდეს დაიმორჩილებ, არწივის მსგავსად ვერ შეძლებ ფრენას,
ეს კი სიცოცხლის უარყოფაა, მიწა განკარგავს როდესაც ნებას...

თავისუფლება უპირატესად დამონებაა ზეციურ მადლთან,
მემკვიდრეობით რაც გერგო ღირსი, დამოკიდებულს თუ გაგხდის მასთან, –
თავისუფლება საფეხურია, ზეციურ კართან მიგიყვანს თუკი,
თუკი შეძლებ და მწვერვალს შეწვდები, რით შეისრულებ დიდი ხნის სურვილს...

თავისუფლება სწრაფვაა სულის, რწმენის ავტორს რომ გაიხდის კერპად,
ადამიანის წმინდა თვისებებს, თუ ქრისტეს მსგავსად, ერთ მუშტად შეკრავს, –
თავისუფლება რომ მოიპოვო, წესად იხადო, აფრქვიო სითბოდ,
რაც ჯვარი გერგო საზიდად უფლის, სულს უნდა არგო და ისე ზიდო!.

***

მეც შენსავით, მეც შენსავით,
ალს მივყვები ცაში,
ბულბული ვარ, ან მერცხალი,
თუ მოგწვდები მაშინ...
მეც შენსავით ერთი ციცქნა,
სანთელი ვარ მხოლოდ,
სიბნელეში გზას მივიკვლევ,
ვმღერი ცათა სოლოს...
აფეთქებულ ცოცხალ ვარდებს,
სიმღერების რკალში,
ერთი სუნთქვა ჩემიც მართებთ,
ცრემლს ვუქვითავ ვალში, –
რომ სიცოცხლის თუნდაც ბოლოს,
წმიდა სულთა მადლით,
გადმოვხედო დედამიწას,
სასუფევლის თვალით...
ვუთხრა, ვუთხრა: სიყვარული,
თვითონ ანთებს სანთელს,
შენ კი მისი თუკი გმართებს,
ნუ უხურავ კარებს...
მეც შენსავით, მეც შენსავით,
სანთელი ვარ ერთი,
სანამ მიჭირს ცათა წვდომა,
დამიყენე გვერდით.

***

და თუ სიცოცხლედ მიღირს დარჩენა,
სავალად თუკი კლდე-ღრე ვარჩიე,
ცხონებით თუკი ქრისტე აღზევდა,
მოციქულობით ცოდვა დავძლიეთ, –
თავშესაფარად ვირჩევ სამოთხეს,
მეც მინდა ვიყო ცის მეფის მსგავსი,
იმედი მხოლოდ იმის მაცოცხლებს,
რომ დავმკვიდრდები ზეციურ სახლში...
უნაპირო ზღვას გავცქერი კრძალვით,
ზეციურ სუნთქვას ვაყოლებ ჰაერს,
აღმართს მივყვები იმ ერთი განცდით,
ცით რომ დავარქმევ ყველაფერს სახელს...
დასაბრუნებლად ვიმზადებ წარსულს,
სიცოცხლე მინდა რწმენით მოვიხმო,
ერთხელ მწვერვალზე კაცურად ასულს,
არ მსურს ლოდინით მადლი მოვიკლო, –
შემოვაბრუნო მინდა დავითი,
თამარით ღირსვყოთ იქნებ მამული,
შექებად ვინ ვცნო, მწარედ განვიცდი,
ღირსად ვის ვანდო აწმყოს საგზური? ...
თითქოს ნაპირი აქედან არ ჩანს,
უნაპირობა ვცდილობ ამოვხსნა,
მაგრამ ჩემს მუზას მოაქვს სტრიქონი,
რომლითაც ვუწყობ აწმყოს გამოცდას...
მოჭარბებია სუსტები სოფელს,
ყრუთა გოდება ლექსსა ჰგავს უთქმელს,
მაშინ როდესაც ერთი ნაბიჯი,
ამოუდგამდა ენასაც მუნჯებს...
„შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!“
ფაუსტის სუნთქვით ვიბრუნებ ასაკს,
განმეორება თუკი მეღირსა,
ქრისტეს მწვერვალზე ვაპირებ ასვლას...
„დათმე, ითმინე“... ვით გოეთემ თქვა,
„ათასწლოვანი ყალბი ჟღარუნი,“
როცა შენი გაქვს, რად ეძებ იმ სხვას,
რით ვერ აღსრულდა ცის სასწაული...
გზაა?.. დიახაც რა საჭიროა,
ტაძრისკენ თუკი იგი არ მიდის,
მჯერა, მეორედ ისევ ის მოვა,
სულს ვინც უცვალა ერთხელ ამინდი...
წუთისოფელი, ეს გზაა მხოლოდ,
წარმოსაჩენად ფესვთა ნებისა,
მთავარი არის რა გველის ბოლოს,
მკვდრეთით აღდგომა თუ არ გვეღირსა...
და თუ სიცოცხლედ მიღირს დარჩენა,
სავალად თუკი ვარჩიე კლდე-ღრე,
სულების ჩვენთა გადასარჩენად,
თხოვნა მაქვს ღმერთო, ბოლომდე გვენდე!.

***

როგორ აფოფრილა მყინვარწვერი,
როგორ აშოლტილა უშბა,
ან კი ერი ჩემი როგორ მღერის,
როცა სიყვარულით სუნთქავს...
ვამისამართებ ციურ აზრს ჩემში,
მზის ანატყორცნი სხივით,
გამოვავლინო, მსურს მძლეთა მძლევი,
ზღვაზე რომ გადოს ხიდი...
მეფეს ცის ნაპირზე ველოდები,
ჭრაქი სულ სხვაგვარად ბჟუტავს,
როგორ შეჰხარიან მონაზვნები,
რწმენა მომაკვდავს რომ კურნავს...
ცისკარს უღიმიან მზის სხივები,
ნისლთა ნაფლეთები თრთიან,
გზასაც დავითისებრ გავიკვლევდით,
ღმერთის რომ ვისმენდეთ სიტყვას...

ბოლოს ბოლოა, დავიმახსოვროთ,
ბოლოს ბოლოა ყოფნა,
იქნებ როგორმე ერთურთს ვაცნობოთ,
უპირატესი სოფლად...
დაღმართი ისევ მეაღმართება,
არავის ძინავს მშვიდად,
დრო უფლის მადლით თუ არ ნათდება,
ბნელა, გინდა არ გინდა...
ბოლო სცენარი დაწერილი მაქვს,
ახლა ეპილოგს ვმზითავ,
რაც უნდა მოხდეს, იმ წერილშია,
კეთილმა ავს რომ სძლია.
როგორ აფოფრილა მყინვარწვერი,
ოშკიც ადგილს მისას იხდენს,
და ამის შემდეგ, რა უფლება გვაქვს,
რომ ვუღალატოთ ქრისტეს?!.

***

სვეტიცხოვლობდა ერთ დროს ქვეყანა,
გვქონდა დროება თამარის მსგავსი,
რაც რუსთაველის კალამს ეწადა,
მისი ხორცშესხმის მოგვეცა შანსიც,–
ილიას ენით, მამულით, რწმენით,
გოლგოთის აღმართს აუყვა ერი,
სულს ხორცი თავის მსახურად ჰყავდა,
ვერას გვაკლებდა მოძულე მტერიც...
მზე სულის მთაზე იკრებდა ძალებს,
ჩვილს დედა ცის ხმით ურწევდა აკვანს,
ბულბულიც მისებრ გაზაფხულობდა,
ცრემლი სდიოდა ნაადრევ ვაზსაც...
ერი შავლეგოს ხმაზე მღეროდა,
ჭრილობებს კრავდა ამ ხმის წყალობით,
ყოფნა არ ყოფნას ეს ხმა შველოდა,
გვისრულდებოდა, რასაც ვნატრობდით...
მრავალჟამიერს სუფრა ელოდა,
ღვინის სურვილი, ტუჩებთან ლაციცს,
დიასახლისი ღიმილს ფერობდა,
თავს იწონებდა შვილების აღზრდით...
დილა სურვილებს მკლავზე იხვევდა,
ღამე ცის სამოსს ირგებდა ტანზე,
დრო აწყობილი იყო სიმებად,
ხმებს გამოსცემდა წინაპრის ხმაზე...

ყველა დროს უდგას რგვის და რთვლის ჟამი,
აცრემლებულიც გვინახავს ვაზიც,
როცა დროება მზეს სხივს ვარცხნიდა,
მოსავალს იმ წელს დაედო ფასი...
და მერე რა, თუ, ისევ გოლგოთა,
ველად მოფენა წმინდანთა სისხლის,
ერი როდესაც სულ დიდგორობდა,
მსგავსი მოვლენა ასე რად გვიკვირს?...
თუმც, ვდარდობ, რაც არ გვეპატიება,
ჭეშმარიტების აღქმა რომ გვიჭირს,
მიზეზი?.. თავი რითაც მოგვქონდა,
დღევანდელობა იმ ტოტებს იჭრის...
მაგრამ იმედად მოდის თაობა,
დავითის მოდგმა ღვთის აღმართს იპყრობს,
მაცხოვრის ნება გვიხმობს საომრად,
დიდგორის სული ისევ რომ ვიგრძნოთ...
დიახ, ვალია ჩვენი, ვიცოდეთ,
წაქცევით ერგო აღდგომა მამულს,
სხვანაირად კი პირველ სიცოცხლეს,
აზრი არა აქვს, ვერ ვარქმევ ქართულს...
და ბოლოს მაინც, დედა – მამული,
წაქცეულს როცა ერი ვერ კურნავს,
გამოსავალი?... ღირსთა თავმოყრით,
ვასვეტიცხოვლოთ სამშობლო უნდა.

***

იცხოვრე ისე, რომ ღირსგყოს ქრისტემ,
იღვაწე ისე, გამკობდეს სიბრძნე,
ფასი დაადე კაცობას შენსას,
ცის კამარას რომ გოლგოთით მიწვდე...
ფასი დაადე ცხოვრებას შენსას,
კაცურ-კაცური არჩიე სხვაგვარს,
როს სულით, ხორცით მაცხოვარს ჰგევხარ,
ცხოვრებას შენსას ნუ იგდებ მასხრად...
თუ დაიბადე, ვალდებული ხარ,
ვალდებული ხარ იცხოვრო ისე,
შთამომავლობამ მსგავსი არ გითხრას,
სირცხვილისაგან იწვოდეს სივრცე...
აღმოაჩინე, რომ ხარ წესიდან,
ამოლექსილი ვით წმინდა სიტყვა,
ის ამოიღე კარგი შენიდან,
ადამიანად რომლითაც ღირხარ...
როს სულთა მეფეს ჩვენი ხმა წვდება,
როცა სიკვდილი გვკარნახობს უარს,
ვერ შეველევი იმ არსთა ნებას,
სურვილი სძალავს როდესაც ჭკუას...
დროს ჩაუცვია მკვლელის სამოსი,
გადაუფარავს სიშავეს ფიქრი,
ადამიანად თუ ვერ გამოჩნდი,
რაღა აზრი აქვს სხვას სჯობდე ნიჭით,-
დაბადებიდან ცამ რომ გიბოძა,
რისთვის?. იფიქრე ამაზე მეტი,
თუ სულით ვნება ვერ დაიოკე,
იქნებ დაფიქრდე, ბოლოს რა გელის.

***

არ მჩვევია ვალი მქონდეს კარგისა თუ ცუდის,
უმადური ვიყო იმის, ცხვირსახოცს ვინც მჩუქნის,
არ მჩვევია დავივიწყო სიკეთე და ღვაწლი,
თუნდაც ერთხელ გამომიღო, ვინც კარები გულის...
არ მჩვევია დავივიწყო გულწრფელობა მისი,
ვინც მასწავლა როგორ ვიყო ამ ცხოვრების ღირსი,
წაქცეულს ვინც შემეშველა, დამაყენა ფეხზე,
ვინც ჩემს კაცად გახდომაში შეიტანა წვლილი...
თუმც მჩვევია გულის ტკენა, არა ბოღმის ნთხევა,
იმის მიმართ, ვერ შეიცნო, ვინაც ღმერთის ნება,
თუ მოხვედი ამ სოფელში, კაცად დარჩე უნდა,
მტერია თუ მოყვარეა, გმართებს მისი შველა...
ერთხელ მოველ, ერთხელ წავალ, ერთხელ გეტყვი სათქმელს,
უმადურს თუ ეს დრო წყალობს, მის სულს სხვა დრო ანგრევს,
მთავარია სულ გახსოვდეს, შვილი რომ ხარ ღმერთის,
ჩემთან თუ ხარ უმადური, უფლის ვალი გმართებს!...
ასეა თუ ისე არის, დრო მიუზღავს ყველას,
გაზაფხულიც ტირიფებით ფიქრს გაანდობს ზეცას,
აივნებზე გადმომდგარ წესს ვეღარ შეცვლის ვერვინ,
სიყვარული გადაგვარჩენს, მოყვარეს და მტერსაც!.

***

თუ ქალის ცრემლი არ განგიცდია,
ქალის საკინძე არ ჩაგიხსნია,
თუ ქალის ტუჩებს არ დაკონილხარ,
აბა მითხარი, დრო რით გიცვნია?..
აბა მითხარი, გრძნობების დუღილს,
თავშესაფარად ვინა ჰყავს მეტი?.
თუ არა ქალი, ღვთით მარტოსული,
შენ გელოდება, დღე და ღამ გელის...
ქარი მოაპობს გრძნობების ღრუბლებს,
სიცოცხლე ერთი, ერთი წამია,
გერქვას ცოცხალი და ქალი გსურდეს,
საამაყოა, ვფიქრობ ძალიან...
სიფერადეში რჩეულთ-რჩეულო,
ამოსარჩევ სულს დავეძებ შენში,
გამოწვევებსაც მიტომ ვღებულობ,
ამისათვის რომ მიტოკავს ნერვი, -
ნერვი მიტოკავს სასიყვარულო,
სულმოკლეობის არ მაქვს უფლება,
როდესაც მიყვარს, არა, არ ვხუმრობ,
რადგან სიყვარულს ეს არ უხდება, -
რადგან სიცოცხლე მონაგონია,
მონაგონია ტრფობის გარეშე,
გრძნობები თუკი არ აჰყოლია,
რისთვის აღამებ, რისთვის ათენებ, -
გრძნობები თუკი არ აჰყოლია,
მარადისობის შეუცვლელ კანონს,
გამოსავალი სხვა არ მქონია,
ვიდრე ვიყო და ამით ის დავთმო, -
რისთვისაც თურმე დავბადებულვარ,
გრძნობით მიგვრძვნია სამყაროს სუნთქვა,
რაღა აზრი აქვს არქმევდე მხოლოდ,
ქალის ღიმილით დროს თუ ვერ კურნავ?...
რაღა აზრი აქვს გიყვარდეს მხოლოდ,
არსს ვერ წვდებოდე რატომ და რისთვის?.
ან კიდევ ამით რა რჩება ბოლოს,
მარადიული, თუ მხოლოდ მიწის?..
არწივის ფრთებით მინდა სიცოცხლე,
გრძნობების ტალღას ვაფრქვევდე
სივრცეს,
ქალისგან მხოლოდ იმას ვითხოვდე,
რაც მის არსს წვდება, რასაც ის იხდენს, -
ქალისგან მხოლოდ იმას ვითხოვდე,
დაბადებულა რისთვისაც იგი,
სულის სიცივეს მასზე ვითბობდე,
სიყვარულისთვის ვინც ასე იბრძვის...
ქალის ცრემლი თუ არ განგიცდია,
ქალის საკინძე არ ჩაგიხსნია,
ქალისთვის თუკი არ დაგიცდია,
ქალისთვის ღელვა თუ არ გიცლია,
ქალში თუ დედა არ შეგიცვნია,
ყანწი თუ მისთვის არ დაგიცლია,
ლექსი თუ მისთვის არ მიგიძღვნია,
მისგან თრთოლვა თუ არ განგიცდია,
მასზე ფიქრით თუ დრო არ გიხსნია,
ტუჩებში ვნებით არ გიკოცნია,
მისთვის ტაძარში არ გილოცნია,
ერთად ყოფნა თუ არ გინატრია,
ან მისთვის გრძნობად არ გითოვია,-
რომ გენატრება ჯერ არ გითქვია,
სისხლი რომ გიდუღს, ჯერ არ გიგრძვნია,
იგი რომ შენთვის ერთად-ერთია,
თქვენს შორის ის რომ გრძნობის ხიდია,
ციური ტრფობის ის რომ ღირსია,
ის რომ მდინარე შენში სისხლია,
შენთვის რომ იგი მხოლოდ ფიქრია,
და რომ იმედად იგი გიცვნია,-
მისთვის თუკი ეს ჯერ არ გითქვია, -
აბა მითხარი, შენ რა კაცი ხარ,
ან სიყვარულის შენ რა ღირსი ხარ?!.

***

დილის ცვარმა, მზით ნაქარგმა, სახე შენი დამინამა,
ვხედევ, როგორ გიალერსებს, მიმავალი ქარი აღმა,
ქარავნების მკრთალი ხაზი, ცარიელ გულს გრძნობით ავსებს,
მინდა, იცი როგორ მინდა, დილიდანვე შენი ნახვა, –
ნახვა იმ დღის, როცა მთხოვდი, ციურ სულში ჩამეხედა,
მარტოობის სული მეგრძნო, ტრფობის გზები დამესერა,
ოცნებათა ოკეანე, გადაშლილი ფერთა გამით,
მუზად ცისად შემეცნო და მისით ლექსი დამეწერა..
ახლოს მოდი დედოფალო, მომადევი გრძნობის ლოყა,
როცა სიზმარს ვერ ვაღვივებ, განმიახლო იქნებ გრძნობა,
მძივად ასხმულ შუქთა სვეტებს მინდა სევდა გავატანო,
სიყვარულმა რომ მოგაგნოს, აქა ხარ თუ ჩემგან შორს ხარ..
ცისფერი ცა გრძნობებს მიქსოვს, შემოსილა არე-მარე,
ქალბატონო, ღმერთი თუ გწამს, მითხარ მზეს რად დაემალე?.
იქნებ ზღაპრის მოსვლას ელი, დედოფლობით გსურს ივარდო,
თუ, მწყურვალი სიყვარულის, ტრფობის წყაროს დაეწაფე?..
ვიყო მეფე სიყვარულის, ვერ დამიშლის ვერაფერი,
სულსწრაფი ვარ, ამიტომაც, ვნებებსაც კი დავნებდები,
ლამაზ სიტყვებს ლექსად შევკრავ, ვით ცის ლუკმას ისე გესვრი,
ღამის შეთხზულ რომანსებით მთვარის კარზეც მოგადგები..
თუ მენდობი, მსურს გასწავლო ზეციური სიყვარული,
თუნდაც ერთხელ სიცოცხლეში, რომ განვლიო ეს გზა რთული,
ნუ გგონია, თუკი მიგრძნობ, საკმარისი არის მისთვის,
რომ სიცოცხლეს ვუკარნახოთ, რატომ გვიცემს ასე გული, –
ვხედავ, ვხედავ როგორ წვალობ, სიყვარულს რომ ირგვლივ უვლი,
სიყვარულის დამიწებით ამოვწურავთ პირველ სურვილს,
მერე ტრფობის საფეხურებს, ვით დამლაშქრავს მწვერვალების,
სიხარულით უნდა ავყვეთ, უნდა აყვეს ჩვენი გულიც...
ამიტომაც იმას გეტყვი, რაც სხვებისთვის არ მითქვია,
თურმე ბორკილდადებული, სიტყვა შენით დამიხსნია,
თუ აქამდე ჩუმად ვიყავ, ახლა მაწევს გულზე დარდი,
რაც მაჩუქე, ვხედავ ის რომ, ჩემებურად ვერ ანთია...
მაგრამ ერთს კი დაგპირდები, გინდ შორს იყო, მაინც გნახავ,
აღმოვაჩენ, რომ იცოდე, ნაპერწკალში ცეცხლთა ნაკადს,
ასანთებად გამზადებულს, წაკიდება უნდა მხოლოდ,
ამიტომაც გული თუ გთხოვს, ველოდებით ნუღარ ზამთარს...
ზამთრის ცეცხლში გაგატარებ, გაგრძნობინო მინდა ვინ ვარ,
ვერ დაგვაკლებს რომ იცოდე, ზამთრის სუსხი, ზამთრის ყინვა,
როცა გიყვარს, ზეიმია, ზეიმია სიხარულის,
ნუღარ ვეძებთ სიტყვებს სხვაგან, როს სულს ამკობს სიტყვა "მიყვარს!"
დილის ცვარმა, დილის მუზით განაჩენი მამცნო ღამის,
მტკვარი სადაც არაგვს ერთვის, იქ ვდგავარ და მათოვს, მაწვიმს,
იქნებ ერთხელ სიცოცხლეში, ალღოს ჩემსას დავეთანხმო,
დაგარწმუნო, სხვისთვის არა, ამ ქვეყნად რომ ჩემთვის გაჩნდი.

***

უფალთან მაქვს ერთი თხოვნა, როგორც შეთხოვს პატრონს მონა,
სიკვდილმა რომ არ დაგვჩაგროს, გაუღვიძოს სოფელს გრძნობა,
გრძნობა რწმენის შესატყვისი, რითაც წვდება მიწა ზეცას,
რითაც ერთ დროს ეს სოფელი, როგორც თვითონ ისე ცხონდა...

უფალთან მაქვს ერთი თხოვნა, ნუ დატოვებს სოფელს ობლად,
თუ ამ სოფლის გასაჭირი, მიზეზია გაყრის დროსთან,
თუკი დროით უმწიფარნი, ვერ ჯდებიან სამართალში,
სულის საზრდოს ვინც დავეძებთ, რომ არ დაგვრჩეს ყოფნა ოხრად...

მთვარე მზის ჩრდილს ეფარება, უხილავი მადგას სხივი,
მვედრებელნი უფლის მადლის, თავს ვიწონებთ რჯულის წიგნით,
სალოცავად ანთებული, დილა იცმევს სულის კაბას,
ჩვენ კი ჟამის სუნთქვას ვერ ვგრძნობთ, ვით უძღები მამის შვილნი...
მიტომ მინდა უფალს ვთხოვო, შეგვაშველოს ხელი ყოველს,
ვისაც გვიჭირს გავუმკლავდეთ, წუთისოფლით გახრწნილ სოფელს,
როცა ცოდვა სულს უწამლავს, ადამიანს ღმერთის შობილს,
მეტი ჩვენ რა დაგვრჩენია, უფალს ვთხოვთ რომ რჩევა მოგვცეს, –
დაგვმოძღვროს და დაგვარიგოს, რით ვუწამლოთ ხორცის მონებს,
ანდა კიდევ ურწმუნობამ, ვინც ამსგავსა ველურ ცხოველს?
რადგან ყველა, ცოდვილიც კი, სულიწმინდის მადლით ქმნილი,
იმ ერთი ხის ტოტები ვართ, რითაც საზრდო სულის ვპოვეთ...
„გიყვარდესო მტერი“ ამბობს, მაცხოვარი, ცის განმგები,
ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, როს მამა გვყავს ყველას ერთი,
მოვალე ვართ თუნდ სხვა იყოს, თუნდ მოყვარე, თუნდაც მტერი,
ქრისტიანის სულგრძელობით, შევაშველოთ ერთურთს ხელი...
სულიწმინდით გაჩენილი, ვერ შეიგრძნობს ნათქვამს თუკი,
ბოროტია იგი თუმცა, ეს არ ნიშნავს ვთხლიშოთ მუშტი,
სულგრძელობით გვმართებს ყოფნა, ვით გვარიგებს ამას ქრისტე,
თუ არა და მაშინ რისხვა, დაგვატყდება ყველას უფლის.

უფალთან მაქვს ერთი თხოვნა, როგორც პატრონს შეთხოვს მონა,
ათი მცნება თუ გვიბოძა, მეტერთმეტეც მოგვცეს ლოცვად,
როცა შვილი მისი ღვიძლი, მას განუდგა, ვით იუდა,
რით ვუწამლოთ გვითხრას შემცდარს, მეორედ რომ შეძლოს მოსვლა?!.

მანანა სამყურაშვილი – სამართალმცოდნე;
დაბადების ადგილი – ყვარელი – საბუე.

უფალო,
შენთან ხომ სხვაგვარად თენდება...

მომგვარეთ, შევკაზმო ველური რაშები,
ცის ლურჯი კაბის ქვეშ დავიწყებ ანცობას,
დამისხით, დავთვრები ღვთიური ბადაგით,
ახლა კი არ ვიწყებ ადამის გაცნობას!...

მომყვება წარსულის დაფლეთილი წლები,
პირ- უშნო ლომები საზარლად ბღავიან,
ედემში გველი და ის ტკბილი ვაშლები
ევას შესაცდენად ერთადა ყვავიან!...

მომგვარეთ ამორძალს ველური რაშები,
ოქროს ფლოქვთა ზრიალს ისმენდეს ის მთები-
რომელნიც მისტიურ გზაწვრილებს ითვლიან-
და კლდენი ამაყი შუბლით,ჯიხვებს რომ ისვრიან!...

დიახ, მე ამორძალს, მორკინალს ლომებთან,
მომდევს ჩემი მთების წყნარი მელოდია,
მგონია მე ვგავარ დარჭრილ ამირანს და
კარგად ვასრულებ არწივთა პაროდიას!...

სირცხვილის ალმურით ეშმა არ იწვება,
წუთიერ დუმილსაც ის როდი სჯერდება...
შენს ხელისგულებზე მორჩილად მაქციე-
უფალო, შენთან ხომ სხვაგვარად თენდება!...

ჩემო ენავ, ქართულო!...

რა ლამაზი ხარ ენავ ქართულო,
ვითა ყვავილი არეს ბნეული,
იაკობის და ჩვენი ქართველი
ფარნავაზ მეფის გონის რჩეული!

ყმაწვილთ გულებში მიმობნეული,
მათ საფერებლად შექმნილხარ ბგერავ,
ლაზურ-ჭანურო - ქართული სულის
მატეანემ, რომ გამოგათენა!

მტრედთა ღუღუნით შექმნილი ენა,
რუდუნება და ქართველთა, რწმენა,
სარწმუნოება, მამული, ენა --
წამებულ იყო, ვით დროთა დენა!

მეფე-დოდოფლის, ბერთაგან ქმნილო,
იეროგლიფო, ქართულო ბგერავ,
ღვთით ნაბოძვარი მარგალიტი ხარ
ქართველთ ლოცვავ და
ქართველთა მზერავ!

შენ დაიფარე დედა მარიამ,
მამულში ერი, მიეც მას თმენა,
.ქართველის გულში ამოგვიტვიფრე,
ქრისტეს, უფალის და ღმერთის რწმენა!

შემყვარებიხარ!...

შემყვარებიხარ საწუთროვ,
ვეღარ განებებ თავსაო,
სწორი ნაბიჯით მოგყვები
ნუ შემყრი ჭირს და ავსაო!...

სული ბუდიდან აფრინდა,
მუზა მიარღვევს ცასაო,
მზევ ,შენთან მოვალ, სხივებით
ნუ შემიკვეცავ გზასაო!...

ნუ ჩამომადნობ, ვით სანთელს-
ნუ დამცლი წვეთ- წვეთადაო,
    გავშალო მინდა ფესვები-
        მიქციო ათასადაო!...

ხეზე მომისხი ნაყოფი
ღირობდეს საცქერადაო,
მესმოდეს ირგვლივ ყოველი
სიტყვანი საქებრადაო.

ნუ გაიმეტებ კაცთ მოდგმას,
ნარ- ეკლის საგლეჯადაო,
მტერს ნუ მიუგდებ საცოდავს
ყვავ- ყორანს საგლეჯადაო!...

შემყვარებიხარ საწუთროვ,
ვერ დაგანებებ თავსაო,
ვერ გაგეყრები ნებით და
ნუ ამარიდებ თვალსაო!

მომხვიე, ხელი მომხვიე,
ასე გაუყვეთ გზასაო...
გულს ნუ აირევ ჩემზედა-
ნუ ამომინთხევ შხამსაო!...

ტკბილად შევირგოთ რაცა გვაქვს,
არ ვყურობ რა აქვს სხვასაო,
ბევრს კი არა გთხოვ, არ ვიღებ
ჩემს გულს ავსა და ხარბსაო!...

რაცა მაქვს სხვასაც გავუყობ,
ჭირთამთმენს ვიცნობ ბევრსაო,
მუხლდაცემული რომ მოდის,
სწყევლის უიღბლო ბედსაო!...

ჰოდა, საწუთროვ მომხვიე,-
ნუ ამარიდებ ხელსაო...
დამპირდი, რომ გაახარებ
ქართულ ჯიშსა და ფესვსაო!...

იქ მინდა სადაც მართალნი...

რამის გავიჭრა მთაში ბღავილით
და თავი უღრან ტყეს შევაფარო,
იქნებ ამ ხარბი დროთა სვლის მერე
ცოტა სიკეთეს იქ შევეყარო!...

იქ კი არა მსურს, სადაც ნადირებს-
ყოველდღე გააქცთ წეწვა და გლეჯა,
იმ უღრანებში სადაც კაცთმოდგმის
არ მომესმება სულ- ხორცის გლეჯა!...

სადაც მაღალ ღმერთს დაუდგამს ტახტი,
სადაც არც გლოვა და არც შურია,
სადაც კაცთ მოდგმა ერთურთს ელიან,
სადაც ტრფობა და სიყვარულია!...

სადაც მოყვასი, მოყვასს უყვება
რით გაახაროს სხვათა გულია,
სადაც მომდური არვინ შემხვდება,
ანდა სხვის შურით აჯაგრულია!...

იქნებ ცოტა დრო რაც დამრჩენია,
იქ ,მაინც ვპოვო სულის სიმშვიდე,
რომ მამა -პაპის მარადიულ გზით
მათთან მშვიდად და წყნარად მივიდე...

იქ მინდა, სადაც ფულის გულისთვის
შეფიცული ძმა ძმას არ ჰყიდის,
სადაც სიყვარულს პეშვით მოგაწვდის,
მთის წყაროსავით- ჩქეფით გადმოდის!...

იქ მინდა, სადაც შური და ბოღმა
არც გაუგიათ და არც იციან,
ბრაზით და ჯიბრით კი არა,
სიტყვას კრძალვით რომ იტყვიან!...

ექოდ მომწივის...

გავიდიდგორებ,წივის, ვატყობ სისხლი ქართული,
ძელქვას ეხვევა ხმლითნაწყვეტი ძარღვი პაპისა,
მე, ვერაფერი დამიმარცხებს ქართულ ჯიშ-ჯილაგს,
ექოდ მომწივის გააფთრებული ხმალი კახისა!...

ჭრელ ბაღდადივით გაიშლება ლოცვა ქართული,
აჭიხვინდება შლეგი ცხენები ფაფარაშლილი,
ასწიე თასი,თქვი სადღეგრძელო მრავალტანჯულის-
სამშობლოს სული, ვინც დაუტოვა აფრააშლილი!...

მღელვარე სული სასმისივით დაცლის სიცოცხლეს,
მზე ჩამოდნება, ტაძრად დარეკენ გლოვის ზარები.
ვის უნახია მუხლს დაცემული მეფე, ქართველთა,
მათ სადიდებელს შავ აფთარივით ყეფენ ქარები...

კვლავაც ავკენკავთ სულის ბაღში მანანას მარცვალს,
ამოვიცოხნით ოდეს ჩაყლაპულ სიცოცხლეს ტიალს,
ნამცვრევ ბალახზე გალაქტიკა დაუშვებს ფარდებს,
პეშვით მოგიტანთ მიწისგ ულმკერდზე მობნეულ იას!

******

მამა პაპის კვალს სთელავენ
სხვის უბე კალთას ქარგავენ,
სოფელი არ დაინგრევა
თუ ერთ ხეს ყველა დარგავენ!...

ახლა ჩემს ეზოს კარებზე,
აბლაბუდები ლამბავენ,
ოქროს უწყვეტი ძაფებით
სოფლის კერაზე მაბავენ!...

ვერ გავექცევი, ვერ დავცლი,
მამის ნაცხელებ კერასა,
შორიდან ვეღარ გავბედავ
მათი საფლავის ცქერასა!...

აქ არის ჩემი ბაღდადი,
ღვთით მოქარგული სამოთხე,
მე ხომ აქ ფეხი ავიდგი,
ხან ხელებითაც ვიფორთხე...

ვერა, ვერ გავცვლი ჩემს ბუდეს,
არ მინდა სხვისი სასახლე,
ჩემ მამა- პაპამ იციან
მე ვარ ,ამ სოფლის მოსახლე!...

შენ რომ ოდეს, საპატარძლოდ გეცვა...

ცად, დოღია ცრემლისა და თქეშის,
მზის კეცებზე წვიმა წამოსულა,
მზე ბუხართან გასათბობად დაჯდა,
კრთის, სიცივით- გარს ვერ გამოსულა.

დედამიწას დარდიანს და შეშლილს,
ნისლის ფარდა მსუბუქ ჟინჟლად ეცრას,
ცრემლი რატომ არა გწყდება ცაო,
წვიმის არა, მზის კაბა მსურს გეცვას!

შენმა დარდმა შემიბუდნა გული,
შემკრთალ სულმა ცრემლი ჩამოწვიმა,
რა შეგცოდეთ, მზეო, ნეტავ მითხრა?-
მიგვატოვა შენმა თბილმა სხივმა?!

ცა დამუნჯდა ცრემლითა და სუსხით-
როს იხილა ვარდი კრთის და სცივა,
დედამიწა შეიშალა დარდით,
ამოუშვა შემზარავი გმინვა...

აიკეცე ცაო, ნისლის კალთა,
მზესთან ერთად მოგიხდება ცეკვა,
დამავიწყდა- რა დრო იყო მაშინ,
შენ რომ ოდეს, საპატარძლოდ გეცვა!

უფლის წმინდა ხელით ჯვარი დასწერია!...

ჩემი საქართველო დროშაა ხუთჯვრიანი,
სიწმინდე ქვეყნისა და ერის საუნჯეა,
ნურვინ გაბედავს და ნურვინ შემირაცხავს,
დედა ღვთისმშობლის კვართის ნაჭერია!

ჯვარი უფლისა და ჯვარი მეწამური,
წამებული ქრისტეს სისხლით ნაფერია,
ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს
კალთას, დიადი წარსული სისხლით აწერია!

იმღერეთ ჰიმნი და დროშა ზე ასწიეთ,
ხატად, საქართველო ღვთისმშობლის ნაწერია,
სრულად გოჯი -გოჯ და სრულად მისხალ- მისხალ
დედა საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრია!

ჩვენი წინაპართა სისხლით ნაპოვარი
მამასა და პაპის ხმლებით ნატარია,
ილოცეთ მასზე და გულით შეიყვარეთ
ჩემი საქართველო, ქრისტეს ტაძარია!

დედა საქართველო, ხატია ღვთისმშობლისა,
მისი წმინდა ხელით სისხლით ნაწერია,
ცრემლი უნდა შეწყდეს თვალთა მდინარისა,
უფლის წმინდა ხელით ჯვარი დასწერია!!!

ვაზო!...

ვაზო, კახელის ხერხემალი ხარ,
მყესი- ძლიერი მთავარი სახსრის,
ლხენა ხარ, ლხენა კაცის გულისა,
და შემართება ყოველი სახლის...საქმის!

მუზა იშლება შენთვის სიმღერად,
დალალდაწნული ქალის მშვენებავ,
ვინ არის ნეტა,ვ ამ ქვეყნად მითხარ,
შენი ხილვა რომ მას არ ენება!...

ჭრილობებიდან ცრემლი ნადენი-
მიწის გულს სცვივა საკურნებელად...
იფრქვევი ისე ვით საკმეველი,
ზეცით მოსული უცხო სურნელად!...

ტაძრის ქონგურებს შემოხვეულხარ,
მოწმევ ღვთის ასულ ნინოს დროიდან-
მისი თმები გაქვს გულზე თილისმად,
სითბო გადმოგდევს მისი გულიდან...

კაცთა გულისა სალხინობელი,
ჩამოგევლება თვალთა ცრემლები,
რა საოცრება შეგვყრია ყველას,
პატარძალივით თავზე გევლებით!...

ვაზი და ბულბული...

,,წუხელ, ჩემს ბაღში ნაზად ბულბული"

სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.---
მთვარე ეული, ვით მარტოსული,
ციდან უმზერდა გაოგნებული.
დალალდაწნულ ვაზსს შეჰყვარებოდა,
ბრწკალით შევნიშნე გულჩახვეული,
ბინდისფერ ღამეს თვალი უკრთოდა,
იდგა, ფიქრობდა გადარეული...
ბულბულს თვალები ელულა, იჯდა,
ვაზის ბაფთაზე შეხამებული,
ჩემს თვალს არასდროს არ უნახია
ასე ძლიერად შეყვარებული.
ვინ, ზაქარია? ანდა, შოპენი?
აღარც ბახი და არც მოცარტი!
ეს იყო ვაზზე პატარა ჩიტის-
გულის თრთოლვა და დიდი აზარტი!...
ბულბული ვაზზე შეყვარებული,
,,სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული,"--
მისებრ ტკბილი და მისებრ გულსათნო
არ მინახია შეყვარებული.
მთვარის სხივები მოესხა მხარზე,
ჰანგებს აბნევდა შევერცხლილ ცაზე,
თვალდახუჭული ღმერთს ავედრებდა-
ჯვარს დავიწერო მე ქალწულ ვაზზე!...